

ISSN 1512 - 4649

ეკონომიკა

ეკონომისტი

სამართლებრივი რეკონსტრუქციის და რეკონსტრუქციის
სამართლებრივ-პრაქტიკული ჟურნალი

№1 2016 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,
ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

ბადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა,
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკური, ბიზნესმენი,
მეანობა)

საბანკო-მედიკალური სიხლენი (სამედიკალური
სამართალი), კომენტარები

მედიკალური პითხვები და პროფესიონალთა
პასუხები



ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”

რეპერიორღება:

სსიპ ინსტიტუტ ტექნოლოგიის ელექტრონულ გამოცემებში “ქართულ რეგულაციულ ჟურნალში”.

აღიარებულია რეპერიორღებულად:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და სავაჭრო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა, ყაზახეთი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine “Akhali Ekonomisti” (New Economist) IS REVIEWED:

In “Georgian Reviewed Magazine” –
P.L.L.E. Institute of Techinform

IS KNOWN AS REVIEW BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade. (Astana, Kazakhstan).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
tel.: +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური სამართაშორისო რეჟიმირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1(40), 2016

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;
საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია: მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბუსაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბუსაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზიტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა ბელაშვილი; სიმონ ბელაშვილი; რევაზ ბველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ ბობოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ ბრიტოლიანი (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლგბანგ ვენტი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაბიძე; ნუზარ თოღუა; გოჩა თუთუაშვილი; სერგეი იაკუბოვიჩი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მირაბ კაკუღია; ალექსანდრე კვაშილავა; ბია კვაშილავა; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); პახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაბვილავა; რევაზ ლორთქიფანიძე; ძაბილ მანაშოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული

ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მამუბაიშვილი; ნუზარ ნაღარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ღაბით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ აპვლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანიანი (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); შიშო სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); ბელა სპირაძე (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამიტკინ ტურმეკულიძე (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა შვტეშელავა; რუსუდან ქუთათიელიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენბელიძე; ბიორბი შინაშვილი; თამარ შუღრა; ვაია შულენბაძე (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხაღური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; შიშო ხარაიშვილი; რევაზ ხარბაძე; მირაბ ხმალაძე; ღაბით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეთ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერმანია (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2016წ.

© გამომცემლობა „ლოიდ“

№1(40), 2016 წელი, year

ფასი 5 ლარი

3



The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED 1(40), 2016

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doctor of Business Administration, Professor,
Academician, Member of the Presidium
of the Georgian Academy of Business Sciences.
Academician of the Georgian Academy of Fazi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
THE NEW ECONOMIST

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (President of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Germany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Germany); ENVER LAGVILAVA; REVAZ LORDKIPANIDZE; QABIL MANAFOV (Dean of Commerce Faculty of Azerbaijan State Economical University);

SHALVA MACHAVARIANI (Vice-President of Caucasus University in science field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (President of the Academy of Fazi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rector of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELASVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of an Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; TAMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); MICHAEL JIBUTI.



მეცნიერება

ზაირა ლუღუშაური - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას ადამ სმიტის „უჩინარი ხელი“ კი არა, ხელისუფლების მარჯვე ხელი სჭირდება 7

ბიორბი ნანუაშვილი - დანახარჯების აღრიცხვა ფორმირების ადგილისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით (პრობლემები, გადაწყვეტის გზები) 14

ეკა ლეკაშვილი, მარიამ ბიწაძე, ქეთევან ჯიქია - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ: უნგრეთი 20

დავით მუსხი - კონკურენციის თავისებურებანი საქართველოს სატელევიზიო და ინტერნეტ ბაზარზე 31

ბიორბი ლანელია - ბაზრის მონაწილეთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების როლი რისკების რაციონალურ მართვაში 36

ირმა მახარაშვილი - ენთროპია და სინერგეტიკა გადაწყვეტილებების მიღების რეგიონულ დონეზე 41

ქეთევან ლამბაშიძე, ქრისტინე ოღიშვილი - პიროვნული განვითარების მნიშვნელობა კარიერული ზრდის დაგეგმვის პროცესში 50

ბურბან კალაშიანი - ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და მისი წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით 54

ი. ნოზაძე, ბ. გამყრელიძე, ი. კვატაშიძე - მინერალური რესურსების მართვის საკითხები 62

სტუდენტური ხელვა

სალომე ეშიზაშვილი, მარინე ბიწაძე - ეფექტიანი კომუნიკაციის როლი ორგანიზაციაში 68

რუსუდან ბურაშვილი, ლოლიტა რუშა - რატომ ენიჭება ორგანიზაციულ კულტურას დიდი მნიშვნელობა თანამედროვე კომპანიებში 73

მართვის ახალბაზრული სკოლა

ლეილა ბიორბობიანი - ელექტრონული საქმისწარმოება 78

ანა მურაჩაშვილი - საოფისე კულტურა და ეტიკეტი სკოლაში (ერთი ექსპერიმენტის შესახებ) 81

კულტურა

სიმონ ზაქარაია - ქართული მიწის სიღრმიდან ჩვენი უძველესი წინაპრების მიერ შექნილი კულტურული ძეგლები მზის სინათლეზე 83

მეცნიერება და ხელოვნება

მანია კიკაბიძე - აკაკი - ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება 87

ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები

შალვა საბაშვილი - ევგენი ხარაძეს მალე 110 წელი შეუსრულდებოდა 93

რეცენზია 97



SCIENCE

ZAIRA GUDUSHAURI - AGRICULTURE DEVELOPMENT IN GEORGIA NEEDS CAPABLE HANDS OF GOVERNMENT INSTEAD OF ADAM SMITH'S "INVISIBLE HAND" 7
Giorgi Nanuashvili - Calculation of plucal expanses according to centers of forming and responsibility (problems, ways to resolve) 14
Eka Lekashvili, Mariam Bitsadze, Ketevan Jikia - Challenges of Economic Policy of Visegrad Countries after joining EU: Hungary 20
Davit Meskhi - Georgian TV and Internet-based markets' competition peculiarities 31
Giorgi Danelia - The Role of Market Participants' behavioral factors in rationale risk management process 36
Irma Makharashvili - Entropy and Synergetics of Disizion-making on Regional Level 41
Ketevan Ghambashidze, Kristine Odishvili - The value of personal development in the process of career planning .50
Gurgen Kalashyan - Calculation of Expected Credit Loss of Financial Instruments and its Presentation in Financial Statements in accordance with IFRS 9 Financial Instruments 54
I. Nozadze, G. Gamqrelidze, I. Kvatashidze - Mineral resource management 62

STUDENT'S VISION

Salome Ekizashvili, Marine Bitsadze - The role of effective communication 68
Rusudan Gurashvili, Lolita Rurua - Why organizational culture seems to be essential for modern companies? 73

THE YIUTH SCHOOL OF MANAGEMENT 78

CULTURE 83

SCIENCE AND ART

Maia Kikabidze - Akaki - Immortality bounded with Amiran ' chains 87

OUR FAMOUS COUNTRYMEN 93

BOOK REVIEWS 97

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას ადამ სმიტის „უჩინარი ხელი“ კი არა, ხელისუფლების მარჯვე ხელი სჭირდება

ზაირა ლუღუშაური
 საქართველოს ტექნიკური
 უნივერსიტეტის პროფესორი
 599314092
 Zaira.gudushauri@mail.ru

სასურსათო პრობლემა მსოფლიო გლობალურ პრობლემათა კატეგორიას მიეკუთვნება. XXI საუკუნეს კაცობრიობა სასურსათო პრობლემის სერიოზული გამწვავებით შეხვდა. თუ ამჟამად დედამიწაზე შიმშილობს 850 მილიონი კაცი, ექსპერტთა ვარაუდით, უახლოეს ათწლეულში მათი რაოდენობა მილიარდს გადააჭარბებს.

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოება ნებისმიერი ქვეყნისთვის აქტუალურია. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, რომლის მოსახლეობის 40-50 პროცენტი უკიდურესად ღარიბია და შიმშილობს.

წინამდებარე სტატია ეძღვნება სწორედ ამ პრობლემას და მისი გადაჭრის ერთადერთ გზად ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებას მიიხსენებს. ავტორი ასაბუთებს, რომ საქართველოს შეუძლია პირველ ეტაპზე მოახდინოს იმპორტირებული სურსათის ჩანაცვლება ბაზარზე, შეძლევ კი ეკოლოგიურად სუფთა და უნიკალური გემური თვისებების მქონე პროდუქტების მსოფლიო ბაზრისთვის შეთავაზება.

ავტორი აკრიტიკებს „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას (საქართველო – 2020)“, რომელშიც არაფერია ნათქვამი მომავალში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულეებზე, მის სამიზნეებზე, ქვედარგობივ სტრუქტურაზე და ა. შ. ავტორი მოითხოვს რომ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და პოლიტიკა ახლად უნდა შეიქმნას. იგი უნდა შეიმუშავონ მხოლოდ ამ დარგის სპეციალისტებმა. ამის გარდა, ავტორი მოითხოვს, რომ ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგი, როგორც სოფლის მეურნეობა (კვების მრეწველობასთან ერთად), სახელმწიფოს მხრიდან რეგულირდებოდეს (და ფინანსდებოდეს) და არ იყოს მიგდებული ბაზრის „უჩინარი ხელის“ იმედზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის 15-მა წელმა აშკარა გახადა, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის მიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომა რეობა ვერ გამოსწორდება სოფლის მეურნეობის ადამ სმიტის „უჩინარი ხელისთვის“ მიგდებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობა იმდენად დეგრადირებული და დაცემულია, რომ ბაზრის კანონები მას ვერ უშველის. საჭიროა მისი სწორი სტრატეგიით და ტაქტიკით მართვა. ეს ქვეყნის მთავრობამ უნდა შეიმუშავოს და სოფლის მეურნეობა საბაზრო ბერკეტებთან შეთანაწყობით მართოს.

1. ჩვენი სიღარიბის მიზეზი სოფლის მეურნეობის დაცემაა.

სახოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების თემატური ჯგუფის – „ეკონომიკა, სოფლის

მეურნეობა და გარემოს დაცვა“, 2012 წლის მაისში შეიმუშავებულ დოკუმენტში – „საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფცია“ (ავტორები ნ. ძიძიკაშვილი, დ. გიორხელიძე) აგრობიზნესის ხაზით ჩაწერილია შემდეგი: „საქართველოს ყველაზე მეტი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ეფექტი შეიძლება მოუტანოს „ეკოლოგიურად სუფთა და მაღალხარისხის სურსათის (კვების პროდუქტების) წარმოებამ, სამამულო სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე აგროსამრეწველო კომპლექსის აღორძინებამ, იმპორტის შემცირებამ და მისმა ჩანაცვლებამ ადგილობრივი ინოვაციური სასურსათო პროდუქციით“ [1, გვ. 8]. ამ დოკუმენტში საქართველოსთვის მისაღები სხვა საბაზრო ნიშებიც არის ჩამოთვლილი – ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება, გარღვევა ენერგეტიკის სფეროში და სხვა, მაგრამ ჩვენი აზრით, პირველ

სხალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ლი, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, და, ამ დოკუმენტშიც იგი №1-ად არის დაფიქსირებული, ყველაზე მთავარიცაა, მიღწევადი და პრიორიტეტულიც. მთავარი იმიტომ, რომ საქართველო თავისი მრავალფეროვანი ბუნებით, პირველ რიგში, მაინც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, მიღწევადი იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის 55-60% სოფელში ცხოვრობს და მათი საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა, პრიორიტეტული კი იმიტომ, რომ ეს არის დარგი, რომელშიც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი პარტიკულა, ერთხმად – ერის და ბერის დონეზე, იძლევა იმის იმედს, რომ აქ ჩვენ მსოფლიო ბაზარს შევთავაზებთ რამდენიმე სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, რომელთა ეკოლოგიური სისუფთავე და გემური თვისებები თანა მედროვე მსოფლიოსთვის არნახული იქნება. ამით ჩვენ შევძლებთ შევიდეთ სასურსათო პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე და ბრაზილიის, კანადის, ჩინეთის, უნგრეთის, პორტუგალიის, ფინეთის და ზოგიერთ სხვა ქვეყნების გვერდით, დავიკავოთ ჩვენი ადგილი. ჩვენ ამ „გუნდში“ ახალი მოთამაშე ვიქნებით. თავიდან ალბათ „სტუმრის სტატუსით“, თუმცა ამ ადგილსაც კი ასე ადვილად არავინ დაგვითმობს, რადგან ბაზარი დაუნდობელია, ავია, იქ ადამ სმიტის „უჩინარი ხელი“ მუშაობს, რომელმაც არც ნათესავი იცის, არც მოკეთე და არც სტუმარ-მასპინძლობას ცნობს.

ეს მცირე რომანტიკული გადახვევა იმიტომ დამჭირდა, რომ ჩემი თავსაც და ყველას, ვინც საქართველოში ამ გზას დავადგებით, შევახსენო, რომ ამ ნიშის დაკავება, იქ უკვე მყოფთა „გაწეწ-ჩამოწეწვა“ არ იქნება ადვილი. ჩვენ უშედავთო ბრძოლა მოგვიწევს, მაგრამ ეს მეორე რიგის ბრძოლა იქნება, პირველი ბრძოლა ჩვენ აქ, ადგილზე, ჩვენ მამულ-დედულში უნდა დავიწყოთ. არა ისე, როგორც ახლა, „ვითომდა, რომ სოფლად რაღაცას ვაკეთებთ“. ამ „ვითომდათი“ ხომ ვხედავთ ადგილობრივ ბაზარზეც კი ვერ ჩავანაცვლეთ იმპორტული სასურსათო პროდუქტი. იგი 80-95% უცხოური პროდუქტებით არის გაჯერებული. კი – უკემური, ფალსიფიცირებული, გენმოდლიფიცირებული, ჯანმრთელობისთვის საშიში ანუ მავნე, მაგრამ – იაფი. საქართველოს გადატაკებულ მოსახლეობას კი მეტი არჩევანი არა აქვს. პოდა, აგერ 24 წელია საქართველოს მოსახლეობას შიმშილით სიკვდილის საშიშროება უდგას და განა იმაზე იფიქრებს პროდუქტი ფალსიფიცირებული და გენმოდლიფიცირებულია თუ არა, მისთვის მთავარია ისეთი ფასი, რომ შეძლოს მისი ყიდვა. პოდა, რადგან ფასი დაბალია, გაცნობიერებულად თუ

გაუცნობიერებულად, მისთვის ის მისაღებია. ყველა პოპულაციაში შიმშილი ყველაზე ძლიერი ფიზიოლოგიური ინსტიქტია. განა შიმშილი მგელი ცხვარს რომ დაიჭერს იმაზე ფიქრობს „ე, მანდ ბროცელიოზი არ ქონდესო“. რა თქმა უნდა არა. მკითხველს ბოდიშს ვუხდი ასეთი პარაფელისთვის, მაგრამ რა, მშვიერი ადამიანი მშვიერ მგელზე ნაკლებია? ცუდად არ გამიგოთ, მე მოშიებულ ადამიანზე არ ვსაუბრობ. მე ვსაუბრობ მშვიერზე. ეს ქრონიკულად მოშიებული ადამიანია, ადამიანი, რომელსაც სულ შია, შია და არა აქვს მისი დაკმაყოფილების წყარო. გავიხსენოთ კანბაბალიზმის რა ფაქტებს ქონდა ადგილი 30-იანი წლების უკრაინაში, ანდა გერმანელების მიერ ბლოკირებულ ლენინგრადში.

ამ სტატიის წამკითხველთაგან 5-10 პროცენტი ალბათ მიმოიხედავს და იფიქრებს „ჩემს გვერდით ასეთი არავინ არის“ (ესენი „ახალი, მდიდარი ქართველები“ არიან“). 20 პროცენტი იფიქრებს, კი, არიან, მაგრამ „არა ჩემს გვერდით“ (ესენი შეძლებული ქართველები არიან). 10 პროცენტი იფიქრებს, „მართალია, ჩემს გვერდით ერთ-ორს ცუდად წაუვიდა საქმე“ (ეს საშუალოდ შეძლებულნი, ანუ „ამოსუნთქულები“ არიან). დანარჩენ 60 პროცენტს ფიქრიც არ სჭირდება. მათ იციან, რომ ისინი ჩემს რიგებში არიან და მე მათ რიგებში ვარ. ჩვენ საქართველოს მოსახლეობის ქრონიკულად მშვიერი ნაწილი ვართ. ჩვენ ღარიბები ვართ. ჩვენ არჩევანი არა გვაქვს. დიახ, ვყიდულობთ იმპორტულ ვადაგასულ, ფალსიფიცირებულ პროდუქციას და ბავშვებსაც იმას ვაჭმევთ, იმიტომ რომ დღეს, ამ წუთს, გადავრჩეთ შიმშილით სიკვდილისგან. ხვალ კი, რაც იქნება, ის იქნება.

ჩვენ სიზარმაცისგან არ გავღარიბებულვართ. ჩვენ სისტემამ გაგვადარიბა. დაკარგეთ ყველაფერი – სახლიც, კარიც, სამსახურიც, საღაროს ანაბარიც, გარანტირებული ხელფასიც და ამასთან ერთად, და, ამის შედეგად, დაკარგეთ ღირსეობაც. დიახ, ღირსეობა! რამეთუ ფული მარტო გადახდის საშუალება არ არის, ფული ღირსეობაა. არა, იმას არ ვგულისხმობ ფულიანი კაცი რომ თამამია, ამპარტავანია, და ყოყლოჩინა. რელიგიურად ეს ცოდვებია. მაგრამ ადამიანს ზომიერად ცხოვრებისთვის საკმარისი ფული უნდა ქონდეს და უნდა მივცეთ მას საშუალება, რომ ეს გამოიმუშავოს.

საქართველოში დღეს ყველაზე მეტად სოფლის მოსახლეობას უჭირს, ქალაქებში ადამიანი რაღაცით დასაქმდება. აქ იყიდის, იქ გაყიდის, ვიღაცას ტვირთის გადატანაში მიეხმარება, ორ კაცს შუა ჩადგება და ორი გროშის ფასად



შუამავლად მოგვევლინება. სოფლის კაცმა რა ქნას? კი მიწა მივეცი, მაგრამ იმ დუხჭირ 90-იან წლებში უმრავლესობამ მაშინვე გაყიდა ეს მიწა. ვინც დაიტოვა, საბჭოთა დროინდელი ტექნიკით ანუ თოხით და ბარით თავის პატარა „ნადელს“, რაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ქონდა, ასე თუ ისე ამუშავებდა, ეხლა კი, როცა მას მივეცი 0,5, 0,75, 1 ჰექტარი და ზოგს მეტიც, ბარით და თოხით ვეღარ დაამუშავა. კი, მოსინჯა კიდევ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და მიატოვა იმის ლოდინით, იქნებ მთავრობამ მოგვხედოსო. 4 მთავრობა გამოიცვალა მას შემდეგ! აბა, გზები, აბა გვირაბები, აბა პარკები, აბა ენერჯეტიკა, მილსადენები, ტურიზმი ბარში, ტურიზმი მთაში, ანუ ყველა ფერი ის, რაც მთავრობაში ვინმეს ინტერესებში შედიოდა, ან ვინ სად ელოდა საკუთარი ჯიბის გასქელებას. ეს არ იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და არც დღეს არის. კი, 2012 წელს ოქტომბრიდან ქვეყნის მეოთხე მთავრობამ სცადა შემობრუნება სოფლის მეურნეობისკენ, თავის პროგრამაც დააფიქსირა, გარკვეული სახსრებიც გაიღო და ზოგიერთი ინიციატივებიც შესთავაზა გლეხობას – „წარმოე საქართველოში“, „იაფი კრედიტი“ და სხვა, მაგრამ ეს როგორც აღენიშნე, იყო მცდელობა, ცდა და არა რადიკალური შემობრუნება. ქვეყანას კი სოფლის მეურნეობაში სწორედ რადიკალური შემობრუნება სჭირდება.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას სწორი სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდება.

ქართული სოფლის დიდი ქომაგი, სოფლის მეურნეობის დიდი სპეციალისტი პროფესორი პ. კოდუაშვილი წერს: სასოფლო-სამეურნეო წარმოება კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. ფსიქოლოგიურად და კულტურულად სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია... გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქმნელია... გლეხკაცი არის ქართველი ერის ხერხემალი, საზოგადოების გამომკვები...“ [2].

თუ საქართველოს მთავრობამ ეს ვერ გაითავისა, მაშინ კატასტროფა გველის. რატომ ასეთი პროგნოზი? იმიტომ რომ 24 წელიწადია ავით თუ კარგით, ნამდვილად თუ ფალსიფიცირებით, უცხოელები გვკვებავენ. რომ დადგეს დღე და მეცნიერები ამბობენ რომ ეს დღე 2030 წლიდან გვემუქრება, ისინი თავის თავის გამოკვებასაც ვერ შეძლებენ, მაშინ ჩვენ ვის იმედზე ვრჩებით? აი, ეს არის ჩვენი შიშის საფუძველი და ეს შიში საფუძვლიანი შიშია.

დღეს აქტიურად გაისმის ლაპარაკი პრესაში თუ ტელევიზიაში, რომ ტრადიციული (მაგალითად, სამრეწველო) ეკონომიკიდან ახალ, ინფორმაციულ ეკონომიკაზე (მაღალი ტექნოლოგიების ეკონომიკა, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა) გადავდივართო. ზოგმა ეს ისე გაიგო, რომ მთავარია ვფლობდეთ ინფორმაციას და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და რაღად გვინდა წარმოება. მართალია, არა თუ ჩვენთან, არამედ აშშ-იც კი ახალმა ეკონომიკამ ჭარბი ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი თავისკენ „გადაქანა“ [3, გვ. 430]. ასე რომ, ძველმა ეკონომიკამ ახალთან ბრძოლა წააგო ინვესტიციურ მიმზიდველ ლო ბაში და ძველ ეკონომიკაში დაიწყო ფარდობითი რენტაბელობის განუხრელი შემცირება, ახალ ეკონომიკაში კი პირიქით – მისი ზრდა. ამ ფონზე რა განსაკვირია, რომ თავისუფალი კაპიტალი იქით გადაიქანა, საითაც მეტი მოგება იყო მოსალოდნელი და ინვესტორებმაც და ბანკირებმაც თავისი კაპიტალი მისკენ მიმართეს.

მაგრამ ჩვენ შემთხვევით არ გვიხმარია სიტყვა „მოსალოდნელი“ იქ, მოგება დიდია, მაგრამ მოსალოდნელია და არა დღევანდელი. იქ საქონელზე ფასს მომავალი, შეიძლება ითქვას, ვირტუალური მოგება განსაზღვრავს (ტრადიციულ ეკონომიკაში კი საქონელზე ფასი დღევანდელი მოთხოვნა-მიწოდებით ყალიბდებოდა). იქ, ინფორმაციული ეკონომიკის ბაზარზე აქციების ფასს ბირჟაზე არა მიმდინარე, არამედ მომავალი, გაურკვეველი და ამასთან მისადებად საკმაოდ საეჭვო შემოსავალი [4, გვ. 19] განსაზღვრავს.

ასე მოხდა მთელ მსოფლიოში და ასე ხდება დღეს საქართველოშიც. ინვესტორებს და ბანკირებს ვერც გაამტყუნებ და ვერც დაადანაშაულებ, რომ არ მიმართავენ თავიანთ ფულს წარმოებაში, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში. ეს მათი საქმეა. ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ ახალი ეკონომიკა პოსტ ინდუსტრიული საზოგადოების წინწაწეული ფაზაა თუ რაიმე სრულად ახალი, თეორიულადაც კი არ არის გადაწყვეტილი, ასეა თუ ის, თუ რას მოუტანს იგი მსოფლიო საზოგადოებას და იგი მართლაც წინწაწეული ფაზაც რომ იყოს, ხომ აბსურდია იმის ფიქრი, რომ იგი მატერიალური პროდუქტის წარმოებას ჩაანაცვლებს. ზოგმა ხომ ეს ასე გაიგო. რა თქმა უნდა, იგი კარგია, პროგრე სულია, იმიტომ რომ ეს ახალი ცოდნის და ახალი ტექნოლოგია უნდა შევუწყო ყვილოთ პროდუქციის წარმოებას სოფლის მეურნეობაც და სხვა დარგებშიც. მხოლოდ მათი მეშვეობით უნდა მოვახდინოთ გარდგევა პროდუქციის მწარმოებელ დარგებში და ასეთი

ინოვაციური აქტიურობის ამადლებით შევძლოთ სამამულო წარმოების აღორძინება განვითარებული ქვეყნების დონემდე, და, არა თუ ჩვენი მოსახლეობისთვის თვითკმარი პროდუქცია უნდა ვაწარმოოთ, არამედ მსოფლიო ბაზარზეც უნდა გავიტანოთ.

საქართველოს ეკონომიკა ჯერ-ჯერობით ვითარდება არაინოვაციური გზით. წინა ხელისუფლება ამას ხსნიდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის უპირა ტე სობით. რომ, თითქოს, მხოლოდ საბაზრო მექანიზმმა უნდა მოაწესრიგოს ეკონომიკის ყველა სფერო. ჯერ ერთი, ჩვენი აზრით, და, ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა სრულიად არ გამორიცხავს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში. „სწორედ სახელმწიფომ – წერს ქართველი მეცნიერი რ. აბესაძე, – უნდა შექმნას პირობები ეკონომიკის სწორი მიმართულებებით განვითარებისა... სწორედ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეროვ ნული წარმოების ხელშეწყობის პოლიტიკა, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით“ [5, გვ. 7]. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველომ ამ მიმართულებით ქმედითი ინსტიტუტების ფორმირება სულ ახლახან დაიწყო. 2013 წელს მომზადდა მასალები და შეიქმნა „საქართველოს სუვენერული ფონდი“, რომლის რეორგანიზაცია შემდეგში მოხდა „საქართველო ღოს განვითარების ბანკად“. მან 2014 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება კერძოდ, სესხების გაცემა კომერციული ბანკების მეშვეობით და გარანტიების წარდგენა. 2013 წელსვე შეიქმნა სოფლის მეურნეობის ფონდი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2013 წლიდან დაიწყო შეღავათიანი კრედიტების გაცემა დევიზით „წარმოე საქართველოში“ და ა. შ. მაგრამ ამასაც, ისე როგორც ყველა სიახლეს საქართველოში, უამრავი ბარიერი დახვდა წინ (მაგალითად, ბანკებისგან სესხის საგარანტიოდ ქონების მოთხოვნა).

ასე რომ, ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია იმასთან, რაც საქართველოს სჭირდება. ერთხელ უკვე აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპისა და ინოვაციების მასშტაბების მიუხე დავად, დღესაც და მომავალშიც მიწის რესურსი, მიწათმოქმედება და მათი მეშვეობით მიღებული პროდუქტი კვლავ რჩება თანამედროვე ცივილიზაციის, საზოგადოების განვითარების საფუძვლად. ასეთ დროს მიწის რესურსი არაკვლავ წარმოებადი რესურსია. ასეთი რესურსის უკუგება თანდათან მცირდება,

მსოფლიოს მოსახლეობა კი იზრდება [5, გვ. 108]. ეს ფაქტი გამოცდის წინაშე აყენებს საზოგადოებას – კვლავაც გავაგრძელოთ არაგანახლებადი რესურსის ინტენსიური გამოყენება თუ არა? სპეციალისტები შენიშნავენ, რომ დღეს მსოფლიოში სულ უფრო მიუღებელი ხდება განვითარების ის მოდელი, რომელიც არაგანახლებადი რესურსების ინტენსიურ გამოყენებას ეფუძნება.

ასე რომ, არა თუ ჩვენი, სადაც სოფლის მეურნეობა ძალიან ჩამორჩენილია, არამედ ამერიკელებიც, რომელთაც სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონე აქვთ, დადგენ დილემის წინაშე, თუ როგორ იმოქმედონ ამ სფეროში, ეკონომიკურ ინტერესს დაუჭირონ მხარი თუ ეკოლოგიურს.

იმის მიუხედავად, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას, პირველ ეტაპზე თვითკმარი პროდუქციის წარმოებასა და იმპორტჩანაცვლებაზე უნდა ავიდოთ ორიენტაცია, ხოლო მეორე ეტაპზე – მსოფლიო ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ექსპორტზე, აქედანვე უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება მოხდეს ეკონომიკურ და ეკოლოგიის ოპტიმალური გაწონასწორებით. ეს მიიღწევა მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებით, რომელიც, რა თქმა უნდა, გულისმხობს სოფლის მეურნეობის მაღალ ტექნოლოგიურ საწყისებზე გადაყვანას, მაგრამ აუცილებლად ბუნებრივი რესურსების დაცვით, როდესაც დომი ნანტი იქნება ეკოლოგიური მოტივაცია. ანუ უნდა მივაღწიოთ ქართული სოფლის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ გაწონასწორებას და ამ საფუძველზე უსაფრთხო, ხარისხიანი კვების პროდუქტების დამზადებას და მსოფლიო ბაზარზე სწორედ ასეთი პროდუქტებით უნდა წარვსდგეთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სოფლის მეურნეობა დღეს მეტად ჩამორჩენილია. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში თუ 2007 წელს იყო – 16,7%, 2014 წელს შეადგინა – 9,2%. 2014 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოებულმა დამატებულმა ღირებულებამ შეადგინა 1990 წელს წარმოებული მაჩვენებლის მხოლოდ 38%.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება შემცირდა არა მხოლოდ 1990 წლის დონესთან შედარებით, არამედ 2007 წელთან შედარებითაც. მარ-თალია, ეს მოხდა ზოგიერთ პროდუქტზე, მაგრამ სწორედ ისეთებზე, რომელთა კვების რაციონში ჩართვა აუცილებელია. ასეთებია: ხორცი და რძე. 2013 წელს ხორცის წარმოებამ საქართველოში შეადგინა 48,4 ათასი ტონა,



ხოლო რძისამ 604,7 ათასი ტონა [7, გვ. 163, 170], რაც 2007 წლის შესაბამისი მაჩვენებლების მიმართ მხოლოდ 66,3 და 96,8 პროცენტს შეადგენდა. ამ მიზეზით საქართველო მოსახლეობამ 2013 წელს მოიხმარა (ერთ მცხოვრებზე ანგარიშით) 17 კგ ხორცი და 39 კგ რძე [8, გვ. 63-64] ანუ რაციონალური ნორმის მხოლოდ 24 და 11 პროცენტი შესაბამისად. კვების რაციონალური ნორმა უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმის ჰარმო ნიულ განვითარებას. ამ ზღვარს ქვემოთ დროთა განმავლობაში ორგანიზმი სწეულდება და თანდათან წყვეტს არსებობას.

ამ ფონზე, როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სახელმწიფომ ეკონომიკის რეალური სექტორი და უპირველესად სოფლის მეურნეობა, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაში (საქართველო – 2020)“ სრულიად უყურადღებოდ დატოვა და მხოლოდ ერთგან და მხოლოდ 0,5 გვერდი (გვ. 42) დაუთმო მას, ისიც სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურას (ირიგაცია, დრენაჟი და სხვა), და, არა სოფლის მეურნეობის სამომავლო მიმართულებებს, მის სამიზნეებს, შიდა დარგობრივ სტრუქტურას, გაფართოება-შეკვეცას, რეგიონულ განთავსებას და ა. შ. განა შეიძლება ქვეყნის სტრატეგიაში არ ჩანდეს, რას ვაპირებთ ამ დარგში და მის ქვედარგებში მომავალში, რომელ ქვედარგს შევკვეცავთ და რომელს განვავითარებთ, რომელ რეგიონში რას მივცემთ უპირატესობას და ა. შ. ნუთუ ჩვენი ქვეყნის მთავრობა თვლის, რომ ეს მას არ ეხება და იგი კერძო სექტორს „მიუგდო“? მიგდებული, რომ არის ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ სახელმწიფოს დარგის განვითარების ჩარჩო მოდელი ხომ უნდა ჰქონდეს, ამას ხომ სოფლის გლეხკაცი ვერ გააკეთებს.

ჩვენი ღრმა რწმენით, რაშიც ყველა მეცნიერ-ეკონომისტი დაგვეთანხმება ამ დოკუმენტში ყველა დარგის და მათ შორის და პირველ რიგში სოფლის მეურნეობის მომავლის სამიზნეები უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ამას გლეხები ვერ გადაწყვეტენ. ეს საქართველოს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს. საქართველოს რომელ რეგიონში რაზე ვიღებთ ორიენტაციას – სად ხილზე, სად ბოსტანზე, სად ვენახზე, სად მეფრინველეობაზე და ა. შ. თუ ამის პასუხი ის იქნება, რომ ამას ბაზარი დაარეგულირებს, მაშინ ბაზარში გასულ კახელ გლეხს წელს რომ ყურძენი დაუაფდებია, ვენახი უნდა გაჩეხოს, ხოლო მის ნაცვლად ჩაყრილი ატამი რომ დაუაფდებია, ახლა ის უნდა გაჩეხოს? ამას ქვია სახელმწიფო მიდგომა ეკონომიკაში? ასე ხდება საზღვარგარეთის მაღალგან ვი თა რებულ ქვეყნებში? რა მოგვდის,

უცოდინრობით ვლუპაეთ ქვეყანას თუ სხვა რაიმე ქვემიზნებით? ან ეს დოკუმენტი ვინ შეადგინა? არ ჩანს მასში ქართველი კაცის ქართულად ნააზრევი საქართველოზე, მის ბედ-იღბალზე. კი, მასში მრავლადაა საუბარი ინოვაციებზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, საფონდო-საფინანსო შუამავლების (ძირითადად საფონდო ბირჟაზე) განვითარებაზე და ა. შ., მაგრამ ეს ყველაფერი ეკონომიკის (მ. შ. სოფლის მეურნეობის) აქტიური განვითარების გარე პირობებია და არა თვით ეკონომიკა.

ჩვენ ეკონომისტებს კი უპირველესად გვაინტერესებს როგორია საქართველოს მთავრობის განვითარების სამომავლო სახელმწიფო პოლიტიკა ეკონომიკაში, მის დარგობრივ, ქვედარგობრივ და რეგიონულ ჭრილში – რას ვაფარ თოვებთ, რას ვკვეცავთ, რას რითი ვანაცვლებთ და ა. შ. როცა საქართველოს ეს სტრატეგია დახვეწილი, ასჯერ გაზომილი და ერთხელ გადაჭრილი, მოფიქრებულ-გააზრებული, შიდა და გარე გარემოს ცვლილებებთან შეძლების დაგვარად მისადაგებული და სახელმწიფოს მხრიდან გარანტიებით დაცული იქნება, მაშინ კი ბატონო, გვეჭირდება ინოვაციებზეც მსჯელობა და ინვესტიციებზეც, რადგან მათ გარეშე ეკონომიკას, მ. შ. სოფლის მეურნეობას, მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე ვერ განვავითარებთ. მაგრამ ესეა, როცა არაფერს ვამბობთ, რის განვითარებას ვაპირებთ და რა იქნება ჩვენი სამომავლო პრიორი ტეტები, ანუ სად, რაში უნდა დაგხარჯოთ ეს ინვესტიციები ან ვისთვის გვინდა ეს ინოვაციები და მაღალტექნოლოგიები, ცარიელ, უაზრო ფრაზეზებად რჩება ისინი მოცემულ დოკუმენტში.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით და მხარს ვუჭერთ პროფესორ პაატა კოლუაშვილს, რომელიც შეიძლება ითქვას ერთადერთი პროფესიონალია, რომელიც ხშირად ახსენებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ უნდა ვის-წავ ლოთ სოფლის მეურნეობის გაძღოლის ანბანი, რომ არ შეიძლება მისი სტიქიური საბაზრო ძალებისთვის მინდობა. ეს დიდი რისკფაქტორია ქვეყნის ეროვნული სასურსათო უსაფრთხოებისთვის. ამიტომ იგი სახელმწიფომ მკაცრად უნდა არეგულიროს. ეს ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ წარმოებასაც (კვების მრეწველობა). ეს ორი დარგი ეროვნული, სტრატეგიული მნიშვნელობის რანგში უნდა ავიყვანოთ. თუ არ გვაქვს, შევექმნათ აგრარული კანონები, თუ გვაქვს ვსრულყოთ ისინი. ჩვენ არ ვიცით, სხვას ვკითხვით, სხვისი გამოცდილება გავიზიაროთ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების, რომელმაც 80-იანი წლების მეორე ნახევარში სოფლის მეურ-

ნეობის სუბსიდირება საბიუჯეტო სახსრებით 58 მლრდ დოლარით მოახდინა [2, გვ. 21]. ამან აშშ-ს საშუალება მისცა არამარტო გაეძლიერებინა თავისი ზემოქმედება ბაზრის, სათესი ფართობების, წარმოების მოცულობის კონიუნქტურული ცვლილებებსა და ფერმერების შემოსავლებზე, არამედ გამს და რიყო ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარი მყიდველი და განმანაწილებელი. ამით აშშ-ს მთავრობამ ადგილობრივი ფერმერები დაიცვა საბაზრო სტიქიისგან და ქვეყნის გარედან შემოსული კონკურენტებიდან. ჩვენ კი რას ვშვრებით. პრესაში თუ ტელევიზიაში, ხშირად კი სოფლებში ადგილზე ჩასვლით, მაღალფარდოვანი სიტყვებით დავირდებით მოსახლეობას (განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში), რომ მთავარია მოსავეალი აიღონ უდანაკარგოდ და მერე მის რეალიზებაში ჩვენი იმედი ქონდეთ. მაგრამ რა? მოსაველის ალებისას ეს დაპირებები ილუზიად რჩება და მოსავეალი ან მინდორშივე, ანდა სახლში მოტანილი უღპებათ...

დღეს, უკვე სავსებით ნათელია, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, სრულიად მართალია პროფესორი პ. კოლუაშვილი როცა წერს, რომ „საჭიროა აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგია და მის საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავება“ [2, გვ. 33]. ეს სამთავრობო დოკუმენტი უნდა შეიქმნას მხოლოდ და მხოლოდ ამ სფეროს სპეციალისტების მიერ და გაეცნოს საქართველოს მთელ მოსახლეობას. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ქვეყანას სოფლის მეურნეობის განვითარების პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება სჭირდება. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ, აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად. ასეთი პოლიტიკა შეუნარჩუნებს საქართველოს გარანტირებულ ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას გარე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფცია, 2012.
2. კოლუაშვილი პ., რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. VIII, №1, 2015.
3. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002.
4. Хазин М., Григорьев О., Сценарии крушения доллара в ближайшем перспективе. В. книге Крах доллара, М., 2001.
5. აბესაძე რ., ინოვაციები – ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორი, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული, 27-28 ივნისი, 2014.
6. ფალავანდიშვილი ნ., სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების გამოცდილება და პრობლემები, ჟ. „ეკონომიკა“, 2009, №7.
7. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2014.
8. ჩიქავა ლ., საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონი და მოხმარება, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული, 27-28 ივნისი, 2014.

AGRICULTURE DEVELOPMENT IN GEORGIA NEEDS CAPABLE HANDS OF GOVERNMENT INSTEAD OF ADAM SMITH'S "INVISIBLE HAND"

ZAIRA GUDUSHAURI
PROFESSOR OF GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Food problem belongs to global problems. The humanity met XXI century with serious exacerbation of food problem. If nowadays 850 million people starve in the world, according to experts in decade this amount will exceed billion.

In the modern world the food safety is important in any country. In view of this Georgia also is no exception, with 40-50 % of population extremely poor and starving.

Current article is dedicated to this problem and considers the agricultural development as the only way for its salvation. The author proves that Georgia can replace imported food at the first stage and proposed ecologically clean and tasty product to the world market on the second stage. The author criticizes "Social-economic Development strategy of Georgia (Georgia 2002)" which says nothing about the future directions of agricultural development directions, targets, sub-sector structures etc. The author requires renewing the strategy and policy of agricultural development. It should be worked out only by professionals in this branch. In addition, the author claims that such strategically important branch as agriculture (along with food production) should be regulated (and founded) by government and not be in the hope of an invisible hand of the abandoned market.



დანახარჯების აღრიცხვა ფორმირების აღბილისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით (პრობლემატიკა, ბალანსების გზები)

ბიორბი ნანუაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სახელი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მეურნეობრივი ანგარიშსწორების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად გვევლინება დანახარჯების განსაზღვრა მიღწეული შედეგების მიხედვით.

ნაკლებად შესწავლილად მიგვაჩნია ფაქტიური დანახარჯების განსაზღვრისა და შიდასაქარხნო შედეგების გაანგარიშების პრობლემა მონაკვეთების, ბრიგადების, განყოფილებების, ლაბორატორიების და სხვა ქვემდგომი დანაყოფების დონეზე. ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ასეთი აღრიცხვის საფუძველი უნდა იყოს დანახარჯებისა და შედეგების დაჯგუფების ფორმირების ადგილი.

ზოგიერთი ავტორები ბუღალტრული აღრიცხვის გადაუჭრელ პრობლემათა რიცხვს მიაკუთვნებენ საფუძვლიან განსხვავებას ცენტრსა, დანახარჯთა ადგილებსა და პასუხისმგებლობის ცენტრებს შორის. ბევრი საიხლე წარმოიშობა აღრიცხვის ნორმატიული მეთოდის შინაარსში, რომელიც ორიენტირებულია გადახრების გამოსაველენად არა პროდუქციის სახეების მიხედვით, არამედ მათი დამზადების ადგილის მიხედვით.

მეურნეობრივი ანგარიშსწორების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად გვევლინება დანახარჯების განსაზღვრა მიღწეული შედეგების მიხედვით. საწარმოს დონეზე იგი მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე აღრიცხული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგების დაპირისპირებით მისი წარმოებისა და გასაღების სრულ ფაქტიურ თვითღირებულებასთან. რთულად არის საქმე, როდესაც იგი ეხება ფაქტიური დანახარჯების განზოგადებულ აღრიცხვასა და შიდასაქარხნო ქვედანაყოფების საქმიანობის შედეგებს. აქ ფაქტობრივად თეორიულადაც და პრაქტიკულადაც გადაწყვეტილია საკითხი დანახარჯთა სისტემური აღრიცხვისა და საბოლოო პროდუქტის გამომშვებ საამქროთა წარმოების მოცულობის შესახებ, აგრეთვე იმ ნახევარფაბრიკატებისა და მომსახურების შესახებ, რომლებზედაც დადგენილია ან შეიძლება დადგენილი იყოს ფასები.

ჩვენი აზრით, ნაკლებად შესწავლილად მიგვაჩნია ფაქტიური დანახარჯების განსაზღვრისა და შიდასაქარხნო შედეგების გაანგარიშების პრობლემა მონაკვეთების, ბრიგადების, განყოფილებების,

ლაბორატორიების და სხვა ქვემდგომი დანაყოფების დონეზე. ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ასეთი აღრიცხვის საფუძველი უნდა იყოს დანახარჯების და შედეგების დაჯგუფების ფორმირების ადგილი.

მცდელობა იმისა, რომ შემუშავებული ყოფილიყო დანახარჯების აღრიცხვის სისტემა ადგილისა და წარმოშობის ცენტრების ჭრილში საამქროების, განყოფილებების და ქარხნის მართვის სამსახურების შიგნით არა ერთხელ განხორციელდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მთავრდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის გარეშე. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მხედველობაში არ იყო ხოლმე მიღებული დანახარჯების ბუღალტრული განზოგადების თავისებურებები, რომელიც ითვალისწინებდა დოკუმენტური რეგისტრაციის აუცილებლობას, ინფორმაციის სისტემურ ასახვას, მის მიერ აღრიცხული მოვლენებისა და ფაქტების მთლიან მოცულობას. ისმებოდა ამოცანა, მაგალითად აღრიცხვა გვეწარმოებინა მხოლოდ სამეურნეო რგოლების დანახარჯების ნაწილში ან მხოლოდ ცალკეული ქვეჯგუფების მონაკვეთების, სამსახურების მიხედვით

სხვა ხარჯებთან რაიმე კავშირის გარეშე. ყალბდება პირობითი დანახარჯების მუხლები საანგარიშსწორებო პრეტენზიების სახით, რომლებიც არ აღირიცხებოდა ბუღალტრულ აღრიცხვაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულით არ ხდებოდა აღრიცხვის სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფა, დანახარჯთა ერთიანობის (ნაერთის) შესაძლებლობა, მათი ურთიერთ შედარება, შიდასაქარხნო ანგარიშსწორების ფაქტიური შედეგების უტყუარობის კონტროლი. ცხადია, რომ ასეთი აღრიცხვა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მიხნეულ იქნას, როგორც ოპერატიული აღრიცხვის ნაირსახეობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში როგორც ბუღალტრული აღრიცხვა. ოპერატიული აღრიცხვა კი როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში უშვებს გამარტივების, პირობითობის შესაძლებლობას. იგი არ ხასიათდება სისრულით და დოკუმენტური დასაბუთებულობით. ის რაც მისაღებია რაოდენობრივი, ძირითადად მოცულობითი მაჩვენებლების გეგმის შესრულებაზე მიმდინარე (თვის განმავლობაში) დაკვირვებისათვის, არ გამოგვადგება საანგარიშსწორებო საქმიანობის საბოლოო შედეგების კონტროლისათვის, თვითღირებულებისა და მოგებისათვის, ზარალის თანხის გნსაზღვრისათვის, რაც საწარმომ განიცადა მოუქნელი მეურნეობრივი საქმიანობიდან.

ადრე საწარმოებში არსებული მექანიზაციის დონე, რომლითაც მუშავდებოდა ეკონომიკური ინფორმაცია, უკეთეს შემთხვევაში, საშუალებას გვაძლევდა დანახარჯებისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგების აღრიცხვის ორგანიზაცია გვეწარმოებინა საამქროების ჭრილში. სხვა საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა არც კი ხდებოდა, რადგანაც ყველას ესმოდა, რომ დანახარჯებისა და წარმოების მოცულობის აღრიცხვა ადგილისა და ცენტრების მიხედვით დაკავშირებული იყო აღრიცხვის შრომატევადობისა და მისი ღირებულების ზრდასთან. მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც არ იყო ეს. მიზეზად ჩვენ სხვა მიგვაჩნია. იმ პერიოდისათვის არსებობდა ერთიანი საერთო სახალხო საკუთრება, რომლის დროსაც წარმოების განვითარების ექსტენსიურობის პირობებში ორიენტაცია გეგმის რაოდენობრივი, მოცულობითი მაჩვენებლებით არ ახდენდნენ დანახარჯთა ეკონომიის სტიმულირებას. წარმოების ხელმძღვანელები, მონაკვეთებისა და საამქროს უფროსები არ ინტერესდებოდნენ დანახარჯთა დონით, რომლებიც დაკავშირებული იყო მათ საქმიანობასთან. ასეთი მიდგომით განსაკუთრებით „ზარალდებოდა“ მატერიალური დანახარჯები, რომელთა ლიმიტი ხელფასის ლიმიტისაგან

განსხვავებით, არ უღვინდებოდათ მონაკვეთებსა და ბრიგადებს. უფრო მეტიც, რაც უფრო მაღალი იყო წარმოების მასალატევადობა, სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში, გეგმის შესრულების ღირებულებითი მაჩვენებლები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

ამჟამად მდგომარეობა ძირეულად იცვლება. წარმოების ფუნქციონირების და გაფართოების ძირითად წყაროდ გვევლინება რესურსების, მათ შორის მატერიალურის, არა დამატებითი მოზიდვა, არამედ მათი ეკონომია, მიზანმიმართული ხარჯვა. აღრიცხვის ამოცანა ხდება არა მარტო რესურსების ხარჯვის საერთო თანხის განსაზღვრა, მისი ეკონომია ან გადახარჯვა, არამედ ამ გადახრებში ცალკეული ბრიგადების, მონაკვეთების, საამქროების წვლილი წარმოების მოცულობის და მისი დანახარჯების აღრიცხვის ორგანიზაცია მათი ადგილებისა და ცენტრების მიხედვით ხდება ობიექტურად აუცილებელი. ამის საშუალებას კი გვაძლევს თანამედროვე კომპიუტერული ქსელი, რომელმაც რა დასამალია და საკმაოდ შეამსუბუქა და გაამარტივა ბუღალტრის მუშაობა.

ზოგიერთი ავტორები ბუღალტრული აღრიცხვის გადაუჭრელ პრობლემათა რიცხვს მიაკუთვნებენ საფუძვლიან განსხვავებას დანახარჯთა ადგილებსა და პასუხისმგებლობის ცენტრებს შორის. ბევრი სიახლე წარმოიშობა აღრიცხვის ნორმატიული მეთოდის შინაარსში, რომელიც ორიენტირებულია გადახრების გამოსავლენად არა პროდუქციის სახეების მიხედვით, არამედ მათი დამზადების ადგილის მიხედვით: სხვა მიდგომით ხორციელდება დანახარჯთა ნორმირება, წარმოიშვება ახალი გადახრები, იცვლება მათი განზოგადებისა და გაერთიანების სისტემა. ამ საკითხების გადაწყვეტის გარეშე, როგორც თეორიულ ასევე მეთოდოლოგიურ ჭრილში, შეუძლებელია შევიმუშაოთ და დაენერგოთ აღრიცხვის სისტემა პრაქტიკაში ხარჯების ადგილების და ცენტრების მიხედვით.

ზოგჯერ, უფრო ხშირად კი პრაქტიკოს ბუღალტრებს ებადებათ კითხვა: საჭირო არის კი დანახარჯების ბუღალტრული აღრიცხვა მათი ადგილებისა ფორმირების ცენტრების მიხედვით ნორმატიული მეთოდის პირობებში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ გადახრები არა მარტო პროდუქციის სახეების მიხედვით, არამედ ასევე მათი მიზეზების, ადგილისა და დამნაშავეთა გამოვლენის მიხედვით? ვფიქრობთ, რომ ასეთი აღრიცხვა საჭიროა თვით ნორმატიული

ახალი ეპოქისათვის THE NEW ECONOMIST

მეთოდის პირობებშიც კი ჯერ ერთი, ბრიგადული საქმიანობისას მისი დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ წარმოებაში ფაქტიური დანახარჯების სისტემური აღრიცხვის ორგანიზაციის პირობებში, ანუ რეალური დანახარჯების მთლიანი ან მნიშვნელოვანი ერთობლიობით და არა მხოლოდ ნორმებიდან გადახრებით. მეორე - ნორმატიული მეთოდი არსებული ფორმით მოიცავს მხოლოდ წარმოების დანახარჯების აღრიცხვას. რაც შეეხება მიმდინარე, დოკუმენტურდ დასბუთებულ გადახრებს მმართველობის, მომარაგების თუ გასაღების დანახარჯებზე, შეიძლება ითქვას, არ გამოავლენს. თუ ჩვენ მმართველობითი საქმიანობის სფეროში დანერგავთ სამეურნეო ანგარიშსწორების ელემენტებს, დაუპირისპირებთ შენახვისათვის გათვალისწინებულ დანახარჯებს ინდივიდუალური მუშაობის შედეგებითა და საწარმოს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მაშინ გვერდს ვერ აუვლით დანახარჯთა საქარხნო მმართველობითი განყოფილებების ან უკიდურეს შემთხვევაში მმართველობითი საქმიანობის ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით ინფორმაციას და ბოლოს, დანახარჯების დაჯგუფება მათი წარმოშობის ადგილებისა და ცენტრების მიხედვით აუცილებელია ფაქტიური თვითღირებულების კალკულაციის სიზუსტის ამაღლებისათვის, ანუ პრობლემის გადაწყვეტა, ჩვენი ღრმა რწმენით, აქტუალურია თვით ნორმატიული მეთოდის გამოყენების პირობებშიც.

იმის თქმა, რომ დანახარჯთა აღრიცხვა ფორმირების ადგილებისა და ცენტრების მიხედვით არის რაღაც პრინციპიალურად ახალი, რომელიც ადრე არ მოიხსენიებოდა ბუღალტრული აღრიცხვის თეორიაში და არ გვხვდებოდა პრაქტიკულ საქმიანობაში არ იქნებოდა სწორი. ამის შესახებ მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში საუბრები იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში. ამჟამად დანახარჯთა აღრიცხვა წარმოშობის ადგილების მიხედვით გამოიყენება დანახარჯთა დაჯგუფებისათვის საკალკულაციო მუხლების მიხედვით.

ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ დანახარჯთა აღრიცხვა ფორმირების ადგილებისა და ცენტრების მიხედვით და მათი დანიშნულება უფრო ფართოა, ვიდრე საკალკულაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ის განკუთვნილია უპირველეს ყოვლისა, შიდა საქარხნო ქვეგანყოფილებების სამეურნეო საქმიანობის კონტროლის მართვისათვის, მათ მუშაობაში ეკონომიურობის პრინციპის რეალიზაციის პირობების უზრუნველყოფისათვის. ყოველივე აღნიშნული იძლევა საფუძველს

სულ ახლებურად მიუდგეთ ასეთი აღრიცხვის აუცილებლობის განსაზღვრას, მის შინაარსსა და ორგანიზაციას. უპირველეს ყოვლისა, წარმოიშობა მოთხოვნილება დანახარჯების უფრო მეტი დიფერენციაციისა, ვიდრე კალკულაციური მიზნებისათვის. მათი რაოდენობა განისაზღვრება, პირველ რიგში მმართველობითი მოთხოვნილებებითა და მიღებული ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობებით. ისიც უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში დაწვრილებით არის აღწერილი შიდა საქარხნო ქვეგანყოფილების დასაბუთებული კრიტერიუმები დანახარჯთა ადგილებისა და ცენტრების მიხედვით. ასეთ ქვეგანყოფილებებად უნდა იქცნენ ძირითადი და დამხმარე წარმოებათა (სამაქროების) ბრიგადები, ოსტატთა მონაკვეთები, სხვა შიდა საქარხნო ქვეგანყოფილებები, რომელთაც გააჩნიათ საწარმოო საქმიანობის მოცულობათა ზუსტი განზომილებები. ესენი შეიძლება იყოს არასაწარმოო სამსახურები: ქარხნის ტიპოგრაფია, სამშენებლო ჯგუფები, კვების ობიექტი და სხვა. ქარხნის სამმართველო განყოფილებები და სამსახურები შეიძლება გაერთიანებული იყოს ერთგვაროვან ჯგუფებად და ისინი განხილული იქნენ, როგორც დანახარჯთა ერთიანი სააღრიცხვო ადგილი. მაგალითად, მარკეტინგის განყოფილება, რომელიც თავის თავში მოიცავს არა მარტო მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, ასევე პროდუქციის გასაღებას (მასში ჩაირთვება შესაბამისი სასაწყობო მეურნეობა), საკონსტრუქტორო - ტექნოლოგიური, ეკონომიკური სამსახურები. აუცილებლობის შემთხვევაში მართვის ყოველი განყოფილებიდან თითოეული შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დამოუკიდებელი სააღრიცხვო ქვეგანყოფილება. საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯთა ადგილების და ცენტრების შემადგენლობა უმეტესად განისაზღვრება ამა თუ იმ საწარმოს მასშტაბებით, დარგობრივი თავისებურებებით, მექანიზაციის დონით, ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ხერხებით და სხვა.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ურთიერთკავშირის საკითხი დანახარჯთა ადგილებისა და ცენტრებს შორის. ყოველი სამეურნეო ქვეგანყოფილება შეიძლება გამოყოფილი იყოს აღრიცხვაში ცალკე, სხვა ქვეგანყოფილებებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ასეთი სახის სისტემა გამორიცხავს დანახარჯთა ურთიერთკონტროლს სხვადასხვა დონის დამოუკიდებელ სამეურნეო ქვეგანყოფილებებს შორის, შესაძლებლობას ასეთი სახის აღრიცხვა გამოყ



ენებულ იქნას საბოლოო პროდუქტის თვითღირებულების გაანგარიშებისათვის. დანახარჯთა შედარებისათვის იგი მოითხოვს შიდა ბრუნვების, განმეორებითი გამოთვლების ელემენტების გამორიცხვას. ყოველივე აღნიშნულის თავიდან აცილება შეიძლება, თუკი ცენტრებისა და ადგილების ჩამონათვალთა შემუშავებისას ნათლად განესაზღვრავთ მათ შორის ინფორმაციულ კავშირს, დანახარჯების შესახებ მონაცემთა განზოგადების თანმიმდევრობას, თუ ადგილებისა და ცენტრების ნომენკლატურა განსაზღვრულია დანახარჯთა ერთგვაროვანი დაჯგუფების აუცილებლობით კალკულაციის სახეებისა და ობიექტების მიხედვით.

დანახარჯთა ადგილებისა და ცენტრების მიხედვით ფორმირებასთან ერთად შეიძლება ისინი განზოგადებულნი იყვნენ სამეურნეო საქმიანობის შედეგების პასუხისმგებლობის ცენტრებსა და შესაბამის დანახარჯებში, რომლებიც დაჯგუფებულნი იქნებიან ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით. ცხადია, რომ დანახარჯთა ყოველი ადგილი ამავედროულად გვევლინება ასევე პასუხისმგებლობის ცენტრად მათი მიზანშეწონილობისა და სიდიდის გამო, წინააღმდეგ შემთხვევაში არ შესრულდება ბ ა ს ს - ის მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების შინაარსობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ სამეურნეო ცხოვრებაში არსებობს მრავალი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შინაარსობრივად სხვადასხვა კომპლექსური სამუშაოების შესრულებასთან, მაგრამ ისინი ერთნაირი არიან თავიანთი მიზნობრივ-ფუნქციონალური დანიშნულებით. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება დანახარჯები ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვაზე, მოდერნიზაციასა და რეკონსტრუქციაზე, ახალი პროდუქციის ათვისებაზე, მსხვილი ერთდროული დანახარჯები ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებაზე, კადრების მომზადებაზე. ეს დანახარჯები ფორმირდებიან სხვადასხვა ადგილებში და მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით სისტემატიზაციისათვის საჭირო ხდება დამატებითი დაჯგუფება. ასეთი დაჯგუფების ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ შედეგის მისაღწევად დასახული მიზანი - ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შესრულება დაგვიძლია ეკონომიკური ეფექტის უზრუნველყოფით. აღნიშნული ეფექტის სიდიდე წარმოადგენს საწარმოო ეფექტს, რომელიც მიიღება ღონისძიებების განხორციელებაზე დამატებითი დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე მიღებული ეკონომიის

თანაფარდობით. ორივე მაჩვენებლის ფაქტიური სიდიდის ინფორმაციის ფორმირებისათვის, გეგმის შესრულების კონტროლისა და გადახრების ანალიზისათვის საჭიროა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯებისა და შედეგების საადრიცხვო სისტემა (მთავარი კონსტრუქტორის და ტექნოლოგის განყოფილება, ახალი ტექნიკის განყოფილება).

დანახარჯები ადგილისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით შედგებიან ეკონომიკური შინაარსის მიხედვით განსხვავებული ხარჯებისაგან, რომლებიც შედიან თვითღირებულების კალკულაციის სხვადასხვა მუხლებში. მთლიანობაში საწარმოს მიხედვით დანახარჯების მიკუთვნება და ადგილებისა და ცენტრების თვითღირებულებაზე უნდა ღვინდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეგანყოფილებას ეკუთვნის იგი - მარკეტინგის სფერო, წარმოება, მმართველობა.

საადრიცხვო ინფორმაციის დამუშავებისათვის კომპიუტერის გამოყენებისას დანახარჯთა ადგილებისა და ცენტრების სისტემატიზაცია შედარებით ადვილი განსახორციელებელია მატრიცული მოდელირების პრინციპების გამოყენებით. აღნიშნული პრობლემების კვლევას, ცდებს და სამეურნეო სახელშეკრულებო თემების დანერგვის ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის შესახებ მიყვავართ ჩვენ დასკვნამდე, რომ მიზანშეწოლია საწარმოს ქვედა (დაბალ) ქვეგანყოფილებებში ავსახოთ დანახარჯები ეკონომიკური ელემენტების მიხედვით. აღნიშნული საკმაოდ ადვილებს დანახარჯთა დაჯგუფებას მთლიანად საწარმოში ხარჯთნუსხის მუხლების მიხედვითა და კალკულაციის მუხლების ჭრილში. საკითხის სხვა დანარჩენი გადაწყვეტა დანახარჯთა ადგილების შემადგენლობის შესახებ დაკავშირებულია ან პროდუქციის თვითღირებულებაში კომპლექსური ხარჯების შემადგენლობის, ან მისი ფორმირების მეთოდების და განაწილების არსებითი ცვლილებების აუცილებლობასთან.

დანახარჯთა ადგილების მიხედვით აღრიცხვის ორგანიზაცია უნდა იყოს აღრიცხვის საერთო სისტემისა და თვითღირებულების კალკულაციის შემადგენელი ნაწილი. ამით მიიღწევა საწარმოო დანახარჯების ადგილების მიხედვით ფორმირების სისტემურობა და უტყუარობა, მათი ურთიერთკავშირი კალკულაციის მუხლობრივ დაჯგუფებასთან, დანახარჯთა ელემენტებთან და გამოსაშვები პროდუქციის სახეებთან. თუ პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯებ-

ის ინფორმაცია არ ემთხვევა დანახარჯთა ადგილების მიხედვით ინფორმაციას, მიზნშეწონილია ის მიღებულ იქნეს სისტემის გარეშე დაჯგუფებით. მეთოდოლოგიურ მიმართებაში დანახარჯთა დაჯგუფება ადგილების მიხედვით უზრუნველყოფს დანახარჯთა დიდ ერთგვაროვნებას მათი ეკონომიკური შინაარსის და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით, სააღრიცხვო დანახარჯებისა და საექსპლუატაციო ტექნიკის გამოყენების მანქანების საუკეთესო თანაფარდობას, კონკრეტულ ნაკეთობებსა და სამუშაოთა სახეებზე დანახარჯების უფრო სწორ მიკუთვნებას.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული დაჯგუფება არა მარტო ამდლებს დანახარჯთა კონტროლის შესაძლებლობებს, არამედ ასევე ქმნის პირობებს პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის სიზუსტის ამდლებისათვის.

ადგილებისა და ცენტრების მიხედვით დანახარჯთა ინფორმაციის ფორმირებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ნორმატიული მეთოდის სისტემა ან ელემენტები. ამის შედეგად დამატებითი სამუშაოები დანახარჯების აღრიცხვისა ადგილებისა და ცენტრების მიხედვით დადის მინიმუმამდე, ხოლო ნორმატიულ-საცნობარო და საშედეგო ინფორმაცია გამოყენებული იქნება უმდლესი ხარისხით. აღრიცხვის ასეთი ორგანიზაციით დანახარჯთა ნორმატივები უნდა დადგინდეს დანახარჯთა ადგილებისა და პასუხისმგებლობის ცენტრების ჭრილში, ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს კომპლექსური ხარჯების მოქნილი ნუსხის შემუშავებას. წარმოიშება ახალი შესაძლებლობები დანახარჯთა ნორმატივებიდან გადახრების უფრო სრულყოფილი მიზეზების და პასუხისმგებელი პირების გამოსავლენად.

ეს შესაძლებლობები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დანახარჯთა ადგილებისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით კომპლექსური ხარჯების აღრიცხვის დეტალიზაციასთან. ამჟამად ნორმატივიდან კომპლექსური ხარჯების გადახრა შეიძლება განესაზღვროთ მხოლოდ თვის ბოლოს, სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიური დანახარჯების დაპირისპირებით. თუ

კი კომპლექსური არაპირდაპირი (ირიბი) ხარჯები განიხილება, როგორც ადგილებისა და ცენტრების დანახარჯთა ერთობლიობა სადაც ყოველ მათგანს შეიძლება გაანდეს სამეურნეო საქმიანობის თავისი საზომი, მაშინ გადახრების სიდიდე უფრო ზუსტი ალბათობით გაიანგარიშება, ხოლო მისი მიზეზები დადგინდება უფრო დასაბუთებულად, ვიდრე უბრალო დაპირისპირების პირობებში. წარმოიქმნება კომპლექსური ხარჯების ხარჯთნუსხისაგან გადახრების ოპერატიული გამოვლენის შესაძლებლობა, იმდენად, რამდენადაც აღარ იქნება საჭიროება დაველოდოთ თვის ბოლოს, რათა ვიცოდით წარმოების ფაქტიური მოცულობა.

ნორმატიული მეთოდი დანახარჯთა ადგილებისა და ცენტრების ჭრილში შესაძლებლობას გვაძლევს აგრეთვე გამოვლენილი იქნეს ნორმატივებიდან მთელი რიგი დამატებითი გადახრები, გამოწვეული დეტალების, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის დამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის, მომუშავეთა კვალიფიციური შემადგენლობის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ცვლილებებით.

საბოლოო ჯამში, დანახარჯთა ნორმატიული აღრიცხვის ორგანიზაცია ფორმირების ადგილებისა და ცენტრების ჭრილში შესაძლებლობას გვაძლევს: განესაზღვროთ იცავენ, თუ არა ქვეგანყოფილებები გეგმით დადგენილ თანაფარდობას „დანახარჯები-შედეგი,“ გავაკონტროლოთ საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიურობა ფუნქციონალური ქვეგანყოფილების მიხედვით, უფრო სრულად გამოვაგლინოთ მატერიალური შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამდლების რეზერვები. ყოველივე აღნიშნული კი საშუალებას გვაძლევს ნორმატიული აღრიცხვა დანახარჯთა ფორმირების ადგილებისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით ჩავთვალოთ მმართველობით აღრიცხვის სისტემის შემდგომი განვითარების საფეხურად. ეს კი საწინდარია შიდასაფირმო მმართველობის მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. ზერაკიძე, გ. ნანუაშვილი – ფაქტორების გავლენის გამოთვლის მეთოდიკა შერჩევით ეკონომიკურ ანალიზში, ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, №7, 2008.
2. გ. ნანუაშვილი, თ. ტატულაშვილი – სამეურნეო საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი, ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, №7, 2008.
3. ACCA – Управленческая информация, 1999.



4. Ричард Томас – Количественные методы анализа хозяйственной деятельности, М., 1999.
5. Лунов В. Л. – Тактика и стратегия управления фирмой, М., 1999.
6. Э. Гринолл – Финансы и финансовое планирование для руководителей среднего звена, М., 1999.
7. Д. Слинков – Управленческий учет, ростановка и применение, Питер, 2010.

Calculation of plural expanses according
to centers of forming and responsibility
(problems, ways to resolve)

Giorgi Nanuashvili
Associated Professor

One of the most considerable principle of thrifth economy calculation is detcrmination of plural exspanses, according the achieved results.

we suppose that the problem of defining factual exspanses (on the level of) sections, departaments , laboratories aren't studied well enough. some schdars assume that basis of this calculation is a place of resalts forming and grouping.

for some author unresolved problem of calculation is principle difference between place of exspanses and center of responsibility. Novelities arise in the content of normative method, which is oriented to manifesting the deviatation of product according to its procurement.

ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები
ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ:

უნგრეთი



ეკა ლეკაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: eka.lekashvili@tsu.ge
ტელ: 599 89 98 09



ქეთევან ჯიქია,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მაგისტრანტი
ელ.ფოსტა: jikiaketi@gmail.com
ტელ: 593 28 52 88



მარიამ ბიწაძე,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მაგისტრანტი
ელ.ფოსტა: bitsadze.mariam@gmail.com
ტელ: 558 55 33 76

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატიათა სერიების სახით ეტაპობრივად წარმოგიდგენთ ნაშრომს „ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ“; სადაც განხილულია ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის და უნგრეთის ეკონომიკური პოლიტიკის მიღწევები.

წინამდებარე სტატია მოიცავს უნგრეთის გამოცდილებას. შესწავლილია მისი ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი ცვლილებების ტენდენცია ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ; ასევე, ქვეყანაში არსებული ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, როგორცაა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ჰარმონიზაციის პროცესების უზრუნველყოფა, კორუფციის მაღალი მაჩვენებელი, სოფლის მეურნეობა, ევროპის ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრობა. უნგრეთის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საქართველოსთვის ევრიონტეგრაციის გზაზე.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის რიცხვშია საქართველოც. დამოუკიდებლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი ადგენის დღიდან ქვეყანა გამუდმებით ცდილობს შეიტანა სოციალისტური სისტემის ნგრევამ და იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც საფრთხეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოქმნამ, უქმნიან და აზრკოლებენ განვითარების პროცესებს. რომელთა მიზანი, საწყისი ეტაპისთვის, გეგმური საქართველოს, როგორც პოსტსოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემაზე გადასვლა გახდა. ამ სახელმწიფოთა გარდაქმნების 25 წლიანმა გამოცდილებამ



დაადასტურა, რომ ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან, ამიტომ მათ გადალახვაში საერთაშორისო გამოცდილება არსებით როლს თამაშობს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მიზანი ევროკავშირის წევრობაა.

ევროკავშირის ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან უნგრეთის, პოლონეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი - ვიშეგრადის ქვეყნები, რომლებმაც შეძლეს კომუნიზმის მემკვიდრეობის დასაძლევად და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისათვის საჭირო რეფორმების მხარდაჭერისათვის ძალების გაერთიანება. ოთხივე ქვეყნის მეტნაკლებად განსხვავებული სასტატო პირობების მიუხედავად, მათ ვიშეგრადის ჯგუფი შექმნეს საერთო მიზნის მისაღწევად, რაც 2004 წლის 1 მაისს ევროკავშირში გაწევრიანებით დაგვირგინდა. თუმცა მიზნის მიღწევამ ძველთან ერთად ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ეს ქვეყნები, ისინი დღესაც განაგრძობენ აქტიურ მუშაობას ამ გამოწვევების დასაძლევად.

როგორც ცნობილია, უნგრეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები ოფიციალურ ხასიათს იღებს 1991 წლიდან, როდესაც ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის პირდაპირი შედეგი იმ პერიოდისთვის შესაძლოა არც კი ყოფილიყო ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობა, თუმცა გამოყენებულ იქნა როგორც ინსტრუმენტი ქვეყნის საბოლოო მიზნის მიღწევაში. 1992 წელს, ლისაბონის სამიტზე ყურადღება გამახვილდა უნგრეთის (არა მხოლოდ) სამართლებრივ შესაბამისობაზე ევროპის გაერთიანებასთან, რამაც ხაზი გაუსვა ევროკავშირის საბაზისო კანონებისა და რეგულაციების მიღება-დანერგვის აუცილებლობას, რომელსაც გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა გაწევრიანების პროცესში. აღნიშნული საკითხი ქვეყნისათვის ერთგვარ გამოწვევად აღიქმებოდა და აღიქმება დღესაც, რადგან კვლავ მიმდინარეობს სამართლებრივი შესაბამისობის მიღწევა ევროკავშირთან.

საწყისი ეტაპისთვის უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გახდა ევროკავშირისა და უნგრეთს შორის მოლაპარაკებების წარმოებასა და ინსტიტუციური ორგანოების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი. ოდნავ მოგვიანებით კი სხვა სამინისტროების შიგნით ევროკავშირის დეპარტამენტები შეიქმნა, რომელთა პასუხისმგებლობაც მოქცეული იქნა სამინისტროთა კომპეტენციის ფარგლებში. შესაბამისად, დასაწყისში საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმოადგენდა უნგრეთის მთავრობას ასოცირების საბჭოს შეხვედრებზე. სამინისტროში წარმოდგენილი იყო ევროკავშირთან ინტეგრაციის

სახელმწიფო სამდივნო, რომელიც პასუხისმგებელი იყო პოზიციის დოკუმენტების მომზადებაზე და ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. გარდა ამისა, მას დახმარებას უწევდა ევროკავშირში ინტეგრაციის უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელიც 1994 წელს პარლამენტის მიერ შეიქმნა და განისაზღვრა მისი მოვალეობები, კერძოდ: ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების ექსპერტიზა, კანონპროექტების ინიცირება, საკუთარი წინადადებების წამოყენება, მთავრობის საქმიანობაზე თვალყურის დევნება, ასევე სამინისტროებისთვის კონსულტაციის გაწევა. იგი საშუალებას აძლევდა სამინისტროებს განეხილათ ინტეგრაციის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები.

1998 წელს სამდივნოს რეორგანიზაცია განხორციელდა და შეიქმნა ევროკავშირთან კოორდინაციის მთავარი დეპარტამენტი, რომელსაც კოორდინაციის სფეროში მთავარი ფუნქცია მიენიჭა და რომელიც საქმიანობას განაგრძობდა ინტეგრაციის სახელმწიფო სამდივნოს დეპარტამენტებთან, როგორებიც იყო:

1. ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი,
2. ჰარმონიზაციის დეპარტამენტი,
3. სავაჭრო პოლიტიკის დეპარტამენტი,
4. მართლმსაჯულებისა და სამინაო საქმეებზე თანამშრომლობის დეპარტამენტი,
5. პოლიტიკური თანამშრომლობის დეპარტამენტი,
6. დახმარებისა და მხარდაჭერის დეპარტამენტი.

მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტროს წვლილი უნგრეთის ვეროინტეგრაციის გზაზე, იგი ხელმძღვანელობდა გაწევრიანებასთან დაკავშირებულ იურიდიულ სფეროს, კერძოდ, სამართლებრივი ჰარმონიზაციის მიღწევას, უნგრული კანონპროექტების და საერთაშორისო ხელშეკრულებების თავსებადობას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ყოველივე ეს გულისხმობდა ევროკავშირის კანონმდებლობის გაცნობის პროცესის დაწყებას და პარალელურად უნგრეთის კანონმდებლობის სკრინინგს, რათა გამოვლენილიყო კანონმდებლობის ის ნაწილები, რომელიც თავსებადი ან შეუსაბამო იყო ევროკანონმდებლობასთან.

1995 წელს ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ იქნა „თეთრი წიგნი“ - წინადადებები ერთიანი ბაზრის მოსამზადებლად, ასევე 1997 წელს „დღის წესრიგი 2000“ - აუცილებელი რეფორმების შესახებ, რომელსაც თან ახლდა ქვეყნების შეფასება.


ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

აღნიშნული შეფასებით დადგინდა, რომ უნგრეთი ატარებდა დემოკრატიის მახასიათებლებს, გააჩნდა სტაბილური ინსტიტუტები, აკმაყოფილებდა კოპენჰაგენის პოლიტიკურ კრიტერიუმებს [2]. ასევე აღნიშნულია, რომ ქვეყანამ ყურადღება უნდა გაამახვილოს კორუფციის არსებულ დონეზე, მოსახლეობის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ევროკავშირში გაწევრიანებამდე უნგრეთმა შემოიღო უმცირესობების დაცვის სისტემა, რისი გარანტიაც კონსტიტუციასა და 1993 წლის უმცირესობების შესახებ აქტში ჩაიდო. მოგვიანებით, უნგრეთი მხარს აქტიურად უჭერდა უმცირესობათა უფლებების დაცვას და 1989 წლის შემდეგ ამ საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში დაყენებას ლობირებდა, თუმცა, უშედეგოდ.

როგორც ვხედავთ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას გაწევრიანებამდე წარმოადგენს კორუფციის

მაღალი მაჩვენებელი, ვნახოთ რა მდგომარეობაა დღევანდელი მონაცემებით. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით, რომელიც ქვეყნებს აფასებს 10 კომპონენტის საფუძველზე (რომელიც 4 ძირითად ჯგუფში ერთიანდება), ერთ-ერთს წარმოადგენს „კორუფციისგან თავისუფლება“ [4], აღნიშნულ კომპონენტში უნგრეთის ქულა აღწევს 54.0-ს (მაქსიმალური - 100 ქულიდან, თავისუფალი - 80-100, ძირითადად თავისუფალი - 70-79.9, ზომიერად თავისუფალი - 60-69.9, ძირითადად არათავისუფალი - 50-59.9, რეპრესირებული - 0-49.9) და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კორუფცია ქვეყნისათვის ისევ სერიოზულ გამოწვევად რჩება. განსაკუთრებით თვალში საცემია საჯარო სექტორსა და პრივილეგირებულ კერძო ბიზნესს შორის „ურთიერთობა“. კორუფციის დონის დინამიკა ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე 1.1.

დიაგრამა 1.1. კორუფციისგან თავისუფლების მაჩვენებელი (1995-2016)



წყარო: <http://www.heritage.org/index/country/hungary>

ოთხი თავისუფლებიდან ერთ-ერთში საქონლის თავისუფალი გადაადგილება (რომელიც გულისხმობს იმას, რომ არ უნდა არსებობდეს შიდა ბარიერები მესამე ქვეყნებიდან შემომავალი პროდუქციის ჩათვლით) უნგრეთმა მოითხოვა გამონაკლისის დაშვება ისეთ პროდუქციებზე, როგორიცაა კაკაო, შოკოლადი და ფარმაცევტული პროდუქტები [2].

რაც შეეხება კაპიტალის თავისუფალ გადაადგილების საკითხს, 2005 წელს უნგრეთმა დაიწყო კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია, როდესაც შემოიღო სავალუტო გაცვლის ლიბერალიზაციის კანონები. უნგრეთმა მოითხოვა გამონაკლისის დაშვება უძრავი ქონების სფეროში (ევროკავშირის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეეძინათ ქონება უნგრეთის ტერიტორიაზე, თუ ისინი მინიმუმ

ოთხი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდნენ ქვეყანაში). გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო მიწებთან (ევროკავშირის იმ მოქალაქეებს შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა, რომლებიც მუშაობდნენ უნგრეთში ბოლოს 3 წლის განმავლობა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვა კი 7 წლის შემდეგ შეეძლოთ) დაკავშირებული საკითხებიც არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უნგრეთისთვის და დღესაც პრობლემურ საკითხთა ნუსხაში შედის. 2014 წელს უნგრეთმა მიიღო კანონი, რომელიც ართულებს უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიყიდვას. როგორც ცნობილია სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკაში, ამიტომ მსგავსი მოთხოვნები უნგრეთის მხრიდან გასაკვირი არ არის. სოფლის მეურნეობა მგრძნობიარე სექტორია ქვეყნისთვის,




როგორც ევროკავშირში გაწევრიანებამდე ასევე გაწევრიანების შემდგომ პერიოდშიც [2].

სოფლის მეურნეობის %-ული წილი მშპ-ში 2014 წლისთვის 4.46%-ს აღწევს, მაჩვენებელი

შემცირებულია 1995 წელთან შედარებით. ხოლო მომსახურების სექტორის წილი მშპ-ში გაიზარდა 2014 წლის მონაცემით 64.36%-ია (იხ.დიაგრამა 1.2.).

დიაგრამა 1.2. სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების %-ული წილი მშპ-ში (1995 – 2014)




წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS> ;
<http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS> ;
<http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS>.

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციაა: ხორბალი, სიმინდი, მზესუმზირა, კარტოფილი, შაქრი, ჭარხალი, ღორები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ფრინველი, რძის პროდუქტები. მრეწველობა წარმოდგენილია შემდეგი ქვედარგებით: სამთო, მეტალურგია, სამშენებლო მასალები, დამუშავებული საკვები, ქსოვილი, ქიმიკატები (განსაკუთრებით ფარმაცევტული),

ავტომობილები.

მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას უნგრეთის მიწის 59% უკავია [6]. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია %-ული წილი მთლიან დასაქმებულთა შორის 2014 წლის მონაცემებით 5%-ს [7] აღწევს (იხ.დიაგრამა 1.3).

დიაგრამა 1.3. უნგრეთში დასაქმების წილი და დინამიკა სექტორების მიხედვით (1992-2014)



წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS>;
<http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS>;
<http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS>.

სხალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ევროკავშირის მეცხოველეობის სექტორი ეყრდნობა მხოლოდ მსხვილფეხა საქონელსა და ცხვარს, მაშინ, როცა უნგრეთის ტრადიციულ სექტორებს ღორისა და ფრინველის სექტორი წარმოადგენდა, სადაც ზარალი გარდაუვალი იყო.

ადამიანების თავისუფალი გადაადგილება - უნგრეთმა მიიღო ევროკავშირის წინადადება 7 წლიანი მორატორიუმის შესახებ. რომელიც ეფუძნება 3+2+2 სისტემას. უნგრეთის მოსახლეობამ 1992 წლისთვის მიაღწია 10,369,341 მლნ-ს, ხოლო 2015 წლისთვის 9,861,673 მლნ. შეადგინა, როგორც ვხედავთ მოსახლეობის მოცულობა შემცირებულია 5%-ით. გარდა ამისა ადამიანების თავისუფალი გადაადგილების ამოქმედებამ გამოიწვია ქვეყანაში ტვინების შენარჩუნებისა და მოზიდვასთან დაკავშირებით პრობლემა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსზე 2015-2016 დაყრდნობით უნგრეთი ტვინების შენარჩუნების მიხედვით იკავებს 140 ქვეყანას შორის 123-ე ადგილს (2.5 ძალიან დაბალი მაჩვენებლით) და ტვინების მოზიდვის მიხედვით კი 121 ადგილზეა (2.5 ძალიან დაბალი მაჩვენებლით) [16]. ქვეყნის გამოწვევებიც უკავშირდება აღნიშნულ პრობლემებს. V4-მა ევროკავშირთან მოლაპარაკებები დაიწყო 1998 წელს 5+1-(4 ქვეყანა+კვიპროსი) ქვეყანასთან, რასაც 2002 წელს მოჰყვა რეფერენდუმი თითოეულ ქვეყანაში. უნგრეთში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 45%-მა, რომლის 83.8% მიემხრო

ევროკავშირში გაწევრიანებას.

გაწევრიანების შემდგომ უნგრეთმა თანხმობა განაცხადა ევროპის ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრობაზე, თუმცა მოითხოვა გადავადება. როგორც ცნობილია მასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ხუთ კრიტერიუმს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს წევრი სახელმწიფო ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრობისთვის:

1. ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 3%-ს;

2014 წლის მონაცემებით ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები შესაბამისად 65.12\$ მლრდ. და 68.73\$ მლრდ-ს წარმოადგენს, ბიუჯეტის დეფიციტია 3.61\$ მლრდ, ხოლო მშპ-მ 138 მლრდ დოლარი შეადგინა. საბოლოოდ, ბიუჯეტის დეფიციტი არ აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს და აღწევს მხოლოდ მის 2.6%-ს. ბიუჯეტის დეფიციტის მთავარი მიზეზებია: საგარეო ვალის მოცულობა; ბიუროკრატის მაღალი მაჩვენებელი საჯარო ადმინისტრირებაში - კორუფცია; მაღალი საგადასახადო განაკვეთი - გადასახადებისგან თავის არიდება; სოციალური შეღავათები და სხვ. უნგრეთის მშპ-ისა და მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდადობის ტენდენცია გამოსახულია დიაგრამაზე. როგორც ვხედავთ მშპ-ის ზრდისა და შემცირების მიმართულებით იზრდება და მცირდება მშპ ერთ სულ მოსახლეზე, რაც ლოგიკურია და კითხვებს არ ბადებს (იხ. დიაგრამა 1.4).

დიაგრამა 1.4. მშპ-ს და მშპ ერთ სულ მოსახლეზე დინამიკა უნგრეთში (1991-2014)



წყარო:<http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>;
<http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG>

2. ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 60%-ს;

დღეის მონაცემებით უნგრეთის სახელმწიფო ვალმა შეადგინა თითქმის \$92 მლრდ., რაც მშპ-ის 79.46%-ს აღწევს [5].


3. ინფლაცია 1,5%-ზე მეტად არ უნდა

აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემს;

2015 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით უნგრეთის ინფლაცია აღწევს -0.2 ნიშნულს. სახეზეა დეფლაცია. ინფლაციის ცვლილების ტენდენცია გამოსახულია დიაგრამაზე 1.5.



დიაგრამა 1.5. ინფლაციის დონის დინამიკა უნგრეთში (1991-2014)




წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG>

როგორც მონაცემებიდან ჩანს, პირველი შემთხვევაა 2014 წელი, როცა უნგრეთში დეფლაცია ფიქსირდება. რაც შეეხება ევროკავშირის სამეფელოზე წარმატებულ ქვეყანათა სიას, შემდეგნაირად გამოიყურება: ფინეთი, გერმანია და შვედეთი [16], რომელთა ინფლაციის დონე შესაბამისად აღწევს: 1.0; 0.9 და -0.2 [11].

4. უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის ერთად აღებულ მაჩვენებელს

არ უნდა აღემატებოდეს ორ პროცენტზე მეტად; უნგრეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გამოსახულია დიაგრამაზე 1.6. როგორც დიაგრამიდან ჩანს, გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის მოცულობამ შემცირება 2012 წლიდან დაიწყო და 2015 წლის ბოლოსთვის მიაღწია 3.47%-ს, რაც შეეხება სამი წარმატებული ქვეყნის, როგორცაა ფინეთი, გერმანია და შვედეთი გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს [18] შესაბამისად აღწევს 0.86% (18), 0.55% [19] და 0.93%-ია [20].

დიაგრამა 1.6. უნგრეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი (2001-2016)



წყარო: http://sdw.ecb.europa.eu/browseChart.do?REF_AREA=179&node=bbn4864&DATASET=0


სამივე ქვეყნის მაჩვენებელი კი შეადგენს 2,34%-ს აღნიშნულს თუ შევადარებთ უნგრეთის მონაცემს შევნიშნავთ, რომ მისი მონაცემი მხოლოდ 1.13%-ული ნიშნულით აღემატება.

5. უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის №1(40), 2016 წელი, year

კურსების მექანიზმით გათვალისწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში.

2014 წლისთვის 1 ამერიკული დოლარი = 232.6 ფორინტი (HUF), ხოლო 2004 წელს 1 ამერიკული დოლარი = 202.7 ფორინტი, 1993 წლისთვის 1 ამერიკული დოლარი = 91.9. სავალუტო გაცვლის

დიაგრამა 1.7. სავალუტო გაცვლის კურსის დინამიკა




წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.FCRF>

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

უნგრეთის სავაჭრო ურთიერთობების გარდაქმნა დაკავშირებულია 1990-იანი წელთან, როდესაც ქვეყანამ სავაჭრო და თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის გაერთიანების (EC) მიერ უნგრულ საქონელზე შეზღუდვების თანდათანობით გაუქმებას. ხელშეკრულება მოიცავდა აგრეთვე სპეციალურ მუხლებს, იმ შემთხვევისთვის თუ უნგრეთში იმპორტის ზრდა დააზარალებდა ადგილობრივ წარმოებას, ან პირიქით უნგრეთის

ექსპორტი (აგრარული, ფოლადის და მსუბუქი მრეწველობის) დააზიანებდა ადგილობრივ ბაზარს [3]. დადებითია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მუხლები არავის გამოუყენებია. ევროკავშირში გაწევრიანებამდე უნგრეთის, როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი შთამბეჭდავად იზრდებოდა და გაწევრიანების შემდეგაც გააგრძელა აღნიშნული ტემპები, თუმცა მსოფლიო კრიზისმა ქვეყანაზე რა თქმა უნდა იმოქმედა, რაც აისახა მონაცემებზეც (იხ. დიაგრამა 1.8):

დიაგრამა 1.8. უნგრეთის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა (1992-2014)



წყარო: <http://comtrade.un.org/data/>

პოლიტიკური მიზეზების გამო, უნგრეთი უარს აცხადებს საბაზრო წილსა და კონკურენტულ უპირატესობაზე (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა) რუსეთის ბაზარზე, რაც მილიონობით დოლარი უჯდება ქვეყანას.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის დამოკიდებულება ევროკავშირის ბაზრის მიმართ გაიზარდა, 2004 წელს მისი წევრობით

ფუნდამენტური ცვლილებები არ მიუღია, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ თავიდან იქნა აღმოჩენილი ცენტრალური ევროპის ქვეყნების ბაზრები და მათ შორის სლოვაკეთი, რომელიც 2014 წლის მონაცემებზე დაყრდნობით 10 უმსხვილეს საექსპორტო ქვეყანათა სიაში შედის (იხ. ცხრილი 1.1).



ცხრილი 1.1. უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყანა უნგრეთისთვის

1992წ.		2014წ.	
გერმანია	28,65%	გერმანია	27,40%
რუსეთი	13,41%	ავსტრია	5,50%
ავსტრია	10,73%	რუმინეთი	5,43%
იტალია	8,93%	სლოვაკეთი	4,88%
სერბეთი	3,39%	იტალია	4,60%
საფრანგეთი	3,32%	საფრანგეთი	4,44%
აშშ	3,29%	პოლონეთი	3,85%
ჩეხოსლოვაკია	2,47%	ჩეხეთი	3,80%
ბელგია	2,34%	დიდი ბრიტანეთი	3,59%
ნიდერლანდები	2,29%	აშშ	3,51%

წყარო: <http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html>

სოფლის მეურნეობა განსაკუთრებული და მგრძობიარე სფერო აღმოჩნდა ევროკავშირისთვისაც, რაც უნგრეთთან თანამშრომლობის დროსაც გამოჩნდა, კერძოდ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქცია ამოღებული იქნა, თუმცა დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება პრეფერენციების

შესახებ, რაც გულისხმობდა იმ ფაქტს, რომ პროდუქტები, რომლებიც არ შედიოდნენ ამ შეთანხმებებში, კერძოდ: ღორის ხორცი, ქათმის ხორცი, საქონლის ხორცი, ფქვილი, ბოსტნეული და ხილი - მოხვდნენ შედარებით დაბალი საბაჟო ტარიფების ან "ორმაგი წულის" რეჟიმში (არც ტარიფები, არც კვოტები). ცალკე შეთანხმებები დაიდო ღვინის და თევზის პროდუქტების შესახებ [3].

ცხრილი 1.2. უნგრეთის ძირითადი სასაქონლო პროდუქცია, ექსპორტის %


1992 წ.		2014 წ.	
მანქანა და ელექტრონიკა	15,46%	მანქანა და ელექტრონიკა	37,75%
ტექსტილი და ტანსაცმელი	14,11%	გადაზიდვები	16,10%
ბოსტნეული	10,40%	სხვადასხვა	8,74%
მეტალები	8,98%	ქიმიკატები	7,92%
ცხოველები	7,83%	პლასტმასი და რეზინა	6,31%
საკვები პროდუქცია	6,84%	მეტალები	4,76%
ქიმიკატები	6,51%	საკვები პროდუქცია	3,64%
სატრანსპორტო	5,95%	საწვავი	3,51%
პლასტმასი და რეზინა	5,60%	ბოსტნეული	3,15%
სხვადასხვა	3,96%	ხე	2,15%
ხე	3,71%	ცხოველები	1,98%
ფეხსაცმელი	3,61%	ქვები	1,61%
საწვავი	3,25%	ტექსტილი და ტანსაცმელი	1,44%
ქვები	2,23%	ფეხსაცმელი	0,46%
ტყავი	1,41%	ტყავი	0,43%
მინერალები	0,16%	მინერალები	0,06%

წყარო: <http://wits.worldbank.org/detailed-country-analysis-visualization.html>

უნგრეთის ექსპორტის მთლიანი სტრუქტურა შეიცვალა: ტრანსფორმაციამდე უნგრეთი ძირითადად მანქანა-დანადგარების და გადამამუშავებელი მრეწველობის საქონელს აგზავნიდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების ორგანიზაციის ქვეყნებში და დასავლეთში კი ძირითადად ნედლეულს, ფოლადს, სურსათს და დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე საქონელს, როგორცაა ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ქიმიკატები. ქსოვილები და ფოლადი პრაქტიკულად გაქრა ქვეყნის ექსპორტიდან, ხოლო

სოფლის მეურნეობის პროდუქტები დარჩა, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით. რაც შეეხება იმპორტს, უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები უნგრეთის: გერმანია 25.21%, ავსტრია 7.29%, რუსეთი 7.11%, ჩეხეთი 5.48%, პოლონეთი 5.23%. ტოპ 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელია: მანქანები და ელექტრონიკა 35.08%, საწვავი 12.11%, გადაზიდვა 9.49%. ექსპორტის სტრუქტურის ცვლილება უკავშირდება მასობრივი პრივატიზაციას და ქვეყნის წარმატება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას (იხ. დიაგრამა 1.9).

დიაგრამა 1.9. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა უნგრეთში (1990-2014)



წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დაიწყო გაწევრიანების შემდეგ, როგორც დიაგრამიდან ნათლად ჩანს 2004 წლიდან 2008 წლის ჩათვლით პუი-ის მოცულობა მკვეთრად იზრდება, თუმცა კრიზისის პერიოდში ეცემა, რაც 2010 წლამდე გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ 2010-2011 წლებში ქვეყანაში შემოდინებული პუი-ის მოცულობა იზრდება, ეს ტენდენცია ვერ იქნა შენარჩუნებული, ქვეყანა პოსტკრიზისულ პერიოდში იმყოფება, აღნიშნული მდგომარეობა 2013 წლამდე გაგრძელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკის საგანი გახლდათ ქვეყნის ეკონომიკის გახსნის და პრივატიზაციის სწრაფი ტემპები. კრიტიკოსები მიუთითებდნენ, რომ ეროვნული მრეწველობის ზოგიერთი დარგი და უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიძლებოდა გადარჩენილიყო. სამწუხაროდ, დებატები უფრო პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობდა, ვიდრე ეკონომიკურზე, ამიტომაც ზუსტი და საიმედო მონაცემების მოძიება რთულია. არსებობდა იმის საშიშროება, რომ ქვეყანა გაკოტრდებოდა, თუ ის გახსნიდა ბაზარს დასავლური საქონლისთვის, რომელსაც ექნებოდა შესაძლებლობა დაეკავებინა შიდა ბაზარი, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ადგილობრივ ნაწარმს. თუმცა სასიამოვნოა იმის

აღნიშვნა, რომ ამგვარი მოლოდინი არ გამართლდა და უნგრეთის ადგილობრივმა ნაწარმმა შეძლო ძლიერი კონკურენციის გაწევა ევროკავშირის პროდუქციასთან.

ამრიგად, უნგრეთის მიერ აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ჰარმონიზაციის პროცესების უზრუნველყოფა. როგორც ვხედავთ ამ მიმართულებით პასუხისმგებლობა სხვადასხვა სტრუქტურებს შორის იქნა გადანაწილებული, რამაც ქვეყანა დასახულ მიზანთან მიიყვანა. ევროკავშირთან გაწევრიანებამდე უნგრეთის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა კორუფციის მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში, რომელიც გაწევრიანების შემდეგაც არ შეცვლილა და ამას ადასტურებს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსიც.

მგრძობიარე საკითხია სოფლის მეურნეობის სექტორიც, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკაში, თუმცა აღნიშნულ სექტორში არსებული მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 90-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა აქცენტს აკეთებს მომსახურებისა და წარმოების სექტორზე, ცდილობს ის



მცირერიცხოვანი ფერმები შეინარჩუნოს, რომელსაც დღეს სოფლის მეურნეობაში ვხვდებით და ცდილობს მათ დაცვას, რაც გამოიხატება განხორციელებული აქტივობებით, მათ შორის მნიშვნელოვანია, 2014 წელს მიღებული კანონი, რომელიც ართულებს უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიყიდვას.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანა დგას წარმოადგენს ევროპის ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრობა. მასტრიხტის კრიტერიუმებთან შედარებითი ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანას, ნამდვილად აქვს შესაძლებლობა იმისა, რომ ეს კრიტერიუმები წარმატებით იქნას დაძლეული, თუმცა როგორც ვხედავთ ქვეყანა ჯერ-ჯერობით თავს იკავებს ევროზონაში შესვლისგან. ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ ქვეყნის გაკოტრების მოლოდინი არ გამართლდა. უნგრეთის ეკონომიკური მაჩვენებლები საკმაოდ პოზიტიურია

და შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ ქვეყანა გააგრძელებს განვითარების მიმართულებით მოძრაობას.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესში, როგორც ვნახეთ უნგრეთის მაგალითიდან გამომდინარე (და შემდგომ აღნიშნულს კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს პოლონეთის, ჩეხეთის და სლოვაკეთის გამოცდილება) სასურველია ჩართულ იქნას სხვადასხვა სამინისტროები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. საგულისხმოა ადგილობრივი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონებთან თავსებადობის დადგენა, რისთვისაც აუცილებელია განხილვას დაექვემდებაროს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა და შეუსაბამო თავების გამოვლენა და მათი სათანადოდ დამუშავება. შემდგომში დიდ მნიშვნელობას იქნეს კანონის რეალობაში ამოქმედება, რის მისაღწევადც გადამწყვეტია ფუნქციონირებადი ინსტიტუტების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ლეკაშვილი, გ. ყუფარაძე, ნ. მაისურაძე; სალექციო კურსი - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე; თბ., 2013;
2. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), ევროპული პოლიტიკის კოორდინაციის გაუმჯობესება საქართველოში, ვიშეგრადის ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2015;
3. Edit Inotai, INTERNATIONAL TRADE REFORMATION BEFORE HUNGARY'S EU ACCESSION AND RECOMMENDATIONS FOR GEORGIA AND UKRAINE, Collection of Analytic Articles „V4 Countries Reforming Experience for Georgia and Ukraine“, Association of Young Economists of Georgia (AYEG), 2015 Tbilisi;
4. <http://www.heritage.org/index/country/hungary> ;
5. <http://www.nationaldebtclocks.org/debtclock/hungary>;
6. <http://data.worldbank.org/indicator/AG.LND.AGRI.ZS>;
7. <http://data.worldbank.org/indicator/SL.AGR.EMPL.ZS/countries/1W-HU?display=default>;
8. <http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS>;
9. <http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS>;
10. <http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS>;
11. <http://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG> ;
12. <http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD>;
13. <http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html>;
14. <http://wits.worldbank.org/detailed-country-analysis-visualization.html>;
15. <http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=HUN>;
16. <http://www.weforum.org/agenda/2014/01/europes-top-10-competitive-economies/> ;
17. http://sdw.ecb.europa.eu/browseSelection.do?DATASET=0&REF_AREA=*EU&node=bbn4864 ;
18. http://sdw.ecb.europa.eu/browseTable.do?DATASET=0&REF_AREA=152&node=bbn4864&trans=N ;
19. http://sdw.ecb.europa.eu/browseTable.do?REF_AREA=262&node=bbn4864&DATASET=0 ;
20. <http://sdw.ecb.europa.eu/browseTable.do?node=bbn4864&DATASET=0>;

სხალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

Hungary

Eka Lekashvili,
TSU Associated Professor

Mariam Bitsadze,

Magister of Economic and Business Faculty at TSU

Ketevan Jikia,

Magister of Economic and Business Faculty at TSU

In this series of articles, we will gradually present you “Challenges of Economic Policy of Visegrad Countries after joining EU”, where political advancements of Hungary, Poland, Czech Republic and Slovakia will be discussed.

Presented article contains Hungarian experience. Economical values and their variation before and after the joining EU; also, main problems and challenges were studied, such as process of getting close to and harmonizing with EU legislations, high levels of corruption, agriculture, membership of EU Economic and Monetary Union (EMU). On the basis of studying Hungarian experience, it can be considered as a way to join EU for Georgia.



კონკურენციის თავისებურებანი საქართველოს სატელევიზიო და ინტერნეტ ბაზარზე



დავით მესხი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: Meskhi_dato@yahoo.com
ტელეფონი: 571333111

ნაშრომში განხილულია საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის განვითარების დინამიკა. გაკეთებულია შედარებითი ანალიზი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ამ ბაზრებზე არსებული ფაქტორების შესაბამისად.

შესწავლილია საქართველოს სატელევიზიო და ინტერნეტ ბაზარზე მოქმედი კომპანიების რეგულირების არსებული პრაქტიკა და კონკურენციის სფეროს პრობლემები.

მთელ მსოფლიოში და ასევე საქართველოში არსებული ტექნოლოგიების დახვეწა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ტელეკომუნიკაციის ბაზარზე ხელს უწყობს ტელევიზიისა და ინტერნეტის დინამიურ განვითარებას, ფასების შემცირებას, კავშირის ხარისხის ამაღლებას და მოსახლეობის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ახალი პროდუქტის გაჩენას.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებობს კონკურენცია არა მარტო კომპანიებს შორის, არამედ ალტერნატიულ ტექნოლოგიებს შორის. კავშირის ტექნოლოგიების განვითარების შედეგად კონკურენცია ოპერატორებს შორის აისახება არა მარტო ფასების, ან ქსელის ხარისხის კონკურენციაში, არამედ ახალ მომსახურებებით გამოწვეულ კანკურენციაში. მაგალითად, მობილური ტელეფონი ახალმა ფუნქციებმა დღეს სმარტფონი აქცია არა მარტო სატელეფონო, არამედ მრავალფუნქციურ აპარატად, რამაც ოპერატორებს მისცა აბონენტებისათვის ახალ მომსახურებათა შეთავაზების შესაძლებლობა და ამომსახურებებით შემოსავლების ზრდა.

სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის სფეროში მომუშავე კომპანიები უკვე სარგებლობენ ახალ მომხმარებელთა და საგანთა ბაზის უპირატესობით და სისტემატურად ავითარებენ ახალ სერვისებს. ამას ზოგჯერ სხვა კომპანიასთან თანამშრომლობის სახე აქვს. მაგალითად, აშშ-ში კომპანია AT&T მუშაობს კომპანია IBM-თან ერთად „ჰივანი ქლაქების“ პროგრამაზე. ესპანური კომპანია Telefonica პროდუქტი IoT-ის პროდუქტის სახელწოდებით ცნობილი ე.წ. „მოზროვნე საგნები“-ს გამოყენება ხელს უწყობს ოთახების, ოფისების და შენობების

მიკროკლიმატისა და განათების რეგულაციის პროგრამის განვითარებას. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება მთლიანი სახლის, საოფისე ადჰუვილობისა და იმ მონაცემთა კონტროლი, რომელთანაც ისინი ურთიერთქმედებენ.

დღეისათვის ონლაინით სარგებლობს სამ მილიარდზე მეტი ადამიანი, ყოველდღიურად იზრდება ინტერნეტის მოხმარება. ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში. ამას ადასტურებს 2015 წლის მონაცემები, რომლის მიხედვით ამ ქვეყნებში 2009-2014 წლებში ეს რიცხვი გაორმაგდა. მსოფლიოში არსებული ონლაინ მომხმარებელთა 2/3 განვითარებად ქვეყნებზე მოდის. 4.3 მილიარდი ადამიანიდან, რომელიც არ იყენებს ინტერნეტს, 90% ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში. ცნობილია, რომ ფიჭური კავშირგაბმულობის სეგმენტში, 2014 წლის ბოლოსთვის დარეგისტრირდა პლანეტის მოსახლეობის (7 მლრდ) ტოლი მობილური აბონენტი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ადამიანია ჩართული კავშირის ამ სისტემაში. საკმე იმაშია, რომ ბევრი აბონენტი სარგებლობს რამდენიმე სიმბარათით. აღსანიშნავია ისიც, რომ 450 მილიონი ადამიანი ცხოვრობს ისეთ ადგილებში, რომლებიც ჯერ კიდევ მიუწვდომელია მობილური მომსახურებისათვის.

წარმოდგენილ ნაშრომში სხვადასხვა ქვეყნების და ადგილობრივი სატელევიზიო და ინტერნეტ ბაზრების შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია საქართველოს ბაზარზე არსებული ვითარება კონკურენციის მხრივ და დახასიათებულია მისი სპეციფიკური თავისებურებები.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

განვიხილოთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკურენციაზე სატელევიზიო და ინტერნეტ ბაზარზე. ესენია:

ა) განვითარების საშუალო რეგიონალური ინდექსი. ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილზეა დანია, შემდეგ სამხრეთ კორეის რესპუბლიკა. რეიტინგის ტოპ 30 განვითარებული ქვეყნის ჩამონათვალში ავსტრალიასთან, ბაჰრეინთან, კანადასთან, იაპონიასთან, მალაისიასთან (ჩინეთი), ახალ ზელანდიასთან, სინგაპურთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად შედიან ევროპისა და მსოფლიოს სხვა მაღალ-შემოსავლიანი რეგიონების ქვეყნები. თითქმის ყველა გამოკითხულ ქვეყანას 2014 წელს გაუმჯობესებული აქვს რეიტინგი წინა წელთან შედარებით. რეიტინგის მაჩვენებელი რეგიონული შედარების თვალსაზრისით ასე გამოიყურება:

1. ევროპა - 7.14;
2. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) - 5.33;
3. ამერიკა - 4.86;
4. აზია და წყნარი ოკეანე - 4.57;
5. არაბეთის სახელმწიფო - 4.55;
6. აფრიკა - 2.31.

ინდექსის მაჩვენებლები განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ორჯერ აღემატება განვითარებადი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. აღსანიშნავია, რომ დსთ-ს ქვეყნებმა და გაერთიანებულმა ემირატებმა ბოლო 1 წელიწადში საშუალო რეგიონალურ ინდექსში აჩვენეს ყველაზე მაღალი გაუმჯობესება.

იდენტიფიცირებულია „ყველაზე დინამიური ქვეყნების“ ჯგუფიც (ბოლო 1 წლის განმავლობაში ინდექსის საშუალოზე მაღალი გაუმჯობესებით). ამ ქვეყნების ჩამონათვალი დინამიურობის საუკეთესო მაჩვენებლის მიხედვით ასე გამოიყურება: არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ფიჯი, კაბო-ვერდე, ტაილანდი, ომანი, კატარი, ბელორუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა და საქართველო.

ბ) ინტერნეტ წვდომა. მკვლევართა ვარაუდით, 2016 წლის ბოლოსთვის დაახლოებით 54% ოჯახს ექნება წვდომა ინტერნეტთან სახლიდან (წინა წლის მაჩვენებელს აღემატება 40%-ით). ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებისათვის შეადგენს 78%, განვითარებად ქვეყნებში აღწევს 31%-ს, ხოლო გაეროს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში არ აღემატება 5%-ს. ბოლოათწლეულის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ინტერნეტ წვდომა სკოლებში. განვითარებულ ქვეყნებში სკოლების უმეტესობა ფლობს მაღალგამტარიან ინტერნეტს, ბევრი ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში კი სასკოლო კავშირგაბმულობამ უკვე 100% მოიცვა.

განვითარებად ქვეყნებში პროგრესი შესამჩნევია, თუმცა წვდომის დონეები მნიშვნელოვნად მერყეობს, არა მხოლოდ ქალაქებს, არამედ ქვეყნების სხვადასხვა რეგიონებს შორის.

გ) საბაზრო კონკურენცია და ხელმისაწვდომობა კომუნიკაციის შესაძლებლობის გამარტივებასთან ერთად მკვეთრად იზრდება მთელ მსოფლიოში. ბევრ ქვეყანაში ფართოხაზოვანი ინტერნეტის ფასები განაგრძობს ვარდნას. განსხვავებით საქართველოსაგან, 2008-2013 წლებში დამწყები დონის ინტერნეტის ფასები მსოფლიო მასშტაბით დაეცა 70%-ით. დამწყები დონის ინტერნეტის სტანდარტული სიჩქარე 256 კილობაიტიდან გაიზარდა 1 მეგაბაიტამდე. განვითარებულ ქვეყნებში, ინტერნეტი ხელმისაწვდომობა ექვსჯერ აღემატება განვითარებად ქვეყნების მაჩვენებელს.

დ) ონლაინ კონტენტის ზრდის მაჩვენებელი. ინტერნეტ მომხმარებელთა სტაბილური ზრდის მაჩვენებელი აისახა ონლაინ კონტენტის მკვეთრ ზრდაზე. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ მომხმარებლის ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური მედიის აპლიკაციები. ეს განპირობებულია იმ ადამიანთა რიცხვის მკვეთრი ზრდით, რომლებიც ქმნიან, აზიარებენ და ტვირთავენ სიახლეებს სოციალურ საიტებზე. მაგალითად, 61 ქვეყანის უდიდეს ვიდეო პორტალ youtube-ზე (ყავს ერთ მილიარდზე მეტი უნიკალური ვიზიტორი თვეში) ყოველ წუთში საშუალოდ იტვირთება 300 საათზე მეტი ხანგრძლივობის ვიდეო კონტენტი. ხოლო უდიდესი და ყველაზე გავრცელებული ონლაინ ენციკლოპედია ვიკიპედია ამჟამად გთავაზობს 30 მლნ სტატიას 287 ენაზე.

ე) ინოვაციური ციფრული ეკოსისტემის ზრდის ხელშეწყობა. უკანასკნელ ხანებში ტელეკომუნიკაციის მიმწოდებლებმა დაიწყეს იმ ინოვაციური ციფრული ეკოსისტემის ზრდის ხელშეწყობა, რომელიც შექმნილია შერწყმის, შესყიდვის ან შიდა კვლევა/განვითარების მეშვეობით. მაგ., შვედური კომპანია „TeliaSonera“ ფლობს წილს ელექტრონული საქონლისათვის მოდური აქსესუარების მიმწოდებელ კომპანია „Zound“ ინდუსტრიაში. ავსტრალიის კომპანია „Telstra“ კომპანია „DocuSign“-ის მეშვეობით ახორციელებს ინვესტიციებს ციფრულ ხელმოწერებში და კომპანია „Ooyala“-ს მეშვეობით ვიდეო პლატფორმებში. გერმანული ტელეკომუნიკაციის კაპიტალურმა პარტნიორებმა 620 მლნ აშშ დოლარი დააბანდეს გერმანიის დამწყებ კომპანიაში. შეიქმნა სატელიტური ოფიცრები რეგიონში სილიკონის ველის მომავალი-თაობის სერვისების შესახებ იდეებზე სრული წვდომის მისაღებად. მსხვილი გლობალური



ოპერატორები აყალიბებენ ციფრულ ინოვაციებზე ორიენტირებულ საკუთარ ინკუბატორებს ან გაერთიანებულ ფონდებს.

განსხვავდება მოთხოვნები ციფრული ეკოსისტემისადმი მომხმარებლებსა და ბიზნეს კლიენტებისათვის. მაშინ, როდესაც მომხმარებლებმა შესაძლოა მიიღონ საცდელი დონის პროდუქტი, ბიზნეს მომხმარებელი ითხოვს უფრო სანდო და უსაფრთხო სერვისს. სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გამოცდილებისა და უზარმაზარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ისინი კარგად არიან პოზიციონირებულნი ხარისხიანი და კარგად ორგანიზებული საიმედო ქსელის შეთავაზების უზრუნველსაყოფად.

განვიხილოთ კონკურენციის პრობლემები საქართველოს სატელევიზიო და ინტერნეტ ბაზრებზე. დღეისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებს რამდენიმე ათეული აქტიური ინტერნეტ პროვაიდერი. საცალო ინტერნეტის ხვედრითი წილი თბილისის ჩათვლით ძირითადად „კავკასუს ონლაინზე“, „სილქნეტზე“, „მაგთიკომზე“, „ახალ ქსელებსა“ და „ახტელზე“ მოდის. ბაზრის 60%-ზე მეტს „სილქნეტი“ და „კავკასუს ონლაინი“ ინაწილებენ. ბაზარზე თამაშის წესებსაც ისინი ადგენენ. პირველი სატელეკომუნიკაციო კომპანია, რომელიც მომხმარებელს ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მომსახურების სრულსპექტრსსთავაზობს არის „კავკასუს ონლაინი“. მისი ბრენდის ქვეშ 2008 წელს გაერთიანდნენ ტექნოლოგიური ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე მოქმედი მოთამაშეები Sanet და Georgia Online (dial up ტექნოლოგია), Caucasus Network (dsl ტექნოლოგია) და Telenet (fixed wireless ტექნოლოგია)“. კომპანიამ შავი ზღვის ფსკერზე 2008 წელს განთავსებული მისი კუთვნილი 1200 კილომეტრიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური კაბელით საქართველო ევროპასთან დააკავშირა. დღეს „კავკასუს ონლაინი“ როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული სატელეკომუნიკაციო ბაზრის მსხვილი მოთამაშე მთლიანობაში ევროპიდან კასპიის რეგიონის ჩათვლით ფლობს: 3000 კმ-ზე მეტ ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტურას; ფიზიკური და ვირტუალური დაშვების რამდენიმე წერტილს (POP) ევროპაში (ფრანკფურტში, ლონდონში, ბუდაპეშტში, ამსტერდამში, სოფიაში, კიევში). კომპანიაზე მოდის ინტერნეტის მიწოდების 85% სომხეთში, 50% აზერბაიჯანში და 55% საქართველოში. რაც შეეხება „სილქნეტს“, იგი საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შედარებით ახალი მოთამაშეა (დაარსდა 2010 წელს).

ინტერნეტით სარგებლობის ფასი საქართველოში

სხვა ქვეყნებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ექსპერტების აზრით, კონკურენციის არარსებობის პირობებში ბაზარზე შეიმჩნევა კარტელური გარიგების ნიშნები, კომპანიების მიერ ხდება ფასის შეთანხმებული ზრდა, ადგილობრივი პროვაიდერების ბაზარზე კაბალურად მაღალი ფასით ოპერირება და მომხმარებლისათვის ალტერნატივის მოსპობა.

2015 წლის მარტში „კავკასუს ონლაინი“ ახალ სატარიფო სისტემაზე გადავიდა. ცვლილება შეეხო როგორც ინტერნეტის, ასევე ტელევიზიის მომხმარებლებს. ახალი ტარიფების მიხედვით, მომხმარებელი იხდის შემდეგ საფასურს: ოპტიმალური (10 მბ/წმ) - 27 ლარი, (ძველი ფასი-25 ლარი); ექსპრესი (30 მბ/წმ) - 37 ლარი (ძველი ფასი-35 ლარი); ექსტრემი (50 მბ/წმ) - 50 ლარი (ძველი ფასი-45 ლარი); ინფინიტი (100 მბ/წმ) - 100 ლარი.

ფასების ზრდის მიზეზად „კავკასუს ონლაინის“ წარმომადგენლები საერთაშორისო ბაზარზე არსებულ დასაქართველოში შექმნილ ეკონომიკური მდგომარეობას ასახელებენ, მაგრამ არ განმარტავენ თუ რას გულისხმობენ შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობაში. რაც შეეხება „სილქნეტს“, მათი ინფორმაციით ტარიფების მატება განპირობებულია ინტერნეტის სიჩქარეების ზრდით და საბაზრო ფასებთან გათანაბრების მცდელობით.

სპეციალისტთა აზრით, თუ კომპანიები ფასების ზრდის მიზეზად ასახელებენ მომხმარებელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ინტერნეტის სიჩქარის ზრდას, მაშინ მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მიეცათ მათთვის არჩევანის საშუალება - ან არსებული ტარიფი და დაბალი სიჩქარის ინტერნეტით სარგებლობა, ან სიჩქარის შესაბამისად ფასის ზრდა.

გარდა ამისა, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციით 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, „კავკასუს ონლაინს“ შესყიდულ ინტერნეტზე ხარჯი 5 მილიონით შეუმცირდა, ანუ ყოველად დაუსაბუთებლად მოხდა ფასის აღნიშნული ზრდა:

2013 წელი: ყიდვა - 1096705 მბ ხარჯი - 9 420 439 ლარი;

2014 წელი : ყიდვა - 915778 მბ ხარჯი - 3 693 002 ლარი.

„სილქნეტს“ 211 656 მბ-ით მეტი აქვს შეძენილი და შესაბამისად, 2 056 542 ლარით მეტი ხარჯიც ჰქონდა, თუმცა მარეგულირებელი ორგანოს ინფორმაციიდან ჩანს, რომ მხოლოდ სხვა ქვეყნის ოპერატორებისგან და მხოლოდ 6 თვის მონაცემებით, კომპანიამ 2013 წლის მთლიან შემოსავალთან შედარებით, 605 393 ლარით მეტი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შემოსავალი მიიღო და გაყიდა 46000 მზ-ით მეტი. ამას ემატება ქართული პროვაიდერებისთვის მიყიდული მოცულობა, შემოსავლები და საკუთარი მომხმარებლების ზრდა და მიღებული შემოსავლები.

გარდა ფასისა, საქართველოს მოსახლეობის მხრიდან მუდმივი კრიტიკის საგანია ინტერნეტის ხარისხი და სიჩქარე.

განსაკუთრებით მაღალია ორგანიზაციებისთვის დაწესებული ინტერნეტის ტარიფი (8000 ლარი 100 მგბ/წმ ინტერნეტზე) ფიზიკური პირებისთვის მოქმედი ტარიფთან (100 ლარი 100 მგბ/წმ ინტერნეტზე) შედარებით.

რაც შეეხება შემოსავლებს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან:

- „სილქნეტი“: ფიზიკური პირი 2014 წელს - 218 915 მომხმარებელი და 43 557 251 ლარი შემოსავალი; იურიდიული პირი - 12 917 მომხმარებელი და 18 103 539 ლარი შემოსავალი
- კავკასუსი: ფიზიკური პირი 2014 წელს - 155 126 მომხმარებელი და 43 401 832 ლარი შემოსავალი; იურიდიული პირი - 6 379 მომხმარებელი და 13 086 938 ლარი შემოსავალი

ბოლო პერიოდში ტელეკომუნიკაციებში ყველაზე აქტიური საკითხი გახდა კავკასუსის გაყიდვის შესახებ გამოთქმული სურვილი. ყიდვის მსურველი აღმოჩნდა რამოდენიმე კომპანია. პირველმა „სილქნეტმა“ გამოთქვა „კავკასუსის“ შეერთების სურვილი და განაცხადი მათი გაერთიანების ინიციატივის თაობაზე 2015 წლის 27 ივლისს გააკეთა.

„კავკასუს ონლაინის“ აქტივების შეძენის სურვილით „მაგთიკომმაც“ მიმართა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას. არც ბილაინმა დააყოვნა და გამოთქვა სურვილი კავკასუსის შეძენის თაობაზე. მეტიც, ვიმპელკომის ხელმძღვანელობა დავოსში საქართველოს პრემიერ მინისტრსაც შეხვდა ამ თემაზე. საბოლოოდ როგორც კავკასუსის მფლობელმა განაცხადა კავკასუსს სწორედ ბილაინი ყიდულობს, ვინაიდან ისინი ყველაზე მეტი საფასურის გადახდისთვის აღმოჩნდნენ მზად.

ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ მიღებული მონოპოლიური მდგომარეობა ჭარბი მოგების, ბაზრის დაზარალებისა და მომხმარებელთა უფლებების შელახვისთვის არ გამოიყენოს.

ახლო მომავალში ალბათოფიციალურად გახდება ცნობილი, მისცემს თუ არა მარეგულირებელი კომისია „ბილაინს“ ნებართვას „კავკასუს ონლაინის“ ნაწილის შეძენაზე. არაოფიციალური ინფორმაციით გარიგება ფაქტობრივად შედგა, „კავკასუს ონლაინი“

გეგმავს კომპანიის ორ ნაწილად გაყოფას, საცალო მომსახურების სეგმენტის მ.შ. მაუწყებლობის ტრანზიტის, სატელეფონო და ინტერნეტის მომსახურების „ბილაინისთვის“ გადაცემას, თავისთვის კი საბითუმო ბაზრის სეგმენტს დაიტოვებს. ესაა ქსელური ინფრასტრუქტურა, მ.შ. საქართველო-ბულგარეთის დამაკავშირებელი წყალქვეშა ოპტიკურბოჭკოვანი კაბელი.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მიხედვით, კომისია უფლებამოსილია და ვალდებულიცაა პერიოდულად ჩაატაროს ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე კვლევა-ანალიზი, გამოავლინოს მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორები და დაუდგინოს მათ სპეციფიკური ვალდებულებები, მ.შ., სატარიფო რეგულაცია, ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, დიკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, ხარჯებისა და შემოსავლების განცალკევებით აღრიცხვა და სხვა. ანუ კომისიამ უნდა უზრუნველყოს ბაზარზე კონკურენტული პირობები და თანაბარი გარემო ყველა მოთამაშისთვის.

კომისიის განმარტებით, „ბილაინს“ და „კავკასუსს“, როგორც მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიებს, უკვე აქვთ დავისრებული სხვადასხვა ვალდებულებები“.

კონკურენცია აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ საქართველო არაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც კონკურენციის პრობლემა ასეთი სიმწვავეით დგას, იგივე პრობლემას ვაწყდებით აშშ-შიც. ამერიკის უმსხვილესი საკაბელო კომპანია, ინტერნეტ მომსახურების უდიდესი პროვაიდერი და მესამე უდიდესი საოჯახო ტელეფონების პროვაიდერი კორპორაცია „კომკასტი“ ფლობს NBCU უნივერსალს, აწარმოებს ფილმებს, კაბელებს და ტელევიზიების პროგრამებს. ის დიდია არა მხოლოდ ამერიკის სტანდარტებით, არამედ არის მსოფლიოს უდიდესი მედია კომპანია. 2013 წელს, მან 64.67 მლრდ აშშ დოლარი გამოიმუშავა. მიიღო 13.6 მლრდ აშშ დოლარი ოპერაციული შემოსავალი და 7.1 მილიარდი აშშ დოლარი წმინდა მოგება. ამჟამად „კომკასტი“ ცდილობს „გადაყლაპოს“ Time Warner Cable - მეორე უდიდესი საკაბელო კომპანია ქვეყანაში. აშშ-ს მოსახლეობა შიშობს, რომ აღნიშნულის გამო ფართოხაზოვანი ინტერნეტ წვდომის, საკაბელო ტელევიზიისა და სხვა საოჯახო სატელეფონო ხაზებით სარგებლობისათვის მათ მოუწევთ სხვა განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაზე გაცილებით მეტის გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურება მათზე არაფრით უკეთესი არ იქნება.

მათ მაგალითად მოჰყავთ საფრანგეთი, რომელიც ამერიკელებს ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად



შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანად მიაჩნიათ. თვიური დანახარჯები საფრანგეთში ამ პაკეტებზე, უხეშად რომ ვთქვათ 40 დოლარია თვეში - დაახლოებით იმის მეოთხედი, რასაც აშშ-ში იხდიან. უკანასკნელისგან განსხვავებით, საფრანგეთის სამმაგი პაკეტები მოიცავს უფასო სატელეფონი ზარებს მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან. მეტიც, საფრანგეთს აქვს უფრო სწრაფი ინტერნეტ სერვისი-ათჯერ უფრო სწრაფად ხდება ინფორმაციის ჩამოტვირთვა და ოცჯერ უფრო სწრაფად ატვირთვა ვიდრე ეს ამერიკაშია შესაძლებელი.

სეულში, სამმაგი პაკეტები იწყება თვეში 15 დოლარიდან; სხვა მხრივ საკმაოდ ძვირ ქალაქ ციურიხში ფასები 30 დოლარიდან იწყება. იგივე ხდება ცალკეული სერვისების მხრივ. ბრიტანეთში, თვიური სატელეფონო გადასახადი იწყება 15 დოლარიდან; ულიმიტო ინტერნეტი - 25 დოლარიდან. უფასო სამოცზე მეტი სატელევიზიო არხის, დაახლოებით ოცდაათი რადიო არხისა და

ათეულობით ინტერნეტ არხის მქონე ციფრული ტელევიზიის სერვისი. მოცემული ინფორმაცია ზუსტად ასახავს აშშ-ში არსებულ ვითარებას და ამდენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კითხვები კონკურენციისა და საკონკურენციო პოლიტიკის შესახებ.

ისეთ ქვეყნებში როგორცაა გაერთიანებული სამეფო, რეგულაციის გამტარებლებმა დაავალდებულეს საკაბელო და სატელეფონო ოპერატორები რომ გააქირავონ თავიანთი ქსელები კონკურენტუნარიან ფასში, ახალ პროვაიდერს მისცენ ბაზარზე შეღწევის და ფასების დრამატული დაწევის საშუალებაც კი. მოქმედი მოთამაშეების („კომკასტის“ ადგილობრივი ვერსიების Time Warner Cable, Verizon-სა და AT&T-ს) მხრიდან აღნიშნული რეგულაციის მიმართ წინააღმდეგობის მიუხედავად, გამტარებლებმა მაინც აიძულეს ისინი მიეღოთ კონკურენციის დადგენილი წესები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, 2012 წ.
2. საქართველოს კანონი “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ”, 2012 წ.
3. ფეტელავა ს. გოგიაშვილი შ. – ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური საკითხები). თბ., “ლოი”, 2012 წ.
4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 და 2014 წლის წლიური ანგარიში
5. <http://www.ipress.ge/new/4369-afba-qartuli-internetprovaiderebi-bazarze-kabaluri-fasebit-operireben>
6. http://commerciant.ge/?m=5&news_id=20381&cat_id=6,22
7. <http://www.bpn.ge/finansebi/12169-ratom-gaadzvirda-internetis-safasuri-saqarthveloshi.html?lang=ka-GE>
8. <http://www.scribd.com/doc/48599342/Competition-and-oligopoly-in-telecommunications-industry-in-the-EU#scribd>
9. <http://analytics.gncc.ge/ka/statistics/?c=internet&sid=25094>
10. <http://silknet.com/index.php?lang=ka&mid=89&s=news>
11. <http://silknet.com/index.php?lang=ka&mid=91&s=charity>
12. <http://co.ge/ka/news/>

Georgian TV and Internet - based markets' competition peculiarities

Davit Meskhi,
Doctoral Student

In this article is discussed dynamic of Georgian communications development. Comparative analyse is made according to the factors of the developed and developing countries' markets.

Is mastered current practice of regulations of Georgian television and internet-based companies and problems of competition.

ბაზრის მონაწილეთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების როლი რისკების რაციონალურ მართვაში



გიორგი დანელია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი.
მობ: 577 21 20 22.
Email: giorgi.danelia@hotmail.com

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო დღეს დღეისობით რამდენიმე მწვავე ფინანსური კრიზისის მომსწრეა, კრიტიკული ხდება ამ კრიზისების გამომწვევი მიზეზების ანალიზი. ამ მიზნით მრავალი მოდელია შექმნილი და ბევრ ფინანსისტს თუ ეკონომისტს განსხვავებული შეხედულებები აქვს როგორც მიზეზებზე, ასევე კრიზისების მიტიგაციის საშუალებებზე. მრავალი მათემატიკური, მაკროეკონომიკური და სტატისტიკური მოდელი შეიქმნა, გამოიცადა და დაიხვეწა ბოლო ათწლეულების განმავლობაში, თუმცა მაინც ვერ მოხერხდა საბოლოო კონსენსუსი ვერც კრიზისის გაგმომწვევი მოვლენების ანალიზში, და ვერც პოსტ კრიზისულ მოქმედებაში.

ნათელია, რომ ანალიზის დროს მხოლოდ რიცხვებზე დაკვირვება და მათი მანიპულირება საკმარისი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, აქტუალური გახდა კიდევ ერთი ფაქტორის: ადამიანის ქცევის თავისებურებების გათვალისწინება. როგორც აღიქვამს ადამიანი ბაზარზე მომხდარ სიახლეებს? როგორია მისი დამოკიდებულება რისკისა და უკუგების მიმართ? როგორ წინასწარმეტყველებს და პასუხობს ბაზრის სხვა მონაწილეების ქმედებებს? ეს ის კითხვებია, რომელზე პასუხებიც მნიშვნელოვანია შეიძლება აღმოჩნდეს რისკების რაციონალურ მართვაში, და შესაბამისად კრიზისების გამომწვევი მიზეზების მეტნაკლები სიზუსტით ანალიზში.

მსოფლიოში უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების ფონზე, ფინანსურ სამყაროში ბაზრის მონაწილეთა ქმედებები, მოლოდინები და სხვადასხვა მოვლენების აღქმის უნარი ძალიან დიდ და გადაძვევებულ მნიშვნელობას იძენს ამ კრიზისების ანალიზისა და მათი პრევენციისათვის. ბიჰევიორისტიკა სწორედ ამ მოლოდინების და ქმედებების შესწავლის გზით ეხმარება კლასიკურ ფინანსურ და ეკონომიკურ მოდელებს კრიზისების გამომწვევი მიზეზების ანალიზში. ბიჰევიორისტიკული და კლასიკური ფინანსური თეორია ერთმანეთს ავსებს, დაარცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს ერთმანეთის ალტერნატივას, რადგანაც ადამიანის ქცევის ანალიზს აუცილებლად სჭირდება ამ ქცევის გამომწვევი ეკონომიკური თუ ფინანსური მოტივატორის დადგენა. რა თქმა უნდა, მსოფლიო ეკონომიკაში კრიზისი და ეკონომიკის დაღმასვლა გარდაუვალი პროცესია, თუმცა მათი ნეგატიური ეფექტის შემცირება მაინც შესაძლებელია.

ფინანსურმა კრიზისმა ცხადჰყო, რომ როგორც ფინანსურის ასევე არა ფინანსური რისკების არასწორმა შეფასებამ, მათზე არასწორად რეაგირებამ და გადაზღვევის არასწორმა მეთოდებმა გამოიწვიეს ძალიან ბევრი დიდი ფინანსური ბაზრის და ფაქტორების კრიზისი. თუმცა, რისკები გამოწვეული არ იყო მხოლოდ მათემატიკური უზუსტობებით, არამედ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ადამიანების ფსიქოლოგიური ფაქტორები და მათი გარე სამყაროსთან და ბაზრის სხვა მონაწილეებთან დამოკიდებულება იყო. სწორედ, ეს უკანასკნელია რთულად სამართავი, რადგანაც იგი მათემატიკურ გათვლებს და ფორმულებს არ ემორჩილება.

შესაბამისად, აუცილებელი გახდა გარკვეული მიდგომების და მოდელების შემუშავება, რომლებიც მეტნაკლებად პროგნოზირებადს გახდიდა ბაზრის მონაწილეების ქცევას და მათ ნაბიჯებს. თუმცა, იმისთვის რომ ინვესტორის ქცევა და შემდგომი ნაბიჯი მეტნაკლები სიზუსტით განჭვრიტო, აუცილებელია ამ ქცევის გამომწვევი მიზეზის ანუ მოტივაციის სწორად იდენტიფიცირება. მიზეზი



შეიძლება ბევრი არსებობდეს, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი არის რისკის აღქმა და რისკისადმი დამოკიდებულება. რისკის აღქმასა და დამოკიდებულებაში კი ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება ინვესტორების და ბაზრის სხვა მონაწილეების კოგნიტიურ მიდრეკილებებს სხვადასხვა სტანდარტული შეცდომების დაშვებისადმი. ბიჰევიორისტული ფინანსები ზუსტად მსგავს მიდრეკილებებზე ამახვილებს ყურადღებას. მათგან რამდენიმეს ამ სტატიაში განვიხილავთ.

1. ხელმისაწვდომობის ევრისტიკა

რისკის აღქმის ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია ქცევითი ფინანსების თვალსაზრისით ცნობილია როგორც “ხელმისაწვდომობის ევრისტიკა” (Availability Heuristic). აღნიშნული კონცეფციის გამოყენებით მეცნიერები ცდილობენ ახსნან ფინანსური აგენტების მიერ შეფასებული მოვლენის ალბათობა. კვლევების და ექსპერიმენტების რაოდენობამ გამოაშკარავა, რომ ინვესტორები უმრავლეს სიტუაციაში მიკერძოებულები არიან იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია, უკეთ გამოქვეყნებადია და უფრო ახალია. (Ricciardi, 2004 წელი, გვერდი 31). ინვესტორები, რომლებიც ცდილობენ შეამცირონ დრო გადაწყვეტილების მისაღებად, და შეძლებისდაგვარად პირველები იყვნენ და დაასწრონ სხვა კონკრუნეტებს, ხშირად ხდებიან აღნიშნული მიდრეკილების მსხვერპლი. ერთ-ერთი არაფინანსური მაგალითი ინფორმაციისადმი მსგავსი ტიპის მიკერძოებულობის არის, ადამიანის აღქმა, რომ თვითმფრინავით მგზავრობა უფრო სარისკოა ვიდრე ავტომობილით. ეს შედეგია მასმედიის მიერ ბევრად ნაკლები ავიაკატროსტროფის უფრო ფართოდ გაშუქებისა, ვიდრე მრავალრიცხოვანი ავტოსაგზაო შემთხვევებისა.

2. ზედმეტი თვითდაჯერებულობა (Over Confidence)

ქცევითი ფინანსების შესახებ ლიტერატურის დიდ ნაწილში, თვითდაჯერებულობა მიჩნეულია ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, რაც გავლენას ახდენს რისკის შეცნობაზე და ფინანსური აგენტების მომდევნო საინვესტიციო საქმიანობაზე (Ricciardi, 2004 წელი, გვ 32; Daniel and Titman 2000). ხალხის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში სადაც რისკი ასრულებს ძალიან მნიშვნელოვან როლს, გადაჭარბებულად აფასებს საკუთარ კვალიფიკაციას, განაცხადებს, შესაძლებლობებს და

ცოდნას. შეფრინის თანახმად (2006 წელი, გვ 658) ადამიანები მიდრეკილნი არიან იყვნენ ზედმეტად დარწმუნებულები საკუთარ თავში როდესაც რთული ამოცანის პირისპირ აღმოჩნდებიან. უფრო მეტიც, ასეთი ქცევითი მიკერძოებულობა იზრდება დაგროვილ გამოცდილებასთან ერთად, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ინვესტორების მოლოდინებზე. ინვესტორები იგნორირებას უკეთებენ და არ აქცევენ დიდ ყურადღებას შესაძლო რისკებს, “მანამ სანამ” დარწმუნებულები არიან, რომ მათი დაზღვევის მეთოდები იმ რისკების მიმართ ეფექტური იქნება. პრობლემა ჩნდება ზუსტად ამ დროს: დროის მონაკვეთი “მანამ სანამ” ძალიან სუბიექტურია და ხშირ შემთხვევაში დაგვიანებული.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ინვესტორები დროდადრო აწყდებიან მეტნაკლებად ერთი და იგივე პრობლემას, ისინი უშვებენ იგივე შეცდომებს, იმის გამო რომ მათში იზრდება თვითდაჯერებულობის განცდა წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე. თუმცა ცხადია, რომ ერთი და იგივე პრობლემას მუდმივად ერთი და იგივე გადაწყვეტა ვერ ექნება.

უმეტეს შემთხვევაში, თვითდაჯერებულობა უსწრებს რამდენიმე სხვა ქცევით ტენდენციას, რომელთაგან შეგვიძლია გამოვყოთ ე.წ. კონტროლის ილუზია. ჰიტონი (2005 წელი, გვ 667) ამტკიცებს, რომ ინვესტორები, განსაკუთრებით სარისკო სიტუაციაში, არიან უფრო ოპტიმისტურები იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებსაც თვლიან რომ აკონტროლებენ. შესაბამისად, ისინი იღებენ გადაწყვეტილებას მათ შეგრძნებებზე დაყრდნობით, რაც გარდა იმისა რომ მათ საკუთარ ინტერესებს აზარალებს, ასევე უზიმა ბაზრის სხვა მოთამაშეებს ქმედებებისკენ, რომლის გამომწვევ მიზეზიც იმთავითვე არასწორადაა აღქმული.

3. დანაკარგის თავიდან აცილება (Loss Aversion)

კლასიკური ფინანსების შესახებ ლიტერატურაში ხაზგასმულია რომ რისკის განსაზღვრა შესაძლებელია ისეთი სტატისტიკური ცნებების დახმარებით, მაგალითად როგორც ვარიაცია (Olsen, 2000, გვ 50). მაგრამ ალტერნატიულად, ქცევითი ფინანსებში მეცნიერები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ დანაკარგის თავიდან აცილების კონცეფციას, რაც ნიშნავს იმას, რომ ინვესტორისთვის უფრო მნიშვნელოვანია დანაკარგის თავიდან აცილება, ვიდრე პოტენციური მოგების მიღება. რაოდენ პარადოქსულადაც არ

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

უნდა ჟღერდეს ინვესტორებს აქვთ მიდრეკილება უფრო მეტ რისკზე წავიდნენ დანაკარგის შესამცირებლად. ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ დანაკარგები ინვესტორებს ორჯერ უფრო მეტად აწუხებთ ვიდრე მოგება, რაც ნიშნავს რომ მაგალითად 100 აშშ დოლარის დანაკარგს ორჯერ უფრო მეტი უკმაყოფილება მოაქვს, ვიდრე იმავე რაოდენობის თანხის მოგებას.

4. წარმომადგენლობითი მიკერძოებულობა (Representativeness)

ამ ქცევის ძირითადი იდეა არის რწმენა, რომ ინვესტორები ახალ მოვლენებზე და რისკებზე რეაგირებენ იმ მოვლენების და რისკების მსგავსად, რომლებსაც ისინი უკვე იცნობენ (Ricciardi 2004). საინვესტიციო საქმიანობაში წარსული მოვლენები ან შემთხვევები ქმნიან ე.წ. “გონებრივ წერტილებს”, რომლებიც იმ დროს როცა ნაცნობი მოვლენის წინაშე დგება ინვესტორი, ავტომატურად ირთვება და პირდაპირ გავლენას ახდენენ ინვესტორების აღქმასა და სამომავლო ქცევაზე. შესაბამისად, მსგავსი შემთხვევების უმრავლესობაში ინვესტორები მიდრეკილნი არიან მათთვის არასწორი გადაწყვეტილების მიღებისკენ. თუმცა პრობლემა აქ არ სრულდება, რადგანაც, როგორც რამდენჯერმე აღვნიშნეთ კონკრეტული ერთი ინვესტორის არასწორი ნაბიჯი არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი ზიანით – მისი ქმედება არის სიგნალი ბაზრის სხვა მოთამაშეებისთვის, რომლებიც ამ სიგნალზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ.

“[...] წარმომადგენლობის კონცეფცია ვარაუდობს, რომ კაცობრიობას აქვს ავტომატური მიდრეკილება მიიღოს გადაწყვეტილებები საგნების მსგავსების საფუძველზე ან განჭვრიტოს მომავალი გაურკვეველი მოვლენების მცირერიცხოვან მონაცემებზე დაყრდნობით და მიიღოს გლობალური გადაწყვეტილება” (რიკიარდი და საიმონი, 2001, გვ.21).

უნდა აღვნიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ინვესტორის წინაშე არსებული რისკი თვისობრივად ახალი რისკია, მაინც ინვესტორი მიდრეკილია ახალი რისკი მაქსიმალურად მიახლოებას სხვა, მისთვის უკვე ნაცნობ მოვლენას, და მასზე რეაგირებაც თითქოს უფრო მარტივი ხდება. რა თქმა უნდა, ცალმხრივად იმის მტკიცება, რომ ეს შეცდომაა უნივერსალურია ყველა შემთხვევასა და ყველა ტიპის ინდივიდისათვის, რა თქმა უნდა არასწორია და როგორც ბევრი სხვა ცნება ეკონომიკაში, ესეც ფარდობითია.

5. ფრეიმინგი (ჩარჩოში მოქცევა, Framing)

კვლევები აჩვენებს, რომ ინვესტორების მიერ რისკის აღქმის დროს იმპროვიზაციის ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია კონტექსტზე. შესაძლებელია ორი აბსოლურრუტად იდენტური მოვლენა თუ რისკი ბაზრის მონაწილის მხრიდან აღიქმებოდეს რადიკალურად განსხვავებულად კონტექსტიდან და სიტუაციიდან გამომდინარე. აღნიშნული რა თქმა უნდა, ერთი და იგივე რისკზე განსხვავებულ დამოკიდებულას იწვევს, რაც ერთ შემთხვევაში თუ ეფექტური გზა არის, სხვა შემთხვევაში საპირისპირო შედეგს იძლევა.

6. წარსულზე დამოკიდებულება (Anchoring)

წარსულზე დამოკიდებულება ეხება პიროვნების ქცევას, როდესაც მისი გადაწყვეტილება ეფუძნება წარსულ მოვლენებს, რომელიც თავის მხრივ შემდგომი გადაწყვეტილებების ათვისების წერტილი ხდება. ინვესტორებს ახასიათებთ “ჩაიბეჭდონ” გარკვეული სპეციფიური მოვლენები წარსული გამოცდილებიდან და დაუკავშირონ მომდევნო გადაწყვეტილებები ამ მომენტს. ბიჰევიორისტიკის შესახებ ლიტერატურაში “წარსულის ჩაბეჭდვის” ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია ინვესტორის მიერ მომავალი გაყიდვების წინასწარ განჭვრეტა გასული წლის მონაცემების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ზედმეტი ყურადღება ექცევა წარსულ მოვლენებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში შეიძლება იმაზე ნაკლებად რელევანტურია ვიდრე ამას ინვესტორები მიიჩნევენ. (Ricciardi 2004, Montier 2002).

ხშირ შემთხვევაში, როდესაც ბაზრის მონაწილეებმა უნდა მიიღონ სარისკო გადაწყვეტილებები მომავალი საქმიანობისთვის, ისინი თავიანთ პოზიციას აყალიბებენ წარსული სარისკო საქმიანობის საფუძველზე და ყველა მომდევნო გადაწყვეტილება განპირობებულია ამ “პირველი შთაბეჭდილებით”.

ფაქტია რომ, როდესაც ინვესტორები აცნობიერებენ, რომ მენტალურად მიბმული არიან წარსულის ერთ მოვლენასთან, რთული ხდება ე.წ. “წარსულთან დაკავშირების შეჩერება” (Ricciardi 2004, გვ 36). ყოველ სარისკო საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე ისინი ყოველთვის რჩებიან თავიანთ პირველ აზრზე, და ეყრდნობიან პირველ ინფორმაციას.

უფრო მეტიც, ინვესტორები იღებენ გადაწყვეტილებას გაურკვეველ რთულ მდგომარეობაში ნებისმიერ ხელმისაწვდომ რაოდენობრივ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მათი გამოცდილებიდან გამომდინარე.

7. ფამილიარული მიკერძოებულობა (Familiarity Bias)

კიდევ ერთი კონცეფცია ბიჰევიორისტიკიდან, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს რისკის აღქმაზე და ამგვარად შემდგომი რისკის მართვის მექანიზმებზე, არის ფამილიარული მიკერძოებულობა (Familiarity Bias). ეს ცნება შეიძლება აიხსნას როგორც დამოკიდებულება მხოლოდ იმ ცოდნასა და ინფორმაციაზე, რომელიც ინვესტორებს უკვე გააჩნიათ (Gilovich, 1981). ანუ ახალი რისკის წარმოშობის მომენტში, ნაკლებად სავარაუდოა რომ ადამიანმა დაიწყოს ახალი ინფორმაციის მოძიება, რომელიც შეიძლება დაეხმაროს მას ამ რისკის ელიმინაციაში.

რისკის მართვის კონტექსტში, ინვესტორები თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ ისეთი რისკის შემთხვევაში, რომელიც მათთვის უკვე კარგად ნაცნობია, ასე მათ უფრო დიდი სურვილი აქვთ მისი გადალახვის და ცდილობენ თავიდან აიცილონ უცნობი და “ახალი” რისკები. ამასთან ერთად, ბაზრის მონაწილეებზე გავლენას სხვა ზემოთ განხილული ფაქტორებიც ახდენენ.

მსგავსი ქმედების კიდევ ერთი მაგალითია ტენდენცია, როდესაც ინვესტორები ძალიან ხშირად ენდობიან და ვაჭრობენ კარგად ნაცნობი ფასიანი ქაღალდებით. ბიჰევიორისტულ ფინანსებში მოვლენების რაოდენობა შესაძლოა აიხსნას ფამილიარული მიკერძოებულობის გამოყენებით. მაგალითად, არსებობს ტენდენცია, რომ ინვესტორები უპირატესობას ანიჭებენ შიდა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას, ვიდრე საერთაშორისო ფასიანი ქაღალდებით, ზემოთ განხილული მიზეზის საფუძველზე. ასევე არსებობს აღიარებული ტენდენცია პორტფოლიოს მენეჯერების ქცევაში, როცა ისინი, როგორც წესი, ინვესტიციას დებენ ადგილობრივ, მათთვის კარგად ნაცნობ კომპანიებში, და ა.შ.

8. სხვა მიდრეკილებები

არსებობს გარკვეული რაოდენობის დამატებითი შემეცნებითი მიდრეკილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ინვესტორების მიერ რისკის აღქმაზე

და შემდგომ შესაბამის გადაწყვეტილებებზე. რთული იქნება ყველა მსგავსი ფაქტორის აღწერა და ანალიზი, თუმცა რამდენიმეს გამოყოფა შესაძლებელია. თვითდაჯერებულებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რისკის მართვის პროცესში. როდესაც ინვესტორებს აქვთ ასეთი შეგრძნება, ისინი ფიქრობენ რომ მათ შეუძლიათ გააკონტროლონ მოვლენები, რომელიც წარმოიშვება მათი გადაწყვეტილებებიდან. მაგრამ სინამდვილეში ისინი იგნორირებას უკეთებენ უკიდურესი შედეგების შესაძლებლობას და მათი რწმენა, რომ ისინი ყველაფერს აკონტროლებენ, სინამდვილეში არ არის მართალი. უფრო მეტიც, ინვესტორთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მოვლენებზე, მიდრეკილება რომელსაც “ჯადოსნურ აზროვნებას” უწოდებენ. ასეთი მიდრეკილების მიზეზები შესაძლოა იყოს ზედმეტად სტრესული გარემო, პოზიტიური შედეგების სერია ან ზედმეტად დიდი აქცენტი შედეგებზე (Vedpuriswar, “რისკის მართვის შესავალი”, გვ 12).

სხვა ქცევითი ანომალია, რომელსაც ასევე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ინვესტორთა მხრიდან სარისკო გადაწყვეტილებებზე არის ე.წ. “სახლის ეფექტი” – შემთხვევა, როცა გარკვეულ პიროვნებებს შეუძლიათ შედარებით მარტივად მიღებული თანხა უფრო მეტად გარისკონ, ვიდრე მათი საკუთარი სახსრები.

ასევე აღსანიშნავია დაგვიანებული შეფასებისადმი და მახსოვრობისადმი მიდრეკილება. პირველი არის ისეთი მიდრეკილება, როდესაც ინვესტორს სჯერა, რომ მას ადვილად შეეძლო წინასწარ განესაზღვრა რა მოხდებოდა. მეორე უკავშირდება მიდრეკილებას დაგვიანებული შეფასებისადმი – ინვესტორებს სჯერათ, რომ მათ წინასწარ განჭვრიტეს რა მოხდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს არ გაუკეთებიათ.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რისკის აღქმა და შემეცნებითი ფაქტორები ასრულებს არანაკლებ მნიშვნელოვან როლს რისკის მართვაში ვიდრე კლასიკური ფინანსური მოდელების ინსტრუმენტები. რისკები დადგენილია, აღქმულია, მართულია და აწონ-დაწონილია ადამიანების მიერ, ამგვარად ფსიქოლოგიის იგნორირება არ მიგვიყვანს ზუსტ და სწორ შედეგებამდე რისკის მართვაში. რისკის მართვაში დაშვებული შეცდომები კი სხვადასხვა კრიზისების გამომწვევი მიზეზებად გვევლინებიან.

1. Daniel, K., Titman, S., 2000, Market Efficiency in an Irrational World, Working paper 7489, National Bureau of Economic Research.
2. Gilovich T., 1981, Seeing the past in the present: The effect of associations to familiar events on judgments and decisions, *Journal of Personality & Social Psychology*, 40(5), pp. 797-808.
3. Heaton J. B., 2005, Managerial Optimism and Corporate Finance, *Advances in Behavioral Finance: Volume II*, Thaler, R. H. (ed.), New York et al., pp. 667-684.
4. Montier, J., 2002, *Behavioural Finance: Insights into Irrational Minds and Markets*, Chichester (West Sussex) et al. 2002.
5. Olsen R.A., 2000, The instinctive mind on Wall Street: Evolution and investment decision-making, *The Journal of Investing*, 9(4), 47-54.
6. Ricciardi Victor, 2004, *A Risk Perception Primer: A Narrative Research Review of the Risk Perception Literature in Behavioral Accounting and Behavioral Finance*, Golden Gate University
7. Ricciardi Victor, Simon Helen K., 2000, What is Behavioral Finance?, *Business, Education and Technology Journal*, Fall.
8. Shefrin H., 2006, The Role of Behavioral Finance in Risk Management, *Risk Management: A Modern Perspective*, Amsterdam et al. 2006, pp. 653-676.
9. Vedpuriswar A.V., 2004, Risk Management – Nothing Risked, Nothing Gained, *Business Line*, Internet Edition, Financial Daily from THE HINDU group of publications.

The Role of Market Participants' behavioral factors in rationale risk management process.

Giorgi Danelia
 Doctoral Student of TSU

Considering the fact, that in a modern world there are several severe financial crises ongoing, it is becoming critical to analyze the reasons and roots of the crisis. Many different economists or financiers have different opinion regarding the reasons and mitigation ways of the crisis. There are number of different mathematical, macro-economical and statistical models developed in order to find the profound causes of the problem, but still it is difficult to achieve the consensus in understanding the reasons and identifying the right post crisis response.

It is obvious, that while analyzing and modifying the numbers in the economic models trying to find the reason of the crisis is not enough. Respectively, we can assume that there is a need to add some additional factor to analysis: human behavior. How do market actors perceive news on the market? What is the risk-return desired structure? How forecasts are made and what might be the response to other participants' actions? These are the questions that might be crucial for effective risk management process, which on the other hand can reduce the possibility of severe crisis.

საქართველოს აკადემიის THE NEW ECONOMIST



კიდევ ერთხელ ენთროპიის და სინერგეტიკის შესახებ

ემღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ნათელ ხსოვნას



ირმა მახარაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

მარკეტინგის და მენეჯმენტის სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დღეს ბიზნეს-პროცესებში ენთროპიასა და სინერგეტიკას. მკვლევარები ფოკუსირებულნი არიან თეორიულ-მეთოდოლოგიურ პროგნოსტიკურ ფუნქციის პოტენციალზე. თანამედროვე ეტაპზე ეფექტიანი მართვის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმი ფართოდაა მიღებული, როგორც რეგიონული ეკონომიკური ზრდის ძლიერი სტიმულატორი. რეგიონული ეკონომიკური დინამიკის შესაბამისად, შესაძლოა ეკონომიკური კონსტრუქტურის განვითარების ტენდენციების პროგნოზირება.

უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი ეკონომიკური ზრდის ანალიზს ეფექტიან მართვასთან ტანდემში, ძალუბთ მაკროეკონომიკური წონასწორობის ობიექტური მახასიათებლების ამოხსნა. ეკონომიკური წესები (ბაზარზე ტრანსფორმაციული ეკონომიკის ფორმირებაც კი) არაა ეფექტიანი მართვის კონცეფციის რეალიზაციისათვის.

ჩვენს კვლევაში მივიწრაფოდით, გადაგვეჭრა ლოგიკურად დაკავშირებული ამოცანები. ამოცანათა გადაჭრის გზები კი შესაბამისობაში იმყოფება რეგიონის ეკონომიკურ სისტემასთან.

ენტროპია ბერძნული სიტყვაა (ბერძნ. „ენ“ ში, შიგნით და „ტროპე“ გარდაქმნა, გარდაქცევა). ცნობილი ლექსიკოგრაფის, მიხეილ ჭაბაშვილის განმარტებით, იგი ფიზიკის ტერმინია და ნიშნავს სიდიდეს, რომელიც დამახასიათებელია სხეულის ან სხეულთა სისტემის სითბური მდგომარეობისათვის; წარმოადგენს ალბათობის ზომას სისტემის მოცემული მდგომარეობის განსახორციელებლად; დახშულ სისტემებში მიმდინარე პროცესების დროს ენთროპია ან იზრდება (შეუქცევადი პროცესები), ან მუდმივი რჩება (შექცევადი პროცესები).

სამეცნიერო ლიტერატურაში ენთროპია, როგორც კლასიკური ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რ. კლაუზიუსმა შემოიტანა. მაკროსკოპიული თვალსაზრისით, ენთროპია გამოხატავს ენერჯის გარდაქმნის უნარს. რაც მეტია სისტემის ენთროპია, მით ნაკლებუნარიანია გარდაქმნისადმი მასში მყოფი ენერჯია. ენთროპიის ცნების დახმარებით ყალიბდება ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონი, ანუ თერმოდინამიკის მეორე საწყისი, რომელიც განსაზღვრავს ენერგეტიკული გარდაქმნების მიმართულებას. დახშულ სისტემაში ენთროპიას არ შეუძლია შემცირება. ენთროპიის მაქსიმალური მიღწევა ახასიათებს წონასწორობის მდგომარეობას, რომელშიც უკვე შეუძლებელია

შემდგომი ენერგეტიკული გარდაქმნები – მთელი ენერჯია გარდაიქმნა სითბოდ და დადგა სითბური წონასწორობის მდგომარეობა. უკვე თერმოდინამიკის მეორე საწყისის შემქმნელებმა, რ. კლაუზიუსმა და ვ. ტომპსონმა ტერმინი მთლიანად სამყაროსადმი გამოიყენეს. ასე მივიდნენ ისინი სამყაროს ე. წ. „სითბური სიკვდილის“ მცდარ დასკვნამდე.

ენტროპიის ცნების შინაარსი ფიზიკის შემდგომმა განვითარებამ კიდევ უფრო გააღრმავა, გახსნა მისი სტატისტიკური ბუნება. სტატისტიკური ფიზიკის თვალსაზრისით, ენთროპია გამოხატავს სისტემის ალბათურ მდგომარეობას, ენთროპიის ზრდა კი ნიშნავს ნაკლებად ალბათური მდგომარეობიდან უფრო მეტად ალბათურ მდგომარეობაზე გადასვლას. ენთროპიის ზრდა არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს და გამოხატავს პროცესების მხოლოდ უფრო მეტად ალბათურ მიმდინარეობას. ისეთი წარმონაქმნებისათვის, რომლებიც თავისთავში შეიცავენ ნაწილაკების უსასრულოდ დიდ რიცხვს (სამყარო მთლიანად), მნიშვნელობას კარგავს უფრო მეტად ალბათური მდგომარეობის ცნება (ყველა მდგომარეობა უსასრულოდ დიდ წარმონაქმნში თანაბარალბათური ხდება). მიზიდულობის

სხალი კაონიხისაი THE NEW ECONOMIST

როლის გათვალისწინებას კოსმოლოგია მიჰყავს დასკვნამდე, რომ სამყაროს ენთროპია იზრდება და არ ისწრაფის არავითარი მაქსიმუმისაკენ (სითბური წონასწორობის მდგომარეობისაკენ). ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, თანამედროვე მეცნიერება აჩვენებს სითბური წონასწორობის დადგომისა და სამყაროს სითბური სიკვდილის გარდაუვალობის შესახებ დასკვნების უსაფუძვლოებას.

ენტროპიის საკითხის გასარკვევად საინტერესოა ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერის, ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის, ფსიქოანალიტიკოს კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) კვლევები. თავისი უმდიდრესი ფსიქოთერაპიული პრაქტიკიდან გამომდინარე (მისი შრომები ფრიდის ფსიქოანალიზიდან იღებს სათავეს), იუნგმა საკუთარი კვლევები კულტურისა და რელიგიის ისტორიაში სწორედ ენთროპიის დააფუძნა. ასე რომ, ეკვივალენტობისა და ენთროპიის პრინციპი იუნგის შემოღებულია. ეკვივალენტობის პრინციპით, თუ რომელიმე ფასეულობა სუსტდება ან იკარგება, ფსიქიკური ენერჯის რაოდენობა არ იკარგება, იგი აღდგება სხვა ფასეულობებთან ერთად. ენთროპიის პრინციპის მიხედვით, ფსიქიკაში ენერჯის განაწილება მიისწრაფის ბალანსისაკენ, თანასწორობისაკენ.

იუნგის თანახმად, არსებობს აზროვნების ორი ტიპი – ლოგიკური და ინტუიციური. ლოგიკური აზროვნებისათვის გარე სამყაროსთან მიმართებაა დამახასიათებელი. იგი განსჯითა და გააზრებით მიმდინარეობს, რაც დიდ ძალისხმევასა და ნებისყოფას მოითხოვს. მასთანაა უპირველესად, დაკავშირებული მეცნიერება, ტექნიკა, ინდუსტრია, რაც რეალობის კონტროლის იარაღია. მხატვრული შემოქმედებისთვის, მითოლოგიისა და რელიგიისათვის კი აუცილებელია ადამიანისათვის ქვეცნობიერი, ბუნებრივი წარმოსახვის უნარი. ასეთი აზროვნება გარე სამყაროსთან შესაგუებლად უკვე არახელსაყრელია, რადგან იგი სცილდება რეალობას და გადადის ფანტაზიისა და ოცნების სამყაროში.

იუნგის შემოღებული ტერმინებია „ინტროვერტი“ და „ექსტროვერტი“, რომლებიც დღეს გამოიყენება ენათმეცნიერებაშიც „ინტროვერტულ“ და „ექსტროვერტულ“ ბგერათა ჯგუფების დახასიათებისას.

ექსტროვერტებს ახასიათებს გარე სამყაროსთან გახსნილობა, ხოლო ინტროვერტებს პირიქით – საკუთარ თავზე კონცენტრირება. ექსტროვერტები და ინტროვერტები ადამიანთა ორი ტიპია, ურთიერთისაგან განსხვავებული. მათი აღმოჩენა მწელი არაა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იუნგისეული ეს ტერმინები ფსიქოლოგიური

ტიპების აღწერისათვის დოგმატი არ გახლავთ. მაგალითად, როგორც ცნობილია, მაჰათმა განდი ერთდროულად ასკეტიც (ინტროვერტი) იყო, პოლიტიკოსიც (ექსტროვერტი).

დღეს ცნება ენთროპია ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაშიც იხმარება. მას იყენებენ ბიოლოგები, ინფორმატიკა-ავტომატიზაციის სპეციალისტები და, რა თქმა უნდა, ეკონომისტებიც.

ეკონომისტებს, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სპეციალისტებს, ენთროპია მისი შექცევადი და არაშექცევადი ბუნების გამო აინტერესებთ, რადგან ასეთი ურთიერთსაპირისპირო პროცესები (მოსალოდნელი თუ მოულოდნელი, დაგეგმილი თუ დაუგეგმავი) ბიზნესპროცესებში, მენეჯმენტსა და მარკეტინგში არაერთი და არაიშვიათია.

სინერგეტიკა და სინერჯიზმი თანამედროვე სამეცნიერო დარგებში. სინერგეტიკამ, როგორც ნეოლოგიურმა ტერმინმა, თანამედროვე მეცნიერებებშიც ჰპოვა ასახვა. იგი გვხვდება ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერების დარგებში, მათ შორის ბიოლოგიასა და მედიცინაში, ფილოლოგიაში (ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება...), ეკონომიკაში, მენეჯმენტსა და მარკეტინგში და სხვ.

სინერჯიზმი ერთი იდეით გაერთიანებული ჯგუფების, მათი კომპლექსური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით მიღებული მაქსიმალურად დიდი ჯამური ეფექტის მეტობაა იმავე ჯგუფების ცალ-ცალკე დამოუკიდებელი მოქმედებებით მიღებულ ეფექტებზე []. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ახალი საურთიერთო ტერმინოლოგიის შემოსვლასთან დაკავშირებით სინერჯიზმის მოვლენა არა მარტო მენეჯმენტსა და მარკეტინგში, არამედ ენის სიწმინდის დაცვაშიც კი სარგებლის მომტანად არის მიჩნეული [].

ამრიგად, სინერჯიზმი და სინერგეტიკა, როგორც ტერმინი, XX საუკუნის ბოლოს შეიქმნა (მისი სამეცნიერო ლიტერატურაში ხმარება ეკუთვნის ბელგიელ მეცნიერს ი. პრიგოჟინს). ენთროპიის საკითხები ზედმიწევნით შეისწავლა ფრანგმა მეცნიერმა პ. შამბადალმა, რომლის წიგნი რუსულად გამოიცა 1963 წელს.

პ. შამბადალი ენთროპიის აუცილებელ გამოყოფას თერმოდინამიკის სფეროში პირველად შეეხო. იგი, ამ მონოგრაფიის თითქმის ყოველ თავში, სწავლობს ენთროპიის როლს თბური მანქანების სისტემაში, განიხილავს როგორც ენთროპიას, ისე ენერჯიას, ენთროპიისა და ინფორმაციის თეორიას. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის ნაშრომები, ვფიქრობთ, ენთროპიის



საკითხების კვლევა ჩვენს ქვეყანაში სწორედ მის სახელს უკავშირდება. (იხ.3,4,5,6)

როგორც უკვე ავლინეთ, ენთროპიას და ენთროპიულ მიდგომებს ბიზნეს პროცესებში, მენეჯმენტსა და მარკეტინგში, სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. სანამ დასმულ საკითხზე გადავიდოდეთ, მოკლედ განვიხილოთ რეგიონული ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების, ასევე მისი რეგულირების საკვანძო საკითხები. რაც შეეხება რეგიონული ეკონომიკური მეცნიერების ეტაპობრივ განვითარებას, რომელიც გამოირჩევა მსოფლმხედველობითი სახეცვლილებებით, გარდაქმნებით, XXI საუკუნეში ახალ მასშტაბებს იძენს, მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური პოტენციალის პროგნოსტიკულ ფუნქციაზე. რეგიონული მეცნიერების აქტიურად ათვისებად კონცეფციებში უნდა გამოვყოთ მთავარი - ეფექტიანად მართვის კონცეფცია, რომელიც მაკროეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

ეფექტური მართვის კონცეფციამ თავისი ნიშა და ადგილი მოიპოვა ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის მეთოდოლოგიურ მიდგომებში. თანამედროვე ეტაპზე, ეფექტური მენეჯმენტის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმი ფართოდ არის აღიარებული, როგორც რეგიონული ეკონომიკის ეკონომიკური ზრდის მძლავრი სტიმულატორის ფუნქციის მქონე, რომლის მიხედვით, რეგიონული ეკონომიკის პარამეტრების დინამიკიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკის კონიუნქტურული ტენდენციების პროგნოზირება. აღსანიშნავია, რომ ეფექტური მართვის სტაბილური ეკონომიკური ზრდის ანალიზს შესწევს ძალა, ამოვიცნოთ მაკროეკონომიკური წონასწორობის ობიექტური მახასიათებლები. ეკონომიკის რეგულირება (თუნდაც მისი ფორმირების საბაზრო-ტრანსფორმაციულ პერიოდში) შეუძლებელია ეფექტური მართვის თეორიული და პრაქტიკული კონცეფციის განხორციელების გარეშე.

რეგიონული ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეფექტური მართვის კონცეფციის სათანადო ადაპტირებას სამეურნეო სუბიექტის დონეზე. ასეთი სახის ადაპტირების მნიშვნელობა არაერთი მიზეზით არის განპირობებული.

თანამედროვე რეგიონული ეკონომიკის სისტემების თავისებურება გახლავთ ის, რომ თავისი ხასიათის მიხედვით მის ფარგლებს არ უნდა

გასცდეს ალტერნატიული („ადმინისტრაციული“ და „საბაზრო“) მეურნეობრიობის პრინციპები, ფორმები და მეთოდები. ამ წინააღმდეგობრივ ხასიათს უშუალოდ გამოხატავს კომპლექსური ფაქტორები, რომლებიც რეალურად მოქმედებას ახდენენ წარმოების ამა თუ იმ სუბიექტზე, რის გამოც, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ერთი და იგივე გამიზნული ქმედება სხვადასხვაგვარი, თუმცა სრულიად შეუთავსებელი წესებითა და საშუალებებით.

მაკროეკონომიკური რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი განაგრძობს მარეგულირებელი ფუნქციების შესრულებას. მეტიც: სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლი მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს, თუნდაც იმიტომ, რომ პოსტადმინისტრაციულ ეკონომიკაში გარდაქმნების საწყის ეტაპზე საბაზრო ინსტიტუტებსა და ფორმებს უპირატესი ინსტიტუციონალური წარმომავლობა აქვს.

თავის მხრივ, რეგიონების ეკონომიკური პოლიტიკა რთული ფენომენია, რომელიც ასახავს საწარმოო, სოციოლოგიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორების ერთმანეთზე გადაჯაჭვას, (ზოგჯერ სტიქიურად მოქმედი გაურკვევლობის ვექტორით). რეგიონების პრიორიტეტები ბევრად არის განპირობებული კონიუნქტურული მოსაზრებებით, ლობირების ზეგავლენით, ზოგჯერ კი „მაღალი ემელონების“ ხელმძღვანელთა წინასაარჩევნო ტაქტიკით.

უნდა ითქვას, რომ მოჩვენებითი განმსაზღვრელი მომენტების მიღმა თეორიულ ანალიზს გადაამწყვეტი როლი შეუძლია ითამაშოს – გამოავლინოს ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი, რომელთაც სამამულო ეკონომიკური მეცნიერება ტრადიციულად აკუთვნებს რეგიონის წარმოების სპეციალიზაციის დონეს, მისი ტექნოლოგიის მოდერნიზების ზომებს, მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს, საერთოდ, ეკონომიკური სისტემის გახსნილობის ხარისხს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დასახელებული ფაქტორების წრე მუდმივად გაფართოვდება, რაც მათში საბაზრო წარმომავლობის კომპონენტების ჩართვით ხდება. უპირველესად, ეს - ეფექტური მოთხოვნის რეალიზაციის მექანიზმის ჩართულობით, რომელსაც შედეგად მოსდევს რეგიონის ეკონომიკაზე ცალკეული სამეურნეო სუბიექტების გავლენის გაძლიერება.

აქვე ისიც შეიძლება დავსძინოთ, რომ ქართველი ეკონომისტები თავიანთ ბოლოდროინდელ თეორიულ გამოკვლევებში, სამამულო ეკონომიკის საწარმოო რეალიების გათვალისწინებით, არც თუ იშვიათად აღმოაჩენენ მეთოდოლოგიურად ნაყოფიერ და დადებით ტენდენციებს მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმის თეორიის პრაქტიკის ათვისებისას. მაგრამ, ასეთი გამოკვლევების მიუხედავად, იქ ვერ ვიპოვით სპეციალურ მიდგომებს, რომლებიც ეხება საწარმოთა დონეზე ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის მიზნით ეფექტური მენეჯმენტის გამოყენების კონცეფციის აუცილებლობას, შესაძლებლობასა და თავისებურებებს. ეს კი, ჩვენი აზრით, ამცირებს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეფექტური ინსტრუმენტის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.

საყურადღებოა, რომ ამჟამად საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების წყაროსმიერი ბაზა პრაქტიკულად მოიცავს ყველა საინფორმაციო-ინტელექტუალურ რესურსს, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური აზრის ნებისმიერი აქტუალური მიმართულების დასამუშავებლად. ჩვენ ამ პრობლემის ასპექტში აუცილებლად უნდა შევხვთ კლასიკურ ნაშრომებსაც, რომელთაც დავეყრდნობით საკვლევი პრობლემის ადაპტაციური შეფასებისას. კერძოდ, აქ ვგულისხმობთ ისეთი აღიარებული უცხოელი მეცნიერების ნაშრომებს, როგორებიცაა: პ. სამუელსონი, ს. ფიშერი, ე. ხანსენი, დ. ხიკსი, რ. ხაროდი, ასევე მათი მეცნიერი-ოპონენტების მ. ფრიდმენი, ფ. ხაიკი, ო. უილიამსონი; ამ კონტექსტში უნდა დავასახელოთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი სხვა მკვლევართა ნაშრომები, რომლებიც ეხება ეკონომიკური თეორიის საერთო მეთოდოლოგიური პრობლემების, არაერთ კარდინალურ საკითხს (მაგალითად, ასეთია მ. ვებერის, ვ. ლეონტიევის და სხვათა წიგნები.).

ჩვენს მიერ დასახული და შესასწავლი პრობლემა შეიძლება მოკლედ ასე წარმოვადგინოთ: პრობლემის ფუნდამენტური ასპექტები თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ღრმად და ყოველმხრივ არის გაცნობიერებული და დახასიათებული, მაგრამ ერთდროულად მათი აქტუალური ლოგიკური კომბინაცია საწარმოების ეფექტური მართვის გავლენის თვალსაზრისით, რეგიონის ეკონომიკური კომპლექსის განვითარებაზე ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე და ამიტომ, მას ჩვენი კვლევის ობიექტად მივიჩნევთ.

საგულისხმოა, რომ არსებობს სამეცნიერო

პუბლიკაციების მნიშვნელოვანი ოდენობა, რომლებიც სპეციალურად რეგიონის ეკონომიკური სისტემის მართვის დახასიათებასა და მეთოდებს ეძღვნება. მათგან ზოგი ეხება შესასწავლი პრობლემის არსს, რომლის ობიექტია მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი, სინამდვილეში პრობლემა მათი აქტუალური გადაკვეთის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ჩვენი აზრით, რეგიონული ეკონომიკის ფარგლებში ეფექტური მართვის კვლევის ეს აქტუალობა – დასახული ამოცანა, არ შეიძლება განვიხილოთ განცალკევებით და საკითხთა წყების „მექანიკური შეერთებით“.

ჩვენი აზრით აუცილებელია ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრა, ესადაგება თუ არა რეგიონის ეკონომიკური სისტემის, მისი სტაბილიზაციის აუცილებლობას. ასეთ ამოცანათა რიცხვს განეკუთვნება:

ა) რეგიონში ეკონომიკური ვითარების, როგორც ავტონომიური ობიექტის, თეორიულ-ეკონომიკური ანალიზი;

ბ) მეურნეობრივ სუბიექტის მიერ მართვაში იერარქიული პრიორიტეტების გამოყოფა, მათი გაანალიზება, მეთოდოლოგიური საფუძვლების ფორმირებასთან ერთად, რაც გულისხმობს საბაზრო პოლიტიკაში იერარქიის აგების ლოგიკის სპეციალურ შესწავლას, ასევე რეგიონის განვითარების „კონიუნქტურული“ პრიორიტეტების განხილვას.

გ) თანამედროვე რეგიონული ეკონომიკის კოორდინატებში ეფექტური მართვის კონცეფციის ზოგად დახასიათება;

დ) ეფექტური მართვის რეალობის, როგორც რეგიონული ეკონომიკის განვითარების სისტემური ელემენტის შეფასება;

ე) საწარმოების დონეზე მმართველობითი გადაწყვეტილებების საფუძვლების ფორმირების, როგორც რეალური სექტორის განვითარებაზე მოქმედი პრიორიტეტული ფაქტორების შესწავლა.

რეგიონის მართვის თანამედროვე კონცეფცია, რომელიც არსებულ თეორიებს შორის საბაზრო სისტემის მაკროეკონომიკური მოწყობის შემადგენელი ნაწილია, ფლობს მძლავრ გამოყენებით პოტენციალს, მის ფორმირებასა და რეალიზაციას. როგორც ყველა საბაზრო ეკონომიკის განვითარებული ქვეყნის მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, მას შეუძლია, ხელი შეუწყოს ნაციონალური მეურნეობის არსებითად სტიმულირებას.

ქართულ ეკონომიკაზე, როგორც ცნობილია, ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სტიმულები. მასში



შესაძლებელია დომინანტური პოზიცია დაიკავოს მსოფლიო და სამამულო ეკონომიკური ძიებებით მეცნიერულად დასაბუთებულმა ფუნდამენტურმა და რეალურმა სოციალურად მნიშვნელოვანმა ფასეულობებმა. მათ რიცხვს მიეკუთვნება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია, რომლის ფორმირებასა და რეალიზაციას ასევე შესწევს უნარი, რეგიონში გახდეს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

რეგიონულ სივრცეში სტრატეგიული მოქმედებისათვის აუცილებელია წარმოდგენილი გვექონდეს აქტუალური კანონზომიერებების წრე და იმ ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც დამატებით ზემოქმედებს მოვლენათა მოსალოდნელი დასრულების შედეგზე. ამიტომ, ამ მიზნით, საჭიროა ვიმსჯელოთ ეკონომიკაში ენთროპიის კატეგორიის შემოტანასა და მის დამკვიდრებაზე. ხელმძღვანელის მართებული ორიენტაციისათვის კი, საჭიროდ მიგვაჩნია არა მხოლოდ განსახილველი საკითხის და მთავარი მიზნის განსაზღვრა, არამედ, აგრეთვე აღნიშნული შესაძლებლობებისა და სინამდვილის სიმრავლის დადგენა, რათა დავსახოთ ზოგადი ვექტორი, სამოქმედო წესებისა და პროცედურების უმთავრესი იდეა და მისკენ მივმართოთ ჩვენეული პროცედურები. ასევე მიზნად უნდა დავისახოთ რეგიონული განვითარების შესაძლებლობათა არეალის ფოკუსირებაც. ზემოთაღნიშნულთან ერთად, სინამდვილეში, შესაძლოა მივიღოთ ნამდვილი და რეალური შედეგი – მდგრადი განვითარება ან რეგიონის ეკონომიკური სისტემის სტაბილიზაცია, ერთდროულად აუცილებელია და მეტად საჭირო, კონკრეტულ სიტუაციაში შევქმნათ პირველი რანგის მმართველების პრაქტიკული მოქმედების ალგორითმი, სათანადო მოდელი და სამოქმედო ცხრილი (მატრიცა).

ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების გამომუშავებისა და მიღების მნიშვნელოვან ფაქტორებს განეკუთვნება გარე სფეროს განვითარების ფაქტორების გამოვლენაც – აქტუალური კანონმდებლობების დაზუსტება, გაურკვევლობის დახასიათება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. ცხადია, ეს სულაც არაა იოლი საქმე. ეს უფრო ძნელი მისაღწევია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგანაც ჩვენ წინაშეა ცნობილი აქტუალური და პერსპექტიული კონტექსტი – ფაქტორების ხაზობრივი მატრიცა, რომლებიც მთლიანობაში განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკური გარემოს მდგომარეობას. ზოგ სიტუაციაში, როდესაც გარემო ინერტულია, მაგალითად, თუნდაც ლოკალური სამეცნიერო

ნაშრომების დამუშავებისას, ამ ფაქტორთა აღრიცხვა-გათვალისწინება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას არააქტუალური ხდება, მაგრამ ერთდროულად, ხშირ შემთხვევაში, რეგიონული გარემო დინამიკურია, პირობები – მაცდუნებელი, აქტუალური კონტექსტი (პირობები) კი არ არის გამოვლენილი, ამა თუ იმ შემადგენლების სიახლის ხარისხი და დონე მხოლოდ პრაქტიკით ირკვევა, პროფესიული გამოცდილებისა და ინტუიციიდან გამომდინარე. ასეთი ვითარება კი ნიშნავს რეგიონულ განვითარებაში რეალურობის სტატუსის შეცნობის პრობლემას, რომელიც, ცვალებადია საგნების მდგომარეობის ჯერ კიდევ არაფორმალიზებით. ინფორმაციის სოციალურ წყაროებზე აპელირებისას, რომლებიც აღწერენ რელევანტური სიტუაციის ამა თუ იმ შემადგენლებს, აუცილებელია პროფესიონალი ექსპერტების რჩევა-გამოცდილების გათვალისწინება და გაზიარება. მხოლოდ მათზე აპელირებით, გვესახება ფუნდამენტური ინსტრუმენტების დამუშავება და ვითარების გაანალიზება.

მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად მონაცემებისა და ინფორმაციის მოპოვება მათივე ანალიზითურთ განეკუთვნება საქმიანობის იმ სფეროს, რომელზეც მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების რეალიზაციის წარმატება. ჩვენი ქვეყნის უახლეს ეკონომიკურ ისტორიაში არცთუ იშვიათია ე. წ. „ფიასკოს“ შემთხვევები, რაც გამოწვეული იყო ცალკეული ფაქტორების მოქმედების შეუფასებლობით ან არასერიოზული, ნაკლებკვალიფიკაციური მიდგომებით. ასეთ ფაქტორებს განეკუთვნება მახინჯი პრივატიზაცია, ერთმანეთის საწინააღმდეგო კანონები და სხვ. რეგიონების პრაქტიკული რეალიების სამეცნიერო-საინფორმაციო ლიტერატურის წყაროების შესწავლის საფუძველზე, ვფიქრობთ, ფაქტორთა კომპლექსი, რომლებიც განაპირობებენ რეგიონში სოციალურ-პოლიტიკური ვითარების განვითარების გზების სისწორეს, შეიძლება, რეგიონის მდგომარეობის დიაგნოსტიკის ანალოგიურად, კლასიფიცირდეს მათი გამოვლენის სფეროების მიხედვით:

1) პოლიტიკური ფაქტორები – პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა, ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკური საფუძვლების სტაბილურობის ხარისხი;

2) ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები – ბუნებრივი რესურსების ათვისების შესაძლებლობა, ბუნებრივი რესურსების საკმარისობა, ნედლეულის

შერსპექტიულ ადგილმდებარეობათა დაზვერვა-აღმოჩენა;

3) ინფრასტრუქტურული სფერო – სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა, სერვისის ნებისმიერი სახეობით უზრუნველყოფის დონე (საბანკო, სადაზღვევო, კომუნალური), ელექტრონული დოკუმენტბრუნვის განვითარება და უზრუნველყოფა, კავშირის (კომუნიკაციის) მოდიფიკაცია, ზოგადად, კომუნიკაციების არსებობა და ტექნოლოგიურად დახვეწა-განვითარება;

4) დემოგრაფიული ვითარება – მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოება, მოსახლეობის საშუალო ასაკი, მიგრაციული ნაკადი, მოსახლეობის შემადგენლობის დადგენა შრომისუნარიანობის მიხედვით;

5) საკადრო უზრუნველყოფა – სპეციალისტების მომზადება, პროფესიული და პროფესიონალური შემადგენლობა, პროფესიების მიხედვით კვალიფიკაციური სტრუქტურის შექმნა,


შრომისადმი მოტივირებული მიდგომა;

6) მეცნიერულ-ტექნიკური დონე – სამეცნიერო-კვლევითი ბაზის მდგომარეობა, ტექნიკური პოტენციალის განვითარების მდგომარეობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებადობა, ორგანიზაციული მენეჯმენტი;

7) რესურსული უზრუნველყოფა – ფინანსური რესურსები, ტერიტორიის მატერიალური პირობები;

8) სოციალური გარემო – სოციალური ინსტიტუტების განვითარებულობა-, სოციალური სფეროს ფუნქციონირების სტაბილურობა, მოსახლეობის ყველა ფენისათვის სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა.

რეგიონის დონეზე ზემოთაღნიშნული ფაქტორების ურთიერთკავშირი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით (იხ. ნახაზი 1).




ნახაზი 1. რეგიონის მდგომარეობის ფაქტორების ურთიერთკავშირის სქემა

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფაქტორების ჯგუფის არსებობა-არარსებობა დაკავშირებულია რეგიონის ხელმძღვანელთა ინტერესებთან (იგულისხმება ინტერეს-ჯგუფები სხვადასხვა კონფიგურაციებში). სრულიად ნათელია, რომ თითოეულს შეიძლება განსხვავებული აზრი და მნიშვნელობა ჰქონდეს, რეგიონის ბიზნეს-ეთიკა, კორპორაციული ინტერესი. რთული და იერარქიულად აგებული განათლებრივი სისტემები არ ისახავს ერთიან მიზნებს. ამასთან დაკავშირებით, რეგიონში წარმოიშვება კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც იწვევს უსაფრთხოების დარღვევის საშიშროებას.

კონფლიქტების თეორია (სასწავლო-სამეცნიერო დარგი - კონფლიქტოლოგია), ისე როგორც რეგიონის უსაფრთხოების თეორია, განსაკუთრებული თემა თავისი სიმწვავეით, მაგრამ

გაურკვევლობათა გამოსავლენად, აუცილებელია გავიხსენოთ რეგიონის უსაფრთხოების პირობითი რანჟირება (იხ.ნახაზი 2).

ბიზნესელიტისა და კორპორაციული სტრუქტურების (ანუ საწარმოების) ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ისინი შეიძლება განლაგდეს ფართო დიაპაზონში – „რეგიონული პატრიოტიზმიდან“ დაწყებული, განვითარების ტრანსნაციონალური სქემის უპირატესობამდე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი უპირატესობანი არ არის აშკარა და თვალსაჩინო, ის მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ. კორპორაციული სტრატეგიები – ძირითადად დახშულია (ჩაკეტილია), მაგრამ, როგორც წესი, ღია რეგიონული სტრატეგიები ძირითადად, კორპორაციულის ამა თუ ვერსიას ასახავს.



ნახაზი 2. რეგიონის უსაფრთხოების რანგები

დაისმის კითხვა: როგორ ავიცილოთ თავიდან სხვადასხვა სახის მუქარისას გაურკვევლობის ყველა ფაქტორი?

ამის თავიდან ასაცილებლად აქტიურად უნდა გამოვიყენოთ რეგიონის შესაძლებლობები, რათა თითოეული სამეურნეო სუბიექტის დონეზე შემუშავდეს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებები იმიტომ, რომ სამეურნეო სუბიექტების ინტერესები არ შთანთქოს საერთო რეგიონულმა მასშტაბურმა ინტერესებმა.

და კიდევ ერთი მთავარი კითხვა: როგორ შევქმნათ კოლექტიური სუბიექტურობა?

ამისათვის, ცხადია, აუცილებლად უნდა გამოიყოს დომინირებული სუბიექტი, მაგალითად, რეგიონის სოციალური ინტერესები, ანუ სუბიექტი, რომლის ინტერესიც სხვა ინტერესებზე მაღლა დგას. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია სხვადასხვა, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმები.

რეგიონული ფაქტორების გაურკვევლობის წონალობის გარკვევისას აგრეთვე საჭიროა პრიორიტეტულობის „მარწუხებიდან“ – სოციალური ფაქტორების ნამდვილობის ხასიათისაგან თავის დაღწევა. სწორედ ეს სოციალური ვარიანტულობა არის რეგიონული ენთროპიის დომინანტი.

რეგიონული განვითარების ერთიანობის შესაბამისად ეფექტური მმართველობის მისაღწევად, ცალკეული საწარმოო სისტემის მიერ სინერგეტიკული ეფექტის მიღებისათვის, აუცილებელია განისაზღვროს უმრავლესობის ობიექტური ინტერესების მეთოდოლოგია და გამოიყოს დომინანტები.

საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ მეურმნეობრიობის სუბიექტის დანიშნულებაც – მისი მოქმედებების რეალური მნიშვნელობა

რეგიონული ეკონომიკის სისტემის სხვა სუბიექტისათვის. ერთდროულად, ანგარიშგასაწევია აგრეთვე შექმნილი სიტუაციის გააზრება და მისი ექსტრაორდინალური ხასიათი.

თითოეული სამეურნეო სუბიექტის მოქმედების სივრცე და ფორმა, რომელიც დამოკიდებულია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიაზე, უნდა განისაზღვროს რეგიონის შესაბამის სეგმენტში მოქმედების საერთო კონცეფციით, მაგრამ ეს არ უნდა დავიყვანოთ ამ კონცეფციის მექანიკურ და ტექნოლოგიურ ასლამდე.

თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებები იმას გვიჩვენებს, რომ არაერთი ფაქტორისა და წყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი გადაჯგუფებულია. ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის განვითარების თავისებურებათა და პრობლემათა ზემოთ მოცემული ანალიზი ნათელყოფს, რომ მასში უწყსრიგობებს, გაურკვევლობასა და მდგომარეობის ალბათობებს დიდი ადგილი უკავია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, მათი კვლევისა და შეფასებისათვის ამ სფეროში საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა მიღებისათვის აუცილებელია ენთროპიის თეორიის გამოყენება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ენთროპიის თეორიამ, რომელსაც საფუძველი საუკუნე-ნახევრის წინ ჩაეყარა, ფართო მეთოდოლოგიური ხასიათი შეიძინა. სადღეისოდ იგი, ბუნების მოვლენათა კვლევასთან ერთად, გახდა საზოგადოების, ეკონომიკური მოვლენებისა და ბიზნეს პროცესების ფუნდამენტური კანონებისა და კანონზომიერებათა შესწავლისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტი, სამთავრობო, რეგიონულ და საწარმოს დონეებზე. ამ ფუნქციას ის ასრულებს

სხალე ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

იმდენად, რამდენადაც დადგინდა, რომ ენთროპიას, როგორც უწყვეტობის, გაურკვეველობის ზომას, ადგილი აქვს არა მარტო ბუნებაში, არამედ საზოგადოების ცხოვრებაში, მის ყველა სფეროში. ამიტომაც ენთროპიის ზომის ზრდის დადგენის, ტენდენციისა და ფაქტორების გამოვლენის, მის შემცირების საშუალებათა, ანუ ნეგენტროპიის წყაროების დადგენისა და გამოყენების გარეშე ადამიანთა, მათი ჯგუფების საქმიანობის, მთელი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების, წარმატების, ეფექტიანობის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ამდენად, ენთროპიის და ნეგენტროპიის მოვლენათა შემეცნების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აშკარა გახდა. ეს დაკავშირებულია ამ თეორიის ფართო შინაარსთან, იმ შესაძლებლობებთან, რომლებიც იქმნება უწყვეტობისა და გაურკვეველობის მოვლენების ბუნებისა და ხასიათის, წარმოშობისა და მოქმედების შედეგების შესწავლისა და მათი დამლევის საშუალებათა შემუშავების მხრივ. ასეთი მოვლენები და პროცესები რეგიონული ეკონომიკის სფეროში ყველა დონეზე მრავლად შეიმჩნევა სხვადასხვა ზომით და მასშტაბით. დღეისათვის უკვე ფართოდ ვრცელდება ამ თეორიის მეთოდების გამოყენება, რადგანაც მან დაადასტურა თავისი როლის უპირატესობა არსებულ ვიწრო შინაარსის რიგ მეთოდებთან შედარებით. ცხადი გახდა, რომ იგი უზრუნველყოფს მართვის ხარისხის ამაღლებას ყველა დონეზე და სფეროში, ასევე მენეჯმენტის გაუმჯობესებას, ორგანიზებულობის ხარისხის ამაღლებას.

ეს შედეგები განპირობებულია ენთროპიის თეორიის დებულებებში წესრიგის, ორგანიზებულობის, გაურკვეველობათა

შემცირების, ალბათური მდგომარეობების ახსნისა და მიზნების გარკვევის შესაძლებლობებით. ეს თეორია იძლევა პასუხს დახურულ (ჩაკეტილ) და ღია სისტემებში მიმდინარე პროცესების კანონებზე, შექცევადობისა და შეუქცევადობის პირობებზე, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფუნდამენტური საკითხებია საერთოდ, საზოგადოების ცხოვრებაში და ეკონომიკაში, კერძოდ, მიმდინარე პროცესების ახსნა-გარკვევისათვის, საზოგადოების სასარგებლოდ მათზე ზემოქმედების, ეკონომიკური სუბიექტების ქცევის მიზანშეწონილი მიმართულებების დასადგენად.

საგულისხმოა ის, რომ ენთროპიის თეორიამ მიიყვანა მეცნიერება და პრაქტიკა მისი საწინააღმდეგო მოვლენის, ნეგენტროპიის (ანტიენტროპიის-ენტროპიის საპირისპირო მოვლენის) არსებობის დადგენამდე. მან განაპირობა ამ მოვლენების მნიშვნელობა საზოგადოებისთვის სასარგებლო ზომების მის საფუძველზე შემუშავებისათვის, შესაძლებლობათა ძიებისათვის ახალი მიდგომების გამოყენებით, სათანადო პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებისათვის.

ენტროპიისა და ნეგენტროპიის ფაქტორების მოქმედების შედეგები სხვა მოვლენებზე, მათი დასუსტებით ან გაძლიერებით, გადაცემით, გაშუალებულიად, მკვეთრად ეხება ეკონომიკურ სისტემებს, მათ შორის რეგიონულ ეკონომიკას, მის შემადგენელ ნაწილებს, კონკრეტული ეკონომიკური (საწარმოო) ერთეულების ჩათვლით.

ენტროპია და ნეგენტროპია სხვადასხვა ზომით ვლინდება, მათი ბალანსი საბოლოოდ განაპირობებს განვითარების პროცესის ხასიათს, მიმართულებას, ტემპს და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერულავა რ., ქართულ-ინგლისურ-რუსული პროფესიული განმარტებითი ლექსიკონი, ი. მესხიას და ალ. ლლონტის რედაქციით, თბ., 1999, გვ. 303
2. ბერულავა რ., გვჭირდება ენის დაცვის სინერგიზმი. გაზ. „სახალხო განათლება“, 6.XII, 1990; მისივე: საჭიროა ენის დაცვის სინერგიზმი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7. VI, 1992
3. Прангишвили И., В., Максимов В. И., Разрешение проблемных ситуации в период современной трансформации // Общество и экономика. 2001 «11-12.
4. Прангишвили И., Энтропийные и другие системные закономерности: Вопросы Управления сложными системами. М., Наука, 2003.
5. Прангишвили И., Иванус А. К., Системная закономерность «золотого сочения»: Системная устойчивость и гармония // Проблемы управления. 2004, «2.»
6. Прангишвили И, В.Путин и распутье // АиФ 2004, «36.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Entropy and Synergetics of Decision-making on Regional Level

Irma Makharashvili

Doctoral student at Caucasus international University

Marketing and management specialists pay particular attention to entropy and synergetics approaches in business processes. The researchers focus on the theoretical - methodological potential prognostic function. At the present stage, the mechanism of formation and implementation of effective management is widely acknowledged as a powerful stimulator of the regional economic growth. According to the regional economic dynamics, it is possible to predict the trends of the economic conjuncture. It should be noted that the analysis of sustainable economic growth with effective management has the power to unravel the objective characteristics of the macroeconomic equilibrium. The economic regulations (even the formation of a transformative period in the market) are not effective to implement the concept of management without its mastering.

In our study, we aimed logically interrelated tasks. The way of the solution of the problems is in accordance to the economic system of the region.

The peculiarities of regional economic development and the problems of the above analysis shows the disorder, uncertainty and probabilities of a place.

პიროვნული განვითარების მნიშვნელობა კარიერული ზრდის დაგეგმვის პროცესში



ქეთევან ლამბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი
ელ.ფოსტა : Ghambashidze.K@gmail.com
ტელეფონი: 593 93 94 30

ქრისტინე ოდიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი
ელ.ფოსტა : Kristi-Ani90@mail.ru
ტელეფონი: 598 44 23 45

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატიაში განხილულია ის პრობლემები და გამოწვევები, რომელიც კარიერის დაგეგმვის პროცესში ხვდება ადამიანს ან/და დამსაქმებელს. უფრო კონკრეტულად, განხილულია პერსონალური განვითარების მნიშვნელობა, როგორც პიროვნული, ისე კარიერული ზრდის პროცესში, ზოგიერთი მეთოდები და მიდგომები, რომელიც საჭიროა პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის, როგორც თანამშრომლის, ისე ორგანიზაციის მხრიდან. წარმოდგენილია ხედვები, თუ რა უნდა გააკეთოს მენეჯმენტმა ორგანიზაციაში თანამშრომელთა პიროვნული ზრდისათვის.

პიროვნული განვითარება განიმარტება, როგორც განვითარების ერთ-ერთი სფერო, მიმართული მდგრადი და ხანგრძლივი პიროვნული თვისებების შექმნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისკენ. ის მოიცავს გონებრივ, ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და სულიერ ზრდას. მის არსს, ზუსტად, გადმოსცემს მეცნიერი პიტერ დრუკერი: “თუ არ ვითარდები, დეგრადაციას განიცდი!” მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიაში [2] თვითრეალიზება ყველაზე მაღალ საფეხურზეა და აღწერილია, როგორც პიროვნების სურვილი განვითარდეს, გაიზარდოს შემოქმედებითად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანებს სურთ თავიანთი პოტენციალის რეალიზება და საზოგადოების ღირსეულ წევრად დამკვიდრება, აღნიშნული კი მოითხოვს მუდმივ პიროვნულ განვითარებას, განსაკუთრებით თანამედროვე ბიზნესში, სადაც მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ხშირად ამა თუ იმ ფირმის კონკურენტუნარიანობა ადამიანურ კაპიტალზეა დამოკიდებული, მათ კვალიფიკაციასა და უნარზე, სწრაფად უპასუხონ გამოწვევებს. ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე როცა

ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პიროვნებაში, რაც დაეხმარება მიაღწიოს წარმატებას, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიულ ასპარეზზე. პიროვნული განვითარების მნიშვნელობაზე კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან მოგვიანებით ვისაუბრებთ, მანამდე კი პიროვნულ დონეზე განვითარებაზე გავაკეთებთ აქცენტს. როგორც კვლევამ აჩვენა, საწყის ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნებისყოფას, გადაწყვეტილების და დასახული მიზნის განხორციელების უნარს, რადგან მის გარეშე წარმოდგენილია წარმატების მიღწევა. აღსანიშნავია 3 მთავარი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მაღალი ნებისყოფის უნარზე : მაღალი თვითშეფასება, თვითდაჯერებულობა და ნაკლები ფსიქოპათოლოგიური პრობლემები. თავდაჯერებულობა წარმატების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა, მას ადამიანის წარმატებაში დიდი ადგილი უკავია. თავის მხრივ ის თვითშეფასებიდან გამომდინარე ჩნდება, რის შემდეგაც საქმისადმი დამოკიდებულება



ყალიბდება, აღნიშნულზე კი დამოკიდებულია ადამიანის ეფექტიანი და ნაყოფიერი საქმიანობა. სამწუხაროდ, ყველა ადამიანი ვერ ახერხებს ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებას, რაც ხშირად ნეგატიურად აისახება მათ ცხოვრებაზე. დაბალი თვითშეფასება გავლენას ახდენს როგორც მის პიროვნულ, ისე კარიერულ წინსვლასა და განვითარებაზე. ცხადია, რომ მხოლოდ ნებისყოფის გამოვლენა არ არის საკმარისი პროფესიული განვითარების წარმატების უზრუნველსაყოფად. შესაძლოა დავასახელოთ წარმატებული პროფესიული განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები : დაბალი ინოვაციური პოტენციალი, ლიდერული თვისებების არარსებობა, ახალი პრობლემებისადმი ძველებური მიდგომები, პრობლემების სწრაფად გადაწყვეტის უნარის არარსებობა, პიროვნული ფასეულობების არარსებობა, კარიერის მიზნების გაურკვეველობა, რთული სიტუაციის ადეკვატური შეფასების უნარის არარსებობა; თვითმენეჯმენტის უნარის არარსებობა და სხვა.

არსებობს უამრავი მაგალითი წარმატებული ადამიანებისა, რომლებმაც სწორედ ადეკვატური თვითშეფასებით, დასახული მიზნებისადმი სტრუქტურირებული მიდგომით, თვითკრიტიკით, რისკის აღებისა და მისი დივერსიფიცირების გზით წარმატებას მიაღწიეს, გახდნენ ლიდერები თავიანთ სფეროში. ლიდერად ჩამოყალიბებას კი ხელს უწყობს ადამიანის თვითრეალიზების სურვილი, სურვილი თავის მხრივ, დამოკიდებულია მის მოწოდებაზე გაიზარდოს პიროვნულად, შეიძინოს ის უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ იყოს ძლიერი ლიდერი. უკანასკნელი კვლევების თანახმად ძლიერ ლიდერებს აქვთ რამდენიმე საერთო თვისება და ეს სწორედ ნებისყოფა და საკუთარი თავის დისციპლინაა, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს ადამიანს დროის ეფექტიან მართვაში. დროის ამგვარი მართვა პიროვნების პროფესიული წინსვლისთვის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიზეზი, თუ რატომ ხდება ზოგიერთი ადამიანი უფრო წარმატებული ვიდრე სხვა, არის ის, რომ ისინი ზუსტად საზღვრავენ პრიორიტეტებს და ეფექტიანად მართავენ საკუთარ რესურსებს, სწორად მართავენ დროს. პრიორიტეტების განსაზღვრა და ამის შემდგომ, დროის განაწილება საკმაოდ რთული პროცესია. არსებობს პარეტოს 80/20-ი პრინციპი,[3] რომლის მიხედვით, საქმეების მხოლოდ 20%-ს მოაქვს 80%-იანი შედეგი. მთავარი გამოწვევა კი ისაა, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ეს 20%. პრიორიტეტული საქმეების განსაზღვრისთვის დაგვეხმარება უკუკავშირის განსაზღვრა - იმის

გათვითცნობიერება, თუ რა საქმეებს მოაქვს ყველაზე ნაკლები შედეგი.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არსებობს მთელი რიგი შეზღუდვები, რომელიც აფერხებს ადამიანის საქმიან კარიერას. ასეთი შეზღუდვები შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც შიგა, ისე გარე ფაქტორებს. გარე - ფაქტორები, რომელიც არ არის დაკავშირებული ადამიანის პიროვნებასთან, მაგ. პოლიტიკური გარემო, ჯანმრთელობა და ა.შ. შიგა ფაქტორები კი განპირობებულია ადამიანის ინდივიდუალურობით და მათი დაძლევა მთლიანად არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე.

ზემოთ განხილული საკითხები მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც ადამიანს უწევს გადაწყვეტილებების მიღება და მასზეა დამოკიდებული მისი წარმატება თუ წარუმატებლობა, აქ კი ყურადღება გავამახვილოთ თვითმენეჯმენტზე, რომელიც ისეთივე ფუნქციებით ხასიათდება, როგორც მენეჯმენტი. მისი მთავარი არსი ისაა, რომ ადამიანმა შეძლოს თავისი შესაძლებლობების რწმენა და გამოყენება - სწორად მართვა, როგორც დროის, ისე მისი ყოველდღიური ცხოვრების, პროფესიული განვითარების და შესაბამისად, კარიერული ზრდის დაგეგმვის საკითხში.

პერსონალის მართვის თეორია კარიერას განიხილავს, როგორც ადამიანის შრომითი ურთიერთობის სფეროში შეგნებული პოზიციისა და ქცევის შედეგს, რომელიც დაკავშირებულია მის თანამდებობრივ და პროფესიულ ზრდასთან.

შრომითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, როგორც წესი, ორგანიზაცია და თანამშრომელი შედიან გარკვეულ გარიგებაში, რომელიც გულისხმობს, რომ ორგანიზაცია თავის მხრივ აძლევს თანამშრომელს დასაქმების გარანტიას და პროფესიული, კარიერული ზრდის შესაძლებლობას, ხოლო თანამშრომელი, თავის მხრივ, ამის სანაცვლოდ გამოხატავს ერთგულებას, ლოიალობას ორგანიზაციისადმი. ცხადია შრომითი ურთიერთობის ასეთი, შეიძლება ითქვას, გამარტივებული მოდელი, იდეალურია და რეალურ ცხოვრებაში ურთიერთობები გაცილებით რთულია.

თანამშრომლის განვითარების კონცეფცია ეფუძნება თვითგანვითარებას და ხორციელდება შემდეგ დონეებზე:

- ინდივიდუალური - ორგანიზაციის ყველა დონის თანამშრომლები ვითარდებიან, რათა მომავალში გახდნენ კომპანიის პარტნიორები;
- გუნდური - მეწარმეობის პრინციპებზე

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

დაყრდნობით ვითარდება გუნდური მუშაობა;

- ორგანიზაციული - კომპანია ვითარდება, რათა გარდაიქმნას ორგანიზაციაში, რომელიც მუდმივად სწავლობს და შეიმუშავებს საკუთარი მდგომარეობისა და გარემოს თავისებურ ხედვას.

თანამშრომლის განვითარების ტრადიციულ მაჩვენებლად წარმოგვიდგება მისი კარიერული ზრდა, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრ მსხვილ კორპორაციაში მმართველები არ განიხილავენ კარიერულ ზრდას როგორც მასტიმულირებელ ფაქტორს. ორგანიზაციული სტრუქტურების გათანაბრება და კორპორაციული ფასეულობების ცვლილება ნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ მოხდეს ცნების “თანამშრომლის განვითარება” გაფართოება. ამრიგად, გარდა დაწინაურებისა, კომპანია უნდა სთავაზობდეს სხვა სტრატეგიებსაც. მაგალითად:

- სამუშაო ძალის ფუნქციური ან/და საერთაშორისო როტაცია;
- მულტიეროვნულ პროგრამებში მონაწილეობა;
- პროფესიული წინსვლა;
- სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ, უკან დაბრუნების შესაძლებლობა;
- ე.წ. “აუთფლეისმენტის” პროფილაქტიკური ღონისძიებები - მხარდაჭერა სამსახურიდან დათხოვების შემთხვევაში.

ეს და სხვა სტრატეგიები უნდა გაერთიანდეს თანამშრომლების განვითარების გრძელვადიან გეგმებში.

ე. მეიოს მიხედვით [7] კარიერის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი მოიცავს:

- მუშაკის მიერ განვითარების პოტენციალის თვითგანსაზღვრას;
- პროფესიული კონსულტაციების მიღებას;
- კარიერული განვითარების დაგეგმვის სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობას;
- თვითგანვითარების გეგმების შემუშავებას;
- მიღწევების და პოტენციალის შეფასებისათვის კარიერულ რესურს ცენტრებში მიმართვას.

დამსაქმებლის პირველხარისოვანი ამოცანაა იმის განსაზღვრა, თუ რომელ თანამშრომელზე გაამახვილოს ყურადღება, რომელში მოახდინოს დროის, ძალისხმევისა თუ სხვა რესურსების ინვესტირება. შეცდომის ფასი მაღალია, ვინაიდან თანამშრომლის პერსონალური განვითარება ხანგრძლივი პროცესია და აუცილებელია ამ პროცესის კონტროლი დამსაქმებლის მხრიდან.

განვიხილოთ რამდენიმე მეთოდი, რომელიც შესაძლოა გამოიყენოს თანამშრომლის პერსონალურ

განვითარებაში დაინტერესებულმა დამსაქმებელმა:

ტრენინგი პერსონალურ განვითარებაში, რომელიც მიმართული იქნება იმ თვისებების განსავითარებლად, რაც აუცილებელია საქმიანობის ამა თუ იმ სფეროსთვის. ასეთი ტრენინგების შინაარსი დამოკიდებულია საქმიანობის ხასიათზე და შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა პოზიციაზე იქნება გამახვილებული ყურადღება. თუ საუბარია ხელმძღვანელზე, მაშინ სასურველია აქცენტი გაკეთდეს ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. თუ ყურადღებას ვამახვილებთ ანალიტიკურ მუშაობაზე, მაშინ პირველ რიგში საჭიროა განვავითაროთ სისტემური აზროვნება, კონცენტრირების უნარი. თუ მხედველობაშია არასტანდარტულ ან შემოქმედებით გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საქმიანობა, მაშინ საჭირო ხდება კრეატიულობის განვითარების ხელშეწყობა. ხარისხიანი და რეგულარული ტრენინგები იძლევა შედეგს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად იქნება შერჩეული სპეციფიკის გათვალისწინებით. საკმაოდ მნიშვნელოვანია თანამშრომლის ორგანიზაციისადმი ლოიალობის ფაქტორის ადექვატურად განსაზღვრა.

ქოუჩინგი - ეს არის ზემდგომის, ან უზრალოდ უფრო გამოცდილი კოლეგის დახმარებით, თანამშრომლის პერსონალური განვითარება. ამ დროს აუცილებელია უკუკავშირის არსებობა, რომელიც მიმართული იქნება თანამშრომელში საჭირო თვისებების განვითარებაზე. ტრენინგისგან განსხვავებით, ქოუჩინგი არ მოითხოვს პირდაპირ ინვესტიციებს პერსონალურ განვითარებაში, მაგრამ მოითხოვს ქოუჩის მიერ თავისი როლის გააზრებას და აკისრებს მას გარკვეულ პასუხისმგებლობას. ქოუჩისთვის, თვითონ ეს ფაქტიც კი შესაძლოა აღმოჩნდეს არამატერიალური მოტივაციის ფაქტორი, მაგრამ ეს დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე, მ.შ. “მოსწავლეს” სწორად შერჩევაზე და ასევე ქოუჩისა და თანამშრომლის ფსიქოლოგიურ თავსებადობაზე. ამისათვის კი საჭიროა ორგანიზაციაში მაღალი კორპორაციული კულტურის არსებობა.

არამატერიალური მოტივაცია - მაგალითისთვის შეიძლება მოიცავდეს თანამშრომლისთვის ისეთი დავალებების მიცემას, რაც სცდება მის სამსახურეობრივ მოვალეობებს და ამისათვის მან უნდა მოახდინოს მობილიზება ან რაიმე პროექტში მონაწილეობა. ამასთან, ეს საკმაოდ სარისკო მიდგომაა, რადგან მსგავსი დავალებების დელეგირება თანამშრომელზე, რომელმაც შესაძლოა ვერ გაართვას თავი დავალებას, მოიცავს



გარკვეულ რისკს ორგანიზაციისთვის, რაც შეიძლება აისახოს მაგალითად დროისა და სხვა რესურსის დამატებით დანახარჯებში დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად.

შესაძლოა გამოყენებული იქნას თანამშრომლის სტიმულირება და ფინანსირება დამატებითი განათლების მისაღებად. აქ საუბარია არა მხოლოდ პროფესიულ ზრდაზე, შესაძლოა ეს განათლება არ იყოს პირდაპირ დაკავშირებული მის პროფესიასთან, მაგრამ განათლების მიღება, როგორც ასეთი, საკმაოდ დიდი წვლილია პერსონალურ განვითარებაში. განათლების მიღების პროცესი, რომლის დროსაც თანამშრომელი ასევე არ უნდა მოსცდეს მის ძირითად საქმიანობას, მოითხოვს მობილიზებას, კონცენტრირებას და დროის რესურსის სწორად მართვას. ასევე, ეს პროცესი ავითარებს აზროვნების სისტემურობას, რაც არის როგორც თანამშრომლის, ისე ორგანიზაციის განვითარების აუცილებელი ფაქტორი. განათლება ხელს უწყობს თანამშრომელს ჯანსაღი ამბიციის ჩამოყალიბებაში, ზრდის მის “ღირებულებას” შრომით ბაზარზე და შესაბამისად ზრდის ორგანიზაციის ღირებულებასაც.

ასეთი სახის ინვესტიციები თანამშრომელში გამართლებულია, მაგრამ სარისკო. როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი დამსაქმებლისათვის აქტუალურია საკითხი: რომელ თანამშრომელში მოახდინოს ინვესტირება. ამისათვის ყველა კომპანიამ უნდა შეიმუშაოს გარკვეული

კრიტერიუმები თანამშრომლების ასარჩევად. ამრიგად, ჩვენ შევფასეთ პერსონალური განვითარების მნიშვნელობა, ზოგიერთი მეთოდები და მიდგომები თანამშრომლის და ორგანიზაციის მხრიდან. პიროვნული განვითარება დიდ გავლენას ახდენს როგორც თანამშრომელზე, ისე ორგანიზაციაზე. კვალიფიკაციის ამაღლებით, პიროვნების ახალი თვისებების აღმოჩენით, ახალი უნარებისა და ცოდნის შექმნით, ისინი ხდებიან უფრო კონკურენტუნარიანები შრომით ბაზარზე და იძენენ დამატებით შესაძლებლობებს კარიერული ზრდისათვის, როგორც კომპანიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. პიროვნული განვითარება ხელს უწყობს თანამშრომლის საერთო ინტელექტუალურ განვითარებას, მისი ერუდიციის ამაღლებას, თვითდაჯერებულობას. სწორედ ამიტომ, დამსაქმებლის მხრიდან შეთავაზებულ განვითარების შესაძლებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამსახურის არჩევის პროცესში. დამსაქმებლის ინვესტიციები პროფესიულ განვითარებაში ქმნის დადებით კლიმატს, ზრდის მოტივაციას და ლოიალობას. პერსონალის განვითარებისადმი ამგვარი დამოკიდებულება აისახება მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაზეც, ვინაიდან ის იძენს უფრო კვალიფიციურ სამუშაო ძალას და შესაბამისად მწარმოებლურობის უფრო მაღალ პოტენციალს.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წიწკოლაური ფ., 2008, მენჯმენტის საფუძვლები, უნივერსალი, გვ. 77-85
2. Green C. D., 2000, Classics in the History of Psychology, York University, გვ.70
3. Lavinsky D., 2014, Pareto Principle: How To Use It To Dramatically Grow Your Business
4. Prive T., 2012, Top 10 Qualities That Make A Great Leader, Forbes
5. Redmond B., 2015, Work Attitudes and Job Motivation, Psych 484 Press
6. The McQuaig Institute., 2015, The McQuaig Self-Development Survey®
7. Mayo G.E. Research in Human Relations // Personnel. -1941.-Vol. 17.-P. 264-269

The value of personal development in the process of career planning

Ketevan Ghambashidze
TSU PhD Student
Kristine Odishvili
TSU PhD Student

The paper discusses problems and challenges faced by people and / or the employer in the process of career planning. More specifically, it discusses the importance of personal development, both for personal and career growth. We consider some of the methods and approaches required for professional development, both for the employee and for the organization. The vision on management strategy of ensuring the personal growth of employees is presented.

ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და მისი წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით



გურგენ კალაშიანი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი, ბუღალტერი.
მობ: 555 340981
ელ.ფოსტა: g.kalashiani@gmail.com

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

კომპანიების მიერ გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები და მიდგომები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ ფინანსურ სტაბილურობაში. რთულ ეკონომიკურ პირობებში, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მოუქნელობა შეიძლება გარკვეული პრობლემების მიზეზი გახდეს. ასე მოხდა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს, როდესაც ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, რადგან საკრედიტო ზარალი აღიარებოდა საკმაოდ გვიან. ამის მიზეზი იყო ის, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მხოლოდ ფაქტობრივი საკრედიტო ზარალების აღიარება იყო შესაძლებელი. მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე სწრაფად ცვალებადი და არაპროგნოზირებადი მოვლენების პირობებში კი ეს მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა.

ამ ფაქტმა უბიძგა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ახალ სტანდარტზე დაეწყო მუშაობა. ამის შედეგად, 2014 წლის ივლისში გამოქვეყნდა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, რომლის გამოყენებაც 2018 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო გახდება და რომელიც შეცვლის ამჟამად მოქმედ ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“.

ახალმა სტანდარტმა შემოიღო ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების აღრიცხვის ახალი, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (Expected Credit Losses) მოდელი, რომელიც საკრედიტო ზარალის უფრო დროული აღიარების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, ფასს 9 ავალდებულებს კომპანიებს საკრედიტო ზარალის აღრიცხვა ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებისთანავე დაიწყონ.

ძალიან მნიშვნელოვანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლების მეთოდოლოგია, სტატიაში განხილულია გამოთვლის წესები და მოყვანილია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითები.

2014 წლის 24 ივლისს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (IFRS 9 Financial Instruments), ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი სტანდარტის საბოლოო, მეოთხე ვერსია. მოცემული სტანდარტის გამოშვებით დასრულდა 2008 წელს მსოფლიო ფინანსური კრიზისის საპასუხოდ ფასს-ის საბჭოს მიერ დაწყებული პროექტი. ახალი სტანდარტი შეიცავს ფინანსური აქტივების აღიარების და შეფასების განახლებულ მოთხოვნებს, მათ შორის ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების საკითხში, და ასევე, დამატებით მითითებებს ჰეჯირების აღრიცხვის ახალ პრინციპებთან დაკავშირებით, რომლებიც 2013 წელს გამოქვეყნდა.

საკრედიტო ზარალის რეზერვის ფორმირება ხშირი კრიტიკის საგანი იყო წინა პერიოდებში,

რადგან რეზერვები იქმნებოდა ძალზე გვიან და არასაკმარისი ოდენობით. ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების და აღიარების ახალი მოდელი, რომელსაც „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (Expected Credit Losses) პრინციპი უდევს საფუძვლად, შეიქმნა ამ პრობლემების გადასაწყვეტად. ზემოთხსენებული მოდელი უზრუნველყოფს ზარალის დაჩქარებულ აღიარებას, რადგან მოითხოვს არა მარტო ფაქტობრივი ზარალის (Incurred Losses) რეზერვის შექმნას, არამედ მომავალში მოსალოდნელისაც.

ფასს-ის საბჭომ ბასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ ფასს 9-ზე შეცვლის პროექტზე მუშაობა 2008 წლის ნოემბრიდან დაიწყო. პროექტზე მუშაობა 2014 წლის ივლისში ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ ახალი, სრული ვერსიის გამოცემით დასრულდა.

ფასს 9-ის შემუშავება ეტაპობრივად ხდებოდა და ასეთი ეტაპობრივი მიდგომის შედეგად მიღებულ იქნა სტანდარტის რამოდენიმე ვერსია. 2014 წლის ივლისში გამოშვებული ვერსია მისი ძალაში შესვლის დღიდან (2018 წლის 1 იანვარი) შეცვლის ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. იმ კომპანიებს, რომლებიც იყენებენ ფასს 9-ის წინა ვერსიებს, შეეძლებათ მათი გამოყენება სტანდარტის საბოლოო ვერსიის ძალაში შესვლამდე.

ახალი სტანდარტი საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მეთოდებზე, რომლებსაც ბანკები იყენებენ მათ მფლობელობაში არსებული

სასესხო პორტფელების საკრედიტო ზარალის აღრიცხვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ახალი მოდელის გამოყენების შედეგად უიმედო ვალების რეზერვები გაიზარდება და, დიდი ალბათობით, უფრო ცვალებადი გახდება.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც ვრცელდება ფასს 9-ში მოყვანილი, გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და, ასევე, ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა მიმართ ეს მოთხოვნები არ გამოიყენება:

ფასს 9-ის გამოყენების სფეროში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები	ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ შედის ფასს 9-ის გამოყენების სფეროში
სავალო ინსტრუმენტების სახით წარმოდგენილი ფინანსური აქტივები, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა შემოსავალში ასახვით	წილობრივი ინსტრუმენტები (Equity Instruments)
სესხის გაცემის ვალდებულებები (Loan Commitment), რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	სესხის გაცემის ვალდებულებები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით
ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (Financial Guarantee Contract), რომლებიც მიეკუთვნება ფასს 9-ის გამოყენების სფეროს და არ ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით
იჯარის დებიტორული დავალიანება (Lease Receivable), რომელიც მიეკუთვნება ფასს 17-ის გამოყენების სფეროს	
სახელშეკრულებო აქტივები (Contract Assets), რომლებიც მიეკუთვნება ფასს 15-ის გამოყენების სფეროს	

ფასს 9 „ფინანსურ ინსტრუმენტებში“ წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების აღრიცხვის მოდელი არის ერთიანი ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც მის გამოყენების სფეროში ექცევა. ამის შედეგად, სავსებით რეალურია, რომ ფასს-ის საბჭოს მიდგომები დაუახლოვდება კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო რისკების მართვისთვის გამოყენებულ მიდგომებს. მაგრამ, პრაქტიკაში

შესაძლებელია გაჩნდეს განსხვავებები ფასს 9-ის მოთხოვნებსა და ბანკების მიერ რისკების მართვის შიდა მიზნებისთვის გამოთვლილ მონაცემებს შორის.

ფასს-ის საბჭოს მიაჩნია, რომ ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა შემოსავალში ასახვით (Fair Value through Other Comprehensive Income) აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების მიმართ

გამოყენებული ერთიანი მოდელი საშუალებას

იძლევა:

- მიღწეულ იქნეს მეტი თავსებადობა მოგება-ზარალში ასაღიარებელი თანხებისა, მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლების მქონე აქტივებთან მიმართებაში;

- მოიხსნას პრობლემური საკითხები, რომლებიც გვხვდებოდა ბასს 39-ის მოთხოვნების გამოყენებისას, რომლებიც გაუფასურების აღრიცხვას ეხებოდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის მაჩვენებლის რიცხოზომიერი შეფასება, რომელიც შეწონილია მისი ხდომილობის ალბათობით, ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

თავის მხრივ, საკრედიტო ზარალის მაჩვენებელი არის იმ ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება, რომელთა მიღებაც ვერ მოხერხდება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოქმედების ვადის განმავლობაში.

ფასს 9 „ფინანსურ ინსტრუმენტებში“ არ არის მკაცრად განსაზღვრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების რომელიმე კონკრეტული მეთოდი. პირიქით, მასში აღნიშნულია, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდები შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსური ინსტრუმენტიდან და არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შექმნის და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის წესი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ აღრიცხება ფინანსური აქტივი – ამორტიზებული ღირებულებით თუ რეალური ღირებულებით სხვა შემოსავალში ასახვით. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებითი რეზერვი აისახება მოგება-ზარალში და ამცირებს ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

დებეტი	ხარჯი (მოგება/ზარალი)
კრედიტი	ფინანსური აქტივი (ფინანსური მდგომარეობის ანგ.)

თუ ფინანსური აქტივი აღრიცხება რეალური ღირებულებით სხვა შემოსავალში ასახვით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებითი რეზერვი აისახება ასევე მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში - საკუთარ კაპიტალში:

დებეტი	ხარჯი (მოგება/ზარალი)
კრედიტი	გაუფასურების რეზერვი (საკუთარი

კაპიტალი)

მოცემული გატარება აისახება შემოსავლის სახით სხვა საერთო შემოსავალში.

ამრიგად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებითი რეზერვი არ ამცირებს ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, არამედ აღრიცხება როგორც საკუთარი კაპიტალის ერთ-ერთი რეზერვი.

მაგალითი 1. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივების გაუფასურება.

კომპანია „ალფა“-ს საანგარიშგებო პერიოდი სრულდება ყოველი წლის 30 სექტემბერს.

2015 წლის 30 სექტემბერს კომპანია ალფამ გასცა 10 მლნ-ის ოდენობის სესხი სამწლიანი ვადით კომპანია ბეტაზე, წლიური 8%-იანი საბაზრო განაკვეთით. ხელშეკრულების პირობების თანახმად, „ბეტა“ იხდის პროცენტებს ყოველწლიურად, 30 სექტემბერს. სესხის საბოლოო დაფარვა უნდა მოხდეს 2018 წლის 30 სექტემბერს. კომპანია „ალფა“ აპირებს ამ სესხის ფლობას სრულ დაფარვამდე.

ალფა აფასებს მომდევნო 12 თვის განმავლობაში დეფოლტის მოხდენის რისკს შემდეგნაირად:

- ალბათობა იმისა, რომ ბეტა გაკოტრდება და ვერ გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვერც ერთ გადახდას, შეადგენს 1%-ს;

- ალბათობა იმისა, რომ ბეტა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო გადახდებს დროულად ვერ გადაიხდის (2016 და 2017 წწ. 30 სექტემბერს) და გადაიხდის ერთიანად (12,4 მლნ-ს) მხოლოდ 2018 წლის 30 სექტემბერს, შეადგენს 5%-ს.

2016 წლის 30 სექტემბერს „ალფამ“ „ბეტასგან“ 800 ათასი დოლარის (10 მლნ-ის 8%) ოდენობის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო შემოსავალი მიიღო. ამავე დროს, „ალფას“ შეფასებით, „ბეტას“ საოპერაციო შედეგები მნიშვნელოვნად გაუარესდა. „ბეტას“ გაკოტრების რისკი შეადგენს 6%-ს, ხოლო ალბათობა იმისა, რომ 2017 წლის 30 სექტემბერს გათვალისწინებული საპროცენტო გადახდა გადაიწევეს 2018 წლის 30 სექტემბერამდე, შეადგენს 10%-ს.

კომპანია „ალფას“ ხელმძღვანელობა მოცემული სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს აფასებს წლიურ 8,42%-ად.

ცნობილია შემდეგი ინფორმაცია 1 დოლარის მიმდინარე ღირებულების შესახებ:

- ერთ წელიწადში: წლიური 8%-თვის - 92,6 ცენტი; წლიური 8,42%-თვის - 92,2 ცენტი;

- ორ წელიწადში: წლიური 8%-თვის - 85,7 ცენტი; წლიური 8,42%-თვის - 85,1 ცენტი;



• სამ წელიწადში: წლიური 8%-თვის - 79,4 ცენტი; წლიური 8%-თვის - 78,5 ცენტი.

განვიხილოთ, როგორ აისახება მოცემული ოპერაციები 2015 წლის 30 სექტემბერს და 2016 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლების ფინანსურ ანგარიშგებებში.

2015 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლისთვის:

გაცემული სესხი უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რადგან კომპანია იყენებს ბიზნეს-მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სესხის ფლობას ფულადი ნაკადების მისაღებად, პროცენტების და ძირითადი თანხის დაფარვის გზით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აქტივის

თავდაპირველი აღიარებისას უნდა აღიარდეს რეზერვის თანხა გამოითვლება როგორც სხვაობა შემდეგ მაჩვენებლებს შორის:

- ხელშეკრულებაში დადგენილი გადახდების მიმდინარე ღირებულება;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთის (8%) მიხედვით მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება, რომელიც შეწონილია ალბათობის მიხედვით.

ხელშეკრულებაში დადგენილი გადახდების მიმდინარე ღირებულება შეადგენს 10 მლნ დოლარს ($800\ 000 \times 0,926 + 800\ 000 \times 0,857 + 10\ 800\ 000 \times 0,794 = 10\ 000\ 000\ \$$)

ალბათობების მიხედვით შეწონილი მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება გამოითვლება შემდეგნაირად:

მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება, 8%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (ათასი დოლარი)	ალბათობა (%)	შეწონილი თანხა დოლარში (ათასი დოლარი)
10 000	94%	9 400
0	1%	0
9 846 ($12\ 400 \times 0,794$)	5%	492
		9 892

თავდაპირველი შეფასებისას ასაღიარებელი რეზერვი (30/09/2015) უდრის 108 000 დოლარს (10 000 000 – 9 982 000).

რეზერვი აღიარდება ხარჯებში და შეამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას. სესხის საბალანსო ღირებულება 30/09/2015-ის მდგომარეობით (ათას დოლარში):

სესხის მთლიანი ღირებულება	10 000
საკრედიტო ზარალი	(108)
სესხის საბალანსო ღირებულება	9 892

2016 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლისთვის:

ფინანსური აქტივის ამორტიზაცია ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (8,4%)

მიხედვით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გათვალისწინებით.

წლიური საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 833 000 დოლარს ($9\ 892\ 000 \times 8,42\%$).

სესხის მთლიანი ღირებულება 30/09/2016-ის მდგომარეობით (რეზერვის გაუთვალისწინებლად) შეადგენს 10 033 000 დოლარს ($10\ 000\ 000 + 833\ 000 - 800\ 000$).

შემდგომი შეფასებისას, რეზერვის თანხა გამოითვლება როგორც სხვაობა აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური სგ-ის მეშვეობით გამოთვლილი მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულებას შორის.

30/09/2016-ის მდგომარეობით მოსალოდნელი გადახდები:

მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება, 8,42%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (ათას დოლარში)	ალბათობა (%)	შეწონილი თანხა (ათასი დოლარი)
9 928 (800 × 0,922 + 10 800 × 0,851)	84	8 340
0	6	0
9 872 (11 600 × 0,851)	10	987
		9 327

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი: 10 033 000 – 9 327 000 = 706 000 დოლ.
 მოგება-ზარალში ასალიარებელი რეზერვის ხარჯი: 706 000 – 108 000 = 598 000 დოლ.
 სესხის საბალანსო ღირებულება:

სესხის მთლიანი ღირებულება 10 033 000
 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (706 000)
 სესხის საბალანსო ღირებულება 9 327 000

ამონარიდი საერთო შემოსავლის ანგარიშგებიდან (ათასი \$)

	2016 წ.	2015 წ.
საპროცენტო შემოსავალი	833	-
საკრედიტო ზარალი	(598)	(108)

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან (ათასი \$)

	2016 წ.	2015 წ.
ფინანსური აქტივი	9327	9892

მაგალითი 2. რეალური ღირებულებით სხვა შემოსავალში ასახვით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება [2]

2015 წლის 30 სექტემბერს კომპანია „სიგამა“ ათწლიანი ვადით კომპანია „ალფას“ ობლიგაციების პაკეტი შეიძინა. ობლიგაციების რაოდენობა შეადგენს 10 000 ცალს, რომელთა საბაზრო ღირებულებაა 7 984 ათასი დოლარი. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა ათასი დოლარი. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია „ალფა“ ყოველი წლის 30 სექტემბერს ობლიგაციების მფლობელს უხდის პროცენტებს ნომინალური ღირებულების 5%-იანი განაკვეთით.

კომპანია „სიგამა“ პროცენტების მიღებას გეგმავს 2016 წლის 30 სექტემბერს და 2017 წლის 30 სექტემბერს და ამავე თარიღში ვარაუდობს პაკეტის გაყიდვას 8 276 ათას დოლარად. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 2015 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს წლიურ 8%-ს.

2015 წლის 30 სექტემბერს კომპანია „სიგამა“ აფასებს, რომ ალფას გაკოტრების რისკი უახლოესი 12 თვის განმავლობაში ფაქტობრივად ნულის ტოლია. მაგრამ, არსებობს 20%-იანი ალბათობა იმისა, რომ ალფა 2016 წლის 30 სექტემბერს პროცენტს ვერ გადაიხდის და გადაიტანს ამ გადახდას 2017 წლის 30 სექტემბრამდე (ანუ გადაიხდის 100 დოლარს თითო ობლიგაციაზე, $2 \times 1000 \times 5\%$).

2016 წლის 30 სექტემბერს კომპანია „სიგამა“ სრულად მიიღო საპროცენტო შემოსავალი 500 000 ლარის იდენობით ($10\ 000$ ობლიგაცია \times $1\ 000$ ლარზე \times 5%). წლის განმავლობაში, საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა წლიურ 10%-მდე, რამაც გამოიწვია ობლიგაციების ათი ათას ცალიანი პაკეტის რეალური ღირებულების 7 120 ათას დოლარამდე შემცირება 2016 წლის 30 სექტემბრისთვის. ამავე თარიღისთვის, კომპანია „სიგამას“ ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ სგ-



ის ზრდის ალბათობა შეადგენს 35%-ს. სგ-ის 12%-მდე გაზრდის შემთხვევაში, ობლიგაციების პაკეტის რეალური ღირებულება 2017 წლის 30 სექტემბრისთვის შეადგენს 6 523 ათას დოლარს. მაგრამ, 65%-იანი ალბათობით საპროცენტო განაკვეთები არ შეიცვლება და ასეთ შემთხვევაში ობლიგაციების პაკეტის რეალური ღირებულება 2017 წლის 30 სექტემბრისთვის შეადგენს 7 333 ათას დოლარს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ტოლია წლიური 8,05%-ის. 1 წლის შემდეგ მისაღები 1 დოლარის მიმდინარე ღირებულება 8%-იანი განაკვეთისთვის შეადგენს 92,6 ცენტს, ხოლო 2 წლის შემდეგ – 85,7 ცენტს.

ავსნათ, როგორ უნდა აისახოს მოცემული ოპერაციები 2015 წლის და 2016 წლის 30 სექტემბრისთვის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებებში.

2015 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლისთვის:

მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება, 8%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (ათას დოლარში)	ალბათობა (%)	შეწონილი თანხა (ათას დოლარში)
$7\,984 (500 \times 0,926 + (8\,276 + 500) \times 0,857$	80	6 387
$7\,950 (8\,276 + 500 + 500) \times 0,857$	20	1 590
		7 977

2015 წლის 30 სექტემბრისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: 7 984 ათასი – 7 977 ათასი = 7 ათასი დოლარი. ეს თანხა აღიარდება ხარჯებში და აისახება რეზერვის სახით საკუთარ კაპიტალში:

დებეტი მოგება/ზარალი
კრედიტი საკუთარი კაპიტალი

აქტივის საბალანსო ღირებულება არ იცვლება და აღიარდება რეალური ღირებულებით (7 984 ათასი დოლარი).

2016 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლისთვის:

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავლები აღიარდება შემოსავლის სახით (კრედიტი – მოგება/ზარალი).

საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 642 ათას \$ (7977 ათასი \$ × 8,05%).

ინვესტიციის საბალანსო ღირებულება

ობლიგაციები უნდა აღირიცხოს რეალური ღირებულებით სხვა შემოსავალში ასახვით, რადგან კომპანია იყენებს ბიზნეს-მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სესხის ფლობას ფულადი ნაკადების მისაღებად, პროცენტების და ძირითადი თანხის დაფარვის გზით და ასევე, მისი გაყიდვიდან სარგებლის მიღებას.

ინვესტიციის რეალური ღირებულება 2015 წლის 30 სექტემბრისთვის შეადგენს 7 984 ათას დოლარს. თავდაპირველი აღიარებისას აუცილებელია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შექმნა, რომელიც გამოითვლება როგორც სხვაობა აღიარების მომენტში აქტივის რეალურ ღირებულებასა და ალბათობის მიხედვით შეწონილი, მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულებას შორის. მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება გამოითვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მოსალოდნელი გადახდების გამოთვლა:

30/09/2016-ის მდგომარეობით, რეალური ღირებულების კორექტირებამდე შეადგენს 8126 ათას დოლარს (7977 + 642 – 500).

რეალური ღირებულება პირობის თანახმად უდრის 7120 ათას დოლარს. აქტივის ღირებულება შემცირდა 1006 ათასი დოლარით (7120 ათასი – 8126 ათასი). კეთდება შემდეგი გატარებები:

დებეტი მოგება-ზარალის ანგარიშგება - 1006 ათასი დოლარი
კრედიტი საკუთარი კაპიტალი (რეზერვები) – 1006 ათასი დოლარი

შემდგომი შეფასებისას, რეზერვის თანხა გამოითვლება როგორც სხვაობა აქტივის რეალურ ღირებულებასა და ეფექტური სგ-ის მეშვეობით გამოთვლილ მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულებას შორის.

30/09/2016-ის მდგომარეობით მოსალოდნელი გადახდები:

მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება 8,05%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (ათასი დოლ.)	ალბათობა (%)	შეწონილი თანხა ათას დოლარში
6500 ((500 + 6523) / 1,0805)	35	2275
7249 ((500 + 7333) / 1,0805)	65	4772
		6987

30/09/2016-ის მდგომარეობით მოსალოდნელი დოლარი. მოგება-ზარალში ასალიარებელის საკრედიტო ზარალი: $7120 - 6987 = 133$ ათას რსზერვის ხარჯი: $133 - 7 = 126$ ათასი დოლარი.

ამონარიდი საერთო შემოსავლის ანგარიშგებიდან (ათასი \$)

	2016 წ.	2015 წ.
მოგება/ზარალი		
საპროცენტო შემოსავალი	642	-
საკრედიტო ზარალი	(126)	(7)
სხვა შემოსავალი		
ინვესტიციის რეალური ღირებულების ცვლილება	(1006)	-
საკრედიტო ზარალის რეზერვის შექმნა	126	7

	2016 წ.	2015 წ.
გრძელვადიანი აქტივები		
ინვესტიციები	-	7984
მოკლევადიანი აქტივები		
ინვესტიციები	7120	-
საკუთარი კაპიტალი		
დაგროვილი თანხები:		
რეალური ღირებულების ცვლილების	(1006)	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის	133	7

1. Михаил Кузьмин; Модель Ожидаемых Кредитных Убытков; МСФО на практике; № 10; Октябрь 2015 г.
2. http://www.kpmg.com/RU/ru/IssuesAndInsights/ArticlesPublications/ifrs-publications/Documents/IFRS_9_2014rus.pdf
3. <http://www.ifrs.org/current-projects/iasb-projects/financial-instruments-a-replacement-of-ias-39-financial-instruments-recognition/Pages/Financial-Instruments-Replacement-of-IAS-39.aspx>
4. <http://www.ifrs.org/current-projects/iasb-projects/financial-instruments-a-replacement-of-ias-39-financial-instruments-recognition/documents/ifrs-9-project-summary-july-2014.pdf>
5. http://msfo-practice.ru/article.aspx?from=letternews_msfo_demo_2015.10.08_readers3609&token=41e329a4-bcaa-11a0-4955-2d0110291402&ttl=7888&utm_medium=letter&utm_source=letternews&utm_campaign=letternews_msfo_demo_2015.10.08_readers3609&aid=414709

Calculation of Expected Credit Loss of Financial Instruments and its Presentation in Financial Statements in accordance with IFRS 9 Financial Instruments

Gurgen Kalashyan

Accountant, PhD Candidate at the Faculty of Economics and Business of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Standards and approaches of financial accounting used by the companies play important role in their financial stability. Under economical conditions, inflexibility of financial accounting standards may become the reason for particular problems. This is what happened in course of Global Financial Crisis of 2008, when the banks and other credit establishment appeared under the difficult situation, as credit losses were being recognized quite late. Reason to this was that according to the International Financial Reporting Standards it was possible to recognize only incurred losses. Under the conditions of rapidly variable and unpredictable circumstances at the global financial markets, this was important obstruction.

This fact encouraged IFRS Board to start working on new standard. After this, in July of 2014 they published IFRS 9 Financial Instruments, using which will be compulsory from January 1, 2018, replacing currently applicable IAS 39: Recognition and Measurement.

New standard developed new model of accounting of impairment of financial instruments - Expected Credit Losses Model, allowing more timely recognition of credit loss. Particularly IFRS 9 obliges companies to start loss accounting at the time of initial recognition of financial instrument.

The method of calculating expected credit losses is extremely important. The rules of calculation will be described in the Article and particular practical examples will be given.

ი. ნოზაძე

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ა. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მინერალური ნედლეულის ეკონომიკისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამეცნიერო კვლევითი განყოფილების უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი.
ტელ:558184368,

გ. გამყრელიძე

ა. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ლაბორანტი.
gamkrelidzegoga@gmail.com

ი. კვატაშიძე

ა. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის წამყვანი ინჟინერი.

ახალი ეპოქისთვის THE NEW ECONOMIST

სტატიაში განხილულია წიაღით სარგებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფილების საკითხები, აღნიშნულია, რომ მინერალური რესურსების მართვის მარეგულირებელი ბერკეტები, პირველ რიგში უნდა იყოს საკანონმდებლო და სხვა სახის ნორმატიული აქტები. რაც შეეხება მართვის ადმინისტრირებას, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფს მინერალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას. შემოთავაზებულია წინადადება სახელმწიფო მმართველობის სისტემაში წიაღის სახელმწიფო ფონდის შექმნის შესახებ.

საქართველოს მინერალურ რესურსული ფონდი (მოცემულ ტერიტორიაზე საბადოთა დამუშავებაში მყოფ გამოვლინებათა ერთობლიობა) მოიცავს 950 საბადოსა და ნახევრადმვირფასი და სანაკეთო ქვების გამოვლინებას. რესურსული ფონდის 62,8% მსხვილი (სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობის) საბადოა, 30,9% ადგილობრივი მნიშვნელობისაა, ხოლო 6,2% გამოვლინებაა.

თანამედროვე ეკონომიკური მიდგომის შესაბამისად საქართველოს მინერალურ რესურსული ფონდი შეიძლება დაიყოს შემდეგ ეკონომიკურ ტიპებად:

1. სათბობენერგეტიკული რესურსები - 42 ობიექტი;
2. მეტალთა და იშვიათ ელემენტთა რესურსები - 70 ობიექტი;
3. ქიმიური, აგროქიმიური და სხვა რესურსები -96 ობიექტი;
4. სანაკეთო ქვებისა და კერამიკული რესურსები - 80 ობიექტი;
5. მოსაპირკეთებელი და საშენი ქვების რესურსები - 231 ობიექტი;
6. მეტალურგიული, ინერტული და სამშენებლო რესურსები - 262 ობიექტი;
7. მიწისქვეშა მინერალური წყლები - 60 ობიექტი (ალ. თვალჭრელიძე „მინერალური რესურსების როლი საქართველოს ეკონომიკაში“

შრომათა კრებული, გვ. 56-74; 23-24 აპრილი 2015 წ.) სახელმწიფოს დამოკიდებულება მინერალური რესურსების მიმართ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე სამინისტროს შესახებ აღნიშნულია, რომ სამინისტრომ გასულ წელს საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც შედგებოდა 50-მდე კანონპროექტისაგან. ამცვლილებათათანახმად, რეორგანიზაციის შემდეგ სამინისტრო ახორციელებს არა მხოლოდ გარემოსდაცვის სახელმწიფო მართვას, არამედ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვასაც (გარდა ნავთობისა და გაზისა)“. მისასალმებელია ბუნებრივი რესურსების მართვასთან ასეთ დამოკიდებულება. აღსანიშნავია ისიც, რომ იქვე მოტანილ სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითადი ამოცანების ჩამონათვალში არაფერია ნათქვამი სასარგებლო წიაღისეულის რესურსების მართვის მარეგულირებელ ბერკეტებზე. ამდენად უცნობია იმ 50-მდე კანონპროექტის დასახელება, რომლებშიც განზრახულია ცვლილებების შეტანა. ერთადერთი პროექტი, რომელიც სამინისტროს ხელმძღვანელობამ კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს 2016 წლის დასაწყისში №1(40), 2016 წელი, year



გადოუზღავნა განსახილველად, იყო „მყარი სასარგებლო წიაღისეულისა და მიწისქვეშა წყლების მარაგების გამოთვლის სახელმწიფო ინსტრუქცია“, რაც თავისთავად ფრიად მისასალმებელია, რადგან წინათ ასეთი რამ საერთოდ არ ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მინერალური ნედლეულის შემსწავლელი ინსტიტუტი ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელიც ყოველთვის წამყვან როლს თამაშობდა მინერალურ ნედლეულთან დაკავშირებულ კომპლექსური საკითხების გადაწყვეტაში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი საქმიანი კავშირების არსებობა და მათი შემდგომი განვითარება და გაძლიერება წიაღის მართვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების საქმეში, მათ შორის ნორმატიული აქტების შემუშავებასა და დახვეწაში. ორივე მხარისათვის იქნებოდა ფრიად სასარგებლო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ განსახილველად გადმოგზავნილ ინსტრუქციას (პ. 1-3) საფუძვლად უდევს „ავსტრალაზიის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გაერთიანებული კომიტეტის (JORK) კოდექსი „გეოლოგიურ-სამიეზო სამუშაოების შედეგების, მყარი სასარგებლო წიაღისეულის რესურსების და მარაგების ანგარიშის შესადგენად“ და საქართველოში დღემდე მოქმედი მყარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მარაგების და პროგნოზული რესურსების კლასიფიკაცია“. სამწუხარო ფაქტია, რომ დღემდე საბჭოთა კავშირის მარაგების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის, ა.მ.ბიბოჩკინის მიერ 1982-1988 წლებში დამტკიცებული ინსტრუქციით ვხელმძღვანელობთ, რომლებიც პროფ. ალ.თვალჭრელიძის გამონათქვამს თუ დავესესხებით - „გიგანტური ქვეყნის, გიგანტური საბადოებისთვისაა განკუთვნილი“. არადა, ჯერ კიდევ 1991-1995 წლებში საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში შემუშავდა საქარდველოს პირობებს მორგებული ყველა სახის ნორმატიული აქტები და დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს მთავრობას, მოგვიანებით (2003 წ.), როდესაც დეპარტამენტს პროფ. ალ.თვალჭრელიძე ხელმძღვანელობდა, საქართველოს მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინა სახელმწიფო გეოლოგიური სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილული იყო მინერალური რესურსების დათვლის ანგლო-საქსონური მეთოდიკა, რომელშიც ნათლად გამოჩნდა შედარებით მისი უპირატესობა რესურსების მარაგების დათვლის საბჭოურ

მეთოდიკასთან.

საქართველოს იმჟამინდელმა მთავრობამ არა თუ არ განიხილა აღნიშნული შემოთავაზებები და ნორმატიული აქტების პროექტები, არამედ გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოიყვანა სახელმწიფო მმართველობის სისტემიდან და როგორც საქვეუწყებო სუბიექტი შეიყვანა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში. სამინისტროში ჩატარებულმა „რეფორმებმა“ (მინისტრი გიორგი პაპუაშვილი) - სამსახურს ჩამოაცილა უმაღლესი დონის მქონე დარგის გამოცდილი სპეციალისტები, გაანადგურა მათ მიერ შექმნილი დოკუმენტაცია (კომპიუტერიდან წაშალილი იქნა არსებული ინფორმაცია, ხოლო შესაბამის განყოფილებებში დაცული ნორმატიული აქტების პროექტები განადგურდა).

ხელოვნურად შეიქმნა პირობითად მცდარი ფონი იმისა, თითქოს ქვეყანაში დარგის განვითარების თვალსაზრისით არავითარი ნორმატიული საფუძველი არ არსებობდა. შედეგიც სახეზეა. სამინისტრომ, რომელმაც თავი დაივალდებულა მართოს ბუნებრივი რესურსები, არ უნდა დააკნოს მინერალური რესურსების როლი სხვა ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში.

შესაბამისად, მინერალურ რესურსებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შემუშავებაში უნდა ჩაბმული იქნენ სპეციალისტები, რომლებიც სერიოზული კვლევისა და დაკვირვების შედეგად შექმნიან ქართულ სინამდვილესთან მისადაგებულ შესაბამის ნორმატიული აქტების პროექტებს, ჯერ უნდა ვიცოდეთ, რისთვის კეთდება ეს ყველაფერი და რა შედეგზეა ორიენტირებული. არ შეიძლება ყველაფერი გადმოვიღოთ პირდაპირ სხვა ქვეყნების ნორმატიული აქტებიდან და ამას დავარქვათ ქართული ე.წ. „სახელმწიფო ინსტრუქცია“. მინერალური რესურსების მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს სამთო-გეოლოგიური კოდექსი (შემუშავებულია წლების წინ), არ არის დაწესებული წიაღის ფონდის მიწები, რის გამოც სამთო მომპოვებელ საწარმოებს პრობლემები აქვთ შექმნილი ადგილობრივ მოსახლეობასთან. არ არის შექმნილი სარეზერვო ფონდი; არ არის დამტკიცებული სტრატეგიული ობიექტების (საბადოების) ნუსხა.

ბუნებრივად იზადება კითხვა, თუ სამინისტრომ თავი დაივალდებულა მართოს ბუნებრივი რესურსები, როგორც ეს, სამინისტროს ვებგვერდზეა მითითებული, ნავთობი და გაზი რატომაა

გამონაკლისი. რა, ნავთობი და გაზი ბუნებრივი რესურსი არაა თუ ნახშირი და თერმული წყლები არ მიეკუთვნებიან ენერგეტიკულ რესურსებს.

მართვის მარეგულირებელი ბერკეტები

1. საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით უზრუნველყოფა

ისევე როგორც სხვა სფეროში, მინერალური რესურსების მართვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკანონმდებლო ნორმატიული აქტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას.

საქართველოს კონსტიტუციით (მე-3 მუხლის პირველი ნაწილი) განსაზღვრულია იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნებიან. ამ ჩამონათვალში მიწა და მასში არსებული წიაღისეული სხვა ბუნებრივი რესურსებისაგან ცალკეა გამოყოფილი, რაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიანიშნებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად კი, (სსკ-149) მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით უძრავი ნივთის კატეგორიას მიეკუთვნება. ამასთან, ის არის ისეთი ნივთი (უძრავი ქონების ის კატეგორია) რომელიც მიწასთან არის დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დაკარგვის გარეშე (საკუთვნებელი - (სსკ 151\2) სწორედ ამ გარემოებებით უნდა იყოს განპირობებული „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების იმპერატიულობა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სხვა სახის ნორმატიული აქტების ნორმებთან მიმართებაში.

სამწუხაროდ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები, ასევე კანონქვემდებარე აქტები ხშირ შემთხვევაში არ გამომდინარეობენ და არშეესაბამებიან ძირითად კანონს „წიაღის შესახებ“. რომელიც, თავის მხრივ მოითხოვს ყურადღების მიქცევას მისი რედაქციის დახვეწის თვალსაზრისით.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ (მე-7 მუხლი -“სარგებლობის ლიცენზიის სახეები“) ითვალისწინებს არა წიაღით სარგებლობას, არამედ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობის ერთ ნაწილზე ლიცენზიის გაცემას. ამასთან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია და ნავთობისა და გაზის მოპოვების

ლიცენზიები ცალ-ცალკე პუნქტადაა მოტანილი. მაშინ როდესაც ნავთობი და გაზი სასარგებლო წიაღისეულის შემადგენელი ნაწილია.

ამასთან, საკანონმდებლო ნორმა არ ითვალისწინებს:

წიაღის შესწავლას; სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას; სამთო მოპოვებელ საწარმოთა ნარჩენების გადამუშავებასა და გეოლოგიური, მინერალოგიური, პალეონტოლოგიური კოლექციებისა და სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებას

• საქართველოს კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის შესახებ“ მოსაკრებელი დაწესებულია არა მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის შემცველ მადანზე (მონგრეულ სამთო მასაზე), არამედ მის შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებზე, რაც აშკარა გაუგებრობას იწვევს საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობისას.

2. ლიცენზირება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემა, როგორც წესი, ხორციელდება ლიცენზიის მაძიებლის განაცხადის საფუძველზე. უმეტეს შემთხვევაში გეოლოგიურად შეუსწავლელ უბნებზე. შესაბამისად სავარაუდოა მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები. სალიცენზიო პირობებში დაწესებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პარალელურად წიაღის უბნის გეოლოგიურად შესწავლის აუცილებლობა, შესწავლისათვის აუცილებელი მაქსიმალური დრო, რომელიც ხუთ წელიწადს არ უნდა აღემატებოდეს. აუცილებლად უნდა გადაისინჯოს წინასაუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მთიან რეგიონებში დიდ ფართობებზე წიაღის შესწავლის მიზნით გაცემული ლიცენზიები. აღნიშნული გარემოება მრავალ პრობლემატურ საკითხთანაა დაკავშირებული: ერთია, რომ ამ ტერიტორიებზე ლიცენზიანტის თანხმობის გარეშე დაინტერესებულ პირს ეკრძალება ლოკალურ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად კონკრეტულ სასარგებლო წიაღისეულზე ლიცენზიის მიღება. მეორეც, წიაღის გეოლოგიური შესწავლა სხვა სამუშაოებთან ერთად მოიცავს ათასობით ტონა ტექნოლოგიური სინჯის აღებასა და გადამუშავებას. როგორც წესი, ტექნოლოგიური სინჯების გამოცდა ხდება საზღვარგარეთის ქვეყნებში, შედეგები კი მხოლოდ ლიცენზიის მფლობელისთვისაა



ცნობილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შესწავლის ობიექტი ძირითადად ძვირფასი და იშვიათი ლითონებია და ტექნოლოგიური სინჯების აღება გადასახადით არ იბეგრება, ადვილი წარმოსადგენია ინვესტორის ინტერესი წიაღის უბნის შესწავლის გაჭიანურებაში. ლიცენზიის გაცემისას სამთო მინაკუთვნი ფიქსირდება ფართის სახით ე.წ. “x და y კოორდინატებში“, ხოლო სამთო მინაკუთვნის სივრცობრივი საზღვრების დადგენა ლიცენზიანტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ამ გარემოებიდან გამომდინარე ყველა შედეგებით. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ წიაღის უბანი აუქციონზე მის გატანამდე სალიცენზიოდ იყოს მომზადებული ლიცენზიის გამცემის მიერ. ლიცენზიაში რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან ერთად დაფიქსირებული უნდა იყოს სალიცენზიო ობიექტის ფასეულობითი მაჩვენებელი.

3. პროექტირება

იმის გამო, რომ ბოლო ათწლეულში სამთო პროექტის განხორციელებისას მოიშალა კონტროლის მექანიზმები (გეოლოგიური, სამთო, ეკოლოგიური, ექსპერტიზები), საშენ მასალებზე ღიაკარიერული წესით დამუშავებისას მომრავლდა უხარისხო სამთო პროექტები. შედეგად ზარალდება როგორც სახელმწიფო, ისე მეწარმეც. ზარალი კი იმითაა განპირობებული, რომ პროექტი არ ითვალისწინებს გეოლოგიურად შეუსწავლელი ობიექტების შესწავლას მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენის მიზნით; არ ხდება გამოვლინების (საბადოს) ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება. ასეთ პროექტებში, როგორც წესი, ეკონომიკური ნაწილი საერთოდ არ არსებობს იმ მოტივით, რომ თითქოსდა ბაზარზე ფასები არასტაბილურია. ეს რბილად რომ ითქვას საქმეში ჩაუხედავი კაცის ნააზრევია. იქ კი სადაც, ასე თუ ისე ეკონომიკური სახის გაანგარიშებებია თვითღირებულებაში შეტანილი არ არის გამოვლინების ექსპლუატაციის მოსამზადებელი სამუშაოების და სხვა კაპიტალური ხარჯების ხვედრითი წილი. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დათვლა, ასევე სამთო მინაკუთვნის სივრცობრივი საზღვრების დადგენა ხდება ზერელედ და როგორც წესი, მიესადაგება ლიცენზიის მაძიებლის მიერ მოთხოვნილი მოცულობის ოდენობას. საერთოდ არ ხდება მარაგების ფასეულობითი მაჩვენებლის დადგენა. შესაბამისად არ აისახება ლიცენზიანტის კაპიტალში

და არ გამოიყენება ინვესტირების საპირწონე მექანიზმად. მიგვაჩნია, რომ საბადოს დამუშავებისა და სამთომინაკუთვნის პროექტი, ასევე წარმოების განვითარების ყოველწლიური გეგმები, უნდა დაექვემდებაროს სამთო-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სამთო-ტექნიკურ ექსპერტიზას.

4. მინერალური რესურსების მართვის ადმინისტრირება

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში 2004 წელს აიკრძალა ორმოც წელს გადაცილებული ასაკის სპეციალისტების დასაქმება. სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში დასასაქმებელი ახალგაზრდების საკონკურსო პირობებში სამი კრიტერიუმი დომინირებდა - ინგლისურიენის, კომპიუტერის (მომხმარებლისდონეზე) ცოდნა და ზღვრული ასაკი. ეს პროცესი ნეგატიურად აისახა ზოგადად ყველა სფეროზე. განსაკუთრებული დარტყმა მიაღწა იმ დარგებს, სადაც დიპლომირებული პიროვნების სპეციალისტად ჩამოყალიბებას ათეული წლების პრაქტიკული გამოცდილება ესაჭიროება, ასეთ დარგებს სამთამადნო მრეწველობაც მიეკუთვნება.

რა მდგომარეობაა მინერალური რესურსების მართვის სფეროში და რა ღონისძიებებია გასატარებელი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად?

სამწუხაროდ ეს სფერო ჯერ კიდევ საბჭოური ნორმატიულიაქტებით მართება. საბჭოთა კავშირის პირობებში „მინერალური რესურსის საბადოს ეკონომიკური მნიშვნელობა განიხილებოდა მთლიანად გიგანტური ქვეყნის სამრეწველო ინტერესებიდან გამომდინარე და მხედველობაში აბსოლიტურად არ მიიღებოდა არამარტო სამთამადნო რაიონის, არამედ „სოციალისტური რესპუბლიკის“ რეალური მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (ინფრასტრუქტურა, მომსახურების ღირებულება, სიახლოვე სანედლეულო ბაზებთან და ა.შ.“ - ალექსანდრე თვალჭრელიძე - „მინერალური რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა“). შესაბამისად მინერალური რესურსების მარაგების დამტკიცებაც, საბჭოურის ანალოგიურად, მარაგების სახელმწიფო კომისიაზეა მიწოდებული. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენგან განსხვავებით საბჭოური კომისია დამოუკიდებელი ორგანო იყო და ამ საქმის მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენს შემთხვევაში კი, კომისიაში ძირითადად სახელმწიფო ჩინოვნიკებია შეყვანილი და შესაბამისად ისინი დამოკიდებულები არიან

სხალი მკონსისტი THE NEW ECONOMIST

საჯარო სამსახურში თანამდებობრივად ზემდგომ მოხელეზე. აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით მაგალითად: საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 ნოემბრის №589 დადგენილებით დამტკიცებულ სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში (19 კაცი) მხოლოდ შვიდი კაცია (37%) მოწვეული სპეციალისტი, ერთი ეკონომისტი და ექვსი გეოლოგი და არცერთი სამთამადნო მრეწველობის წარმომადგენელი ან/და ამ დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი. არადა, საკითხი სამთამადნო მრეწველობის განვითარებას ეხება და, შესაბამისად, კომისიის უდიდესი უმრავლესობაც ამ დარგის სპეციალისტებით უნდა იყოს დაკომლექტებული. სამაგიეროდ კომისიის მთლიანი შემადგენლობის 63% (12 კაცი) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო მოხელეებია, მათ შორის, ორი უმაღლესი რანგის - მინისტრი და მისი მოადგილე.

დღეის მდგომარეობით ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე ბუნებრივი რესურსების მიუკერძოებელ მართვას. პირველ რიგში მისი სახელწოდებიდან გამომდინარე. მეორეც, იმ მარტივი მიზეზის გამოც, რომ სამინისტროს სტრუქტურაში მინერალური რესურსების მარეგულირებელი სტრუქტურული წარმონაქმნი საერთოდ არ არსებობს, ხოლო წიაღის ფუნქციონალურ სამსახურს, რომელიც მიწის რესურსების დაცვის სამსახურთანაა მიერთებული და დაკნინებული აქვს ფუნქციები. სამინისტროს სახელწოდებიდან გამომდინარე ეს არცაა გასაკვირი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი რესურსებიდან ამ სამინისტროში ტყეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული: სამინისტროს აპარატში ფუნქციონირებს სატყეო პოლიტიკის სამსახური, ხოლო მის სტრუქტურაში ტყესთან დაკავშირებული ორი ეროვნული სააგენტოა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიმართულებით წარმოებული საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმარების მეთოდით მოიცავს:

1. ბუნების სტიქიისაგან დამცავ ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოებს;
2. გარემოს დაბინძურების საექსპერტიზო და მონიტორინგულ სამუშაოებს;
3. ბიომრავალფეროვნების დაცვის

სამუშაოებს;

4. ბუნებრივი წყალსაცავებიდან წყლის მოცულობის ზღვრული ლიმიტის დადგენას;
5. დაბინძურებული წყლის ჩაშვების ზღვრული მოცულობის დადგენას;
6. სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების ზღვრული რაოდენობების დადგენას;
7. ეროზიული ფართობების აღდგენას;
8. ტყეების დაცვას ბიოლოგიური მეთოდით;
9. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებული თანხის აღრიცხვას;

ჩამონათვალი ერთიერთში ემთხვევა სამინისტროს ფუნქციებისა და ამოცანების ჩამონათვალს და შესაბამისი სრუქტურებიც აქვს შექმნილი.

რამდენადაც ბუნებისდაცვითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენების უზრუნველყოფი საქმიანობა არ წარმოადგენს ეკონომიკის გამოკვეთილ დარგს, ბუნებრივი, მათ შორის მინერალური რესურსების მართვა სხვადასხვა დროს სხვადასვა სამინისტროს ჰქონდა დავალებული (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერგეტიკული რესურსების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის)

მიგვაჩნია, რომ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მინერალური რესურსების სამართავად უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურული ერთეული, წიაღის სახელმწიფო ფონდი, რომლის სამართლებრივ ფორმას დაარეგულირებს კანონი „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ“. განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით შექმნილი ფონდებისა, მას მიენიჭება სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი (სამინისტროს დონე) ორგანოს ფუნქციები. ამ სტრუქტურაში გამჭოლი პროფესიების სამსახურებთან ერთად შევა;

- სამთო-გეოლოგიური სამსახური;
 - წიაღის პოლიტიკის განსაზღვრისა და დაცვის სამსახური;
 - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
 - წიაღის რესურსების აღრიცხვის სამსახური.
 - სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის სამსახური;
 - სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური;
 - ნებართვებისა და ლიცენზირების სამსახური
- იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველოს მთავრობა



არ გაიაზრებს მოცემულ
 კრილში ცვლილებების განხორციელების იდეას,
 გთავაზობთ სათადარიგო ვარიანტებს:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში არსებული ქონების მართვის სტრუქტურულ ერთეულში შევიდეს მინერალური რესურსების მართვის სამსახური.
2. იმავე სამინისტროში (პ.1) ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდეს (უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა - აღდგეს)

ბუნებრივი რესურსების მართვის ეროვნული სააგენტო.

ამასთან, აქ მოტანილი ვარიანტების პრაქტიკულმა განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო მმართველობითი აპარატის ხარჯების ზრდა. ცვლილებები უნდა განხორციელდეს სამინისტროებში ფუნქციების გადანაწილების, ხარჯზე, ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ. თვალჭრელიძე - „მინერალური რესურსების როლი საქართველოს ეკონომიკაში“(გვ. 56-74)
2. ი.ნოზაძე, გ. გამყრელიძე - „გეოლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ბუნება და მისი აღრიცხვის წესები“(გვ. 103-106)
3. ი. ნოზაძე, ნ. რჩეულიშვილი, ი. კვატაშიძე - „წიაღის რესურსების მართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და საქართველოს გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონება“(გვ. 106-111)
4. საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება, შრომათა კრებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ. თბილისი, 22-23 აპრილი 2015 წელი.

Mineral resource management

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
 CaucasianAlexanderTvalchrelidze Institute of Mineral Resources,
 Mineral Resources, Economic Research and Strategic Planning Division
 I.Nozadze - Senior Research Fellow
 G.Gamqrelidze - Laboratory
 I.Kvatashidze - Lead Engineer

The article deals with the problem of whether the legislative basis regulating control of mineral resources use is perfect. It is noted that the leverage regulating control of mineral resources should have legislative and other kinds of normative acts. As the Georgian Ministry of Environment and Natural Resources Protection, proceeding from its functions, is unable to regulate the problems of mineral resources control, it has been proposed to set up a public mineral resources fund in the state administration system.



ეფექტიანი კომუნიკაციის როლი ორგანიზაციაში

სალომე ექიზაშვილი
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
 მე-4 კურსის სტუდენტი
 Salome.ekizashvili@gmail.com
 558 520409

მარინე ბიწაძე
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
 მე-4 კურსის სტუდენტი
 Mari.bitsadze@mail.ru
 568 842070

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატიაში განხილულია კომუნიკაციის როლი ორგანიზაციაში. ეს საკითხი მეტად აქტუალურია დღევანდელ დღეს, რადგან ის თანამედროვე ორგანიზაციული სისტემის სწორი ფუნქციონირების, განვითარების მიმართულებისა და დინამიკის უმთავრესი პირობაა. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში იქმნება ინფორმაციის გადაცემის მრავალფეროვანი საშუალებები და ამავდროულად ტექნოლოგიური განვითარებაც ხელს უწყობს კომუნიკაციური პროცესების სიმარტივეს და სისწრაფეს, ორგანიზაციები კვლავ დიდი პრობლემის წინაშე დგანან. პრობლემებში მოიაზრება ის მიკრო და მაკრო ბარიერები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია კულტურათაშორისი ფაქტორის მნიშვნელოვნებასთან, უკუკავშირის დამყარებასთან და შესაფერისი კომუნიკაციური არხების მოძიებასთან. თუმცა, არსებობენ კომპანიები, რომლებმაც მოცემული ბარიერები გონივრულად გადალახეს და კომუნიკაციური პროცესების სწორი მენეჯმენტით დიდ წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო ბაზრებზე. გლობალიზაციის პირობებში ეფექტურმა კომუნიკაციამ უზრუნველყო ისეთი დადებითი ასპექტების მიღება, როგორებიცაა: ორგანიზაციის გამჭვირვალობა და მათი გადაწყვეტილებების საჯაროობა, რუტინული საქმეების განხორციელების სიმარტივე, გაზრდილი თავისუფალი დროის რაოდენობა, შემცირებული ხარჯები კომუნიკაციაზე, ინფორმაციის გადაცემის ხარისხი და სისწრაფე. ორგანიზაციის ეფექტური მართვის საფუძველს წარმოადგენს როგორც ორგანიზაციული, ისე პიროვნული კომუნიკაცია. თავად კომუნიკაციის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები არ არსებობს, მისი შეფასების ხარისხს უშუალოდ ორგანიზაციის დონე განსაზღვრავს. კომპანია, რომელიც თავის მიზანს აღწევს და წარმატებით მოღვაწეობს ბაზარზე, მართვის პროცესში განხორციელებული კომუნიკაცია ეფექტური იქნება.

კომუნიკაცია თანამედროვე ორგანიზაციული სისტემის სწორი ფუნქციონირების, განვითარების მიმართულებისა და დინამიკის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. კომუნიკაციების სტრუქტურის, შინაარსისა და ნაკადის თვალსაზრისით, შეიძლება გავანალიზოთ ყველა სოციალური პროცესი. ორგანიზაციები ხარჯავენ დიდ ძალისხმევას კომუნიკაციებზე, თუმცა მაინც დგანან მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე კომუნიკაციის ცვალებადი ბუნების გამო. დღეს მენეჯერებს არ შეუძლიათ ინფორმაციის კონტროლი იმ მეთოდებით, რომლებსაც იყენებდნენ წარსულში, რაც ცვლის ძალაუფლების ბუნებას მენეჯმენტში, ამიტომ ეფექტური კომუნიკაციის სისტემის შექმნა არის მთავარი პრიორიტეტი ორგანიზაციებისათვის.

კომუნიკატორი განუწყვეტლივ მოქმედებს რეციპიენტის შესატყვისად და მისი მოსალოდნელი რეაქციის გათვალისწინებით. როგორც ჯ. მიდი ამტკიცებს, ორატორი, რომელსაც ძალუმს თავის

აუდიტორიაზე ზემოქმედება, არა მხოლოდ შესაბამისი წესით განაწყობს მათ, არამედ თვითონაც იღებს მათ განწყობილებებს. იგი თითქოსდა ირგებს იმ სხვა ადამიანის როლს, რომელზეც სურს თავისი სიტყვით გავლენა მოახდინოს და სწორედ აქედან გამომდინარე ის კომუნიკაციური ურთიერთობის საკუთარ პროცესს სასურველი მიმართულებით წარმართავს. აღსანიშნავია, კომუნიკაციის პროცესი ატარებს ურთიერთქმედების ხასიათს, რომლის შემადგენელი ელემენტებიც, კომუნიკატორი და რეციპიენტი, ერთმანეთთან კავშირში განიხილებიან.

თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს კომუნიკაციის მუდმივი ზრდა, დაჩქარება, სიმჭიდროვე და გლობალიზაცია. ცივილიზაციის ხარისხი მეტწილად დაკავშირებულია კომპიუტერული კომუნიკაციის განვითარებასთან. ინტერნეტს შეუძლია ინფორმაციის გენერირება, რითაც აძლიერებს ეროვნული და ეროვნებათაშორისი საზოგადოებრივი ჯგუფების

გამჭვირვალობას და განამტკიცებს მათ შორის ინტერაქტიული ურთიერთობის არხებს. ორგანიზაცია ინფორმაციებს ღებულობს როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. ორგანიზაციული პოლიტიკის ძირითადი ფუნქცია სწორედ ამ ინფორმაციების მიღება და გადამუშავებაა, რათა გადაწყვიტოს როგორი მოქმედებებია საჭირო, უზრუნველყოს კოორდინაცია და წარმართოს ადამიანთა ძალისხმევა დასახულ მიზანთა მისაღწევად. ორგანიზაციის სისტემის მიერ მიღებული ინფორმაციების გადამუშავების რეზულტატი – გადაწყვეტილებაა.

ახალი საინფორმაციო კომუნიკაციური სისტემების აქტიურმა დანერგვამ არა მხოლოდ შინაარსობრივად უცვალა სახე ძველ შეხედულებებსა და სტერეოტიპებს, არამედ შიდაორგანიზაციული და საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალი მოდელი დაანგრია. კომუნიკაციური სისტემის ეფექტიანობას განაპირობებს მისი მზაობა, ყურადღებით აღიქვას საზოგადოების მოთხოვნილებები და განვითარების ტენდენციები. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნება სწორ რეაქციას მიმდინარე იმპულსებზე და ვერ უპასუხებს საზოგადოების მოლოდინებს.

გლობალიზაციის პირობებში ეფექტურმა კომუნიკაციამ უზრუნველყო ისეთი დადებითი ასპექტების მიღება, როგორებიცაა: ორგანიზაციების გამჭვირვალობა და მათი გადაწყვეტილებების საჯაროობა, რუტინული საქმეების განხორციელების სიმარტივე, გაზრდილი თავისუფალი დროის რაოდენობა, შემცირებული ხარჯები კომუნიკაციაზე და ინფორმაციის გადაცემის ხარისხი და სისწრაფე. ეფექტური კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციის კონტექსტი, რაც გულისხმობს კომუნიკაციის გარემოს და კომუნიკაციის ფორმებს. ამავე კონტექსტში შედის კულტურა და სოციალური ნორმები.

განსხვავებენ კომუნიკაციის განხორციელების მექანიკურ და შემოქმედებით მიდგომებს. კომუნიკაცია, მექანიკური მიდგომით, არის ინფორმაციის კოდირებისა და გადაცემის ცალმხრივ მიმართული პროცესი, ინფორმაციის წყაროდან ინფორმაციის მიმღებამდე, ხოლო კომუნიკაცია, შემოქმედებითი მიდგომით, არის კომუნიკაციის მონაწილეთა ერთობლივი მოღვაწეობა, რომლის დროსაც საგნებზე და მოქმედებებზე გამომუშავდება საერთო შეხედულებები.

კომუნიკაცია ჯგუფში ან ორგანიზაციაში ოთხ ძირითად ფუნქციას ემსახურება: კონტროლს, მოტივაციას, ემოციურ გამოხატვასა და ინფორმაციას. კომუნიკაცია წევრების ქცევას

რამდენიმე გზით აკონტროლებს. დაქირავებულებმა კომუნიკაცია უნდა დაამყარონ თავიანთ უშუალო უფროსებთან, შეასრულონ სამსახურეობრივი მოვალეობები და იმოქმედონ კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. დაქირავებულების სამსახურეობრივი მოვალეობები და კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად მოქმედებები კონტროლდება ძალაუფლების იერარქიის მიერ კომუნიკაციის სისტემის მეშვეობით. კომუნიკაცია ასევე აძლიერებს მოტივაციას, რადგან უფრო ნათელი ხდება, თუ რა სამუშაო უნდა შეასრულონ დაქირავებულებმა და რა შეიძლება გაკეთდეს მათი ქმედითუნარიანობის ასამაღლებლად. კონკრეტული მიზნების დასახვა და ამ მიზნების მიღწევიდან მიღებული უკუკავშირი და სასურველი ქცევის განმტკიცება სტიმულს აძლევს მოტივაციას და მოითხოვს კომუნიკაციას. ინფორმაციის გადაცემის ძირითადი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ჯგუფის წევრები იმედგაცრუებასა და კმაყოფილებას გამოხატავენ, კომუნიკაცია გრძნობებისა და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. ინფორმაციის გადაცემა გადაწყვეტილების მიღებას აადვილებს, რადგან შესაძლებელი ხდება ალტერნატივებისა და შეფასების მიზნების განსაზღვრა. კომუნიკაციის უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის. აქ მომსახურების ხარისხი და შესაბამისად წარმატება, პირდაპირ უკავშირდება მომხმარებლებთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარებას, კონფლიქტის თავიდან აცილებისა თუ კლიენტის სურვილების წვდომის უნარებს. მენეჯერმა უნდა მოახდინოს თავისი იდეებისა და ფიქრების კოდირება და გარდაქმნა შეტყობინებაში, რომელიც შეიძლება წერილობითი, ვერბალური ან არავერბალური ფორმით იყოს წარმოდგენილი. ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის სწორად განსაზღვროს კომუნიკაციის არხები. იმისათვის, რომ განისაზღვროს რამდენად სწორადაა აღქმული ინფორმაცია, უნდა მოხდეს მისი დეკოდირება, რომელიც განისაზღვრება ბევრი ფაქტორით, მაგალითად, მიმღების ცოდნითა და გამოცდილებით, ან კიდევ მისი ურთიერთობით ინფორმაციის წყაროსთან. განმარტებული ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს სხვა ფაქტორების ზეგავლენას, წინააღმდეგ შემთხვევაში განმარტებული ინფორმაცია სრულიად განსხვავებული იქნება ორიგინალისგან.

ორგანიზაციაში არასრულ და ხარვეზულ კომუნიკაციას განაპირობებს კომუნიკაციის პროცესში არსებული ბარიერები. მიკრობარიერები წარმოადგენს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს

კომუნიკაციის პროცესის ვიწრო სფეროებში, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადრესატის მიერ ტექსტური შეტყობინებების მრავალპიროვნულ აქტს, ასევე მის დამოკიდებულებას ინფორმაციის წყაროსთან მიმართებაში შესაძლოა განსაზღვრავდეს მისი სუბიექტური განწყობილება და შედეგად უკუკავშირი არ დამყარდეს.

ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია მაკრობარიერებზე ყურადღების გამახვილებაც, ვინაიდან ის კომუნიკაციის საერთო პროცესს უშლის ხელს, რასაც განაპირობებს საინფორმაციო ქსელების გადატვირთვა, რამდენიმე იერარქიული საფეხურის გავლის შემდეგ ინფორმაციის დაზიანება და კომპლექსური ინფორმაციის გადაცემის საჭიროება. პიროვნებათა შორის კომუნიკაციაში არსებულ ბარიერებში გასათვალისწინებელია გაფილტვრა, რომელიც ინფორმაციის შინაარსობრივ ცვლილებას გულისხმობს და გადამცემის სასარგებლოდ გამოყენებას უწყობს ხელს. შემდეგ ნეგატიურ ფაქტორს კომუნიკაციისთვის წარმოადგენს შერჩევითი აღქმა, რომელიც გულისხმობს სხვა ადამიანების განსჯას კომუნიკატორის საჭიროებების, გამოცდილების, მოტივაციის თუ სხვა პიროვნების თვისებების საფუძველზე. გლობალიზაციის შედეგად მიღებულ ბარიერს მიეკუთვნება ინფორმაციის გადატვირთვა, დიდი მოცულობის მასალის არსებობის პირობებში საჭირო ინფორმაციის გადარჩევა და ყურადღების მიღმა დარჩენის რისკი. აღსანიშნავია ადამიანების ემოციური ფონი, რომელიც იწვევს ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვაგვარ აღქმას. პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე არსებული კომუნიკაციის შიში იწვევს კომუნიკაციური მოთხოვნების დამახინჯებას ორგანიზაციაში. იქიდან გამომდინარე, რომ ორგანიზაციის თანამშრომლები გეოგრაფიულად გაფანტულნი არიან წარმოიქმნება პრობლემა სიტყვებისა და ტერმინების მნიშვნელობების გაურკვევლობის თაობაზე. კულტურული მრავალფეროვნების გამო ადგილი აქვს ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. სწორედ კულტურათა შორის ფაქტორი ზრდის პრობლემებს კომუნიკაციის პროცესში.

უკუკავშირი არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადამიანის განვითარებისთვის. განახორციელო მეორე ადამიანისადმი კარგად ჩამოყალიბებული და განვითარებული უკუკავშირი გონივრული გზით კრიტიკულად მნიშვნელოვანია. კერძოდ, ის გვეხმარება ავაწყოთ ურთიერთობები და გრძელვადიანი ნდობა შევიწარმოოთ. ორგანიზაციებში, მომუშავე

პერსონალი ცდილობს დაამყაროს უკუკავშირი დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, წარმომადგენლობის გასაზრდელად და საკუთარი ქცევის დასარეგულირებლად. კვლევები აჩვენებს, რომ უკუკავშირის განხორციელების დაბალი მაჩვენებელი ახასიათებთ ორგანიზაციაში დიდი ხნით მომუშავეებს, განსხვავებით ახალდასაქმებულებისა, რომლებიც მეტად ორიენტირებულნი არიან მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებაში. მნიშვნელოვანია მენეჯერების როლი ამ საქმეში, მათ უნდა შექმნან უკუკავშირის განვითარების კლიმატი ორგანიზაციაში და უნდა დაარწმუნონ მომუშავეები რომ უკუკავშირი მნიშვნელოვანია მიზნების მიღწევასა და სარგებლის მიღებაში.

თანამედროვე ორგანიზაციაში კომუნიკაციის პროცესის სიმარტივეს და სისწრაფეს განაპირობებს ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად მიღებული კომუნიკაციის საშუალებები, რაც კომპანიის ეფექტური მუშაობის საწინდარია. ეფექტური შიდა კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ორგანიზაციაში არსებულ კომუნიკაციის ინსტრუმენტებსა და მექანიზმებზე. კვლევის ერთ-ერთ მიზანს საჯარო სტრუქტურებში კორპორატიული შიდა ქსელის არსებობის დადგენა წარმოადგენდა. შედეგად გამოვლინდა, რომ 21 ორგანიზაციიდან 12-ს გააჩნია ფუნქციონალური საინფორმაციო ქსელის კორპორატიული ინტრანეტის გვერდები, რომელზეც ხელი მიუწვევებთ მხოლოდ ორგანიზაციის თანამშრომლებს. ორგანიზაციებში კორპორატიული შიდა ქსელის არსებობა განაპირობებს კორპორაციის წარმატებულ ფუნქციონირებას. ორგანიზაციები ასევე ქმნიან ექსტრანეტსაც, რომლის საშუალებითაც ორგანიზაციას საშუალება ეძლევა კავშირი დაამყაროს შერჩეულ მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან.

წარმატებული ორგანიზაციების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს სრულყოფილი კომუნიკაციური სისტემების დანერგვა. აღსანიშნავია, რომ კომპანია “ზარა“-ს წარმატება უკავშირდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემუშავებას, რომელიც ხელს უწყობს კომპანიას სწრაფი ცვლილებები მოახდინოს მომხმარებელთა მოთხოვნილებასა და ტენდენციებზე, მარაგების მართვაზე, ხარჯების შემცირებაზე, რის შედეგადაც “ზარა“-ს წარმატებული გლობალური გაფართოება გარანტირებულია. “ზარა” 0,5%-ზე ნაკლებს



მთლიანი შემოსავლებიდან ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე ხარჯავს და საინფორმაციო ტექნოლოგიებში დასაქმებულების რიცხვი მთლიანი სამუშაო ძალის მხოლოდ 0,5%-ია. ეს განსხვავდება სხვა კონკურენტებისგან, რომლებიც საშუალოდ ხარჯავენ მთლიანი შემოსავლების 2%-ს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე და 2.5 % მთლიანი სამუშაო ძალისა მოდის მასზე.

“ტოიოტა მოტორსი” წარმოადგენს კორპორაციის მაგალითს, რომელშიც აქტიურად გამოიყენება შემდეგი კომუნიკაციის საშუალებები: საინფორმაციო დაფები, წერილები, ი-მეილი, ტექსტური შეტყობინებები. “ტოიოტა მოტორსი” იყენებს როგორც აღმავალ, ისე დადმავალ კომუნიკაციას, რის შედეგადაც ადგილი აქვს თანამშრომელთა მაღალ ჩართულობას კომპანიის საქმიანობაში. მოცემული კორპორაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს “ნიუსლეტერი”, რომელიც არის ძლიერი მეთოდი კორპორაციისა და მის გარშემო არსებული საზოგადოების ინფორმაციულობისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია იყენებს ინფორმაციის გაგზავნის ისეთ ძველ მეთოდს, როგორცაა საინფორმაციო დაფები. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას ჰყავს დანიშნული პასუხისმგებელი პირი საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის კონტროლის მიზნით, ასეთი კომუნიკაციის მეთოდიდან მიღებული სარგებელი გადაწონის მის ნაკლოვანებებს. ბიულეტენების

გამოყენება ასევე შიდა კომუნიკაციის ეფექტური და ძირითადი გზა არის, რომელიც ემსახურება ინფორმაციის მიღების თვითმომსახურებას.

ორგანიზაციაში კომუნიკაციური მართვის პროცესი პერსონალის მეშვეობით ხორციელდება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც მენეჯერს გააჩნია პერსონალთან ურთიერთობისას არის ინფორმაცია. ინფორმაციის ფლობითა და გადაცემით, ასევე საპასუხო სიგნალების მიღებით მენეჯერი გეგმავს, მართავს, მოტივაციას უწევს თანამშრომლებს. შეგვიძლია თამამად ავლნიშნოთ, რომ კომუნიკაციის ყველა ნაირსახეობა მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მართვისთვის. ორგანიზაციის ეფექტური მართვის საფუძველს წარმოადგენს როგორც ორგანიზაციული, ისე პიროვნული კომუნიკაცია. თავად კომუნიკაციის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები არ არსებობს, მისი შეფასების ხარისხს უშუალოდ ორგანიზაციის განვითარების დონე განსაზღვრავს. კომპანია, რომელიც თავის მიზანს აღწევს და წარმატებით მოღვაწეობს ბაზარზე, მართვის პროცესში განხორციელებული კომუნიკაცია ეფექტური იქნება. თუმცა მიუხედავად ამისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ხელისშემშლელი ბარიერები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია კომუნიკაციის დროს, რათა კომპანიამ ეფექტურობა შეინარჩუნოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეგრელიშვილი კ., ნაშრომი „ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა ცვლილებათა მართვის პროცესში თანამედროვე მართვის პრობლემები“, ბათუმი 2012 წ, გვ. 68-69
2. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯი „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები“, პირველი ქართული გამოცემა, გვ. 202
3. ფარესაშვილი ნ., ქემელაშვილი გ., „ორგანიზაციული ქცევა“, თბილისი, 2010 წ.
4. <http://www.123helpme.com/view.asp?id=97642>
5. <https://moven.wordpress.com/2008/04/22/toyota-motor-corporation-internal-communication-practices/>
6. Mary Uhi-blen, John R. Schermerhorn, Jr, Richard N. Osborn Organizational Behavior, 13th edition, pg. 252



The role of effective communication

Salome Ekizashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Economics and Business, 4th grade

Marine Bitsadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Economics and Business, 4th grade

The role of effective communication is indicated in the report. This issue is quite actual, because it is the major way of right functioning, developing trends and dynamics of contemporary organizations. In spite of creating various information channels, which provide the organizations with simplicity and quickness of communication processes, companies are still facing to tremendous problems, such as macro and micro barriers, particularly, feedback from the staff to the latest information, cross cultural obstacles and choosing proper communication channels reasonably. However, we have several essential and vivid examples of modern organizations, which achieved great success with wise and smart ways in international markets. During the rapid globalization process, effective communication is one of the most important aspects for getting preferences, like as organization's transparency, decision publicity, fulfillment of routinely assignments easily, the quality of transferred useful information, increased amount of free time, reduced expenditures. We can proudly say, that any kind of communication system is totally crucial for getting the recent information, planning and linking to their employees. The effective way of management is based on the organizational and personal communications also. The criteria of value does not exist, but the development level of company defines its quality. It is considerable for companies to discover the factors, what make the communication failure, feedback- both the praise and the criticism must be well communicated.

სტუდენტური ხელვა THE NEW ECONOMIST

რამ განაპირობა ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობის ზრდა კომპანიებისათვის?

რუსუდან გურაშვილი
 თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის
 ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი
 rusudan.gurashvili@gmail.com
 555 40 80 31

ლოლიტა რურუა
 თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის
 ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი
 salome.ekizashvili@gmail.com
 558 52 04 09

კომპანიებისათვის ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტების მხედველობაში მიღება აუცილებელია საქმიანობის სწორად წარმართვის, მიზნის ფორმულირებისა და ამოცანების შესრულებისათვისადეკვატური გზების დასახვისათვის. კორპორაციული კულტურის მზარდი პოპულარობა აისახება იმ კვლევათა რაოდენობის მკვეთრ ზრდაშიც, რომლებიც ჩატარებულია ამ მიმართულებით. თანამედროვე მაღალმწარმოებლური კომპანიები სიღრმისეულად იაზრებენ და აანალიზებენ კორპორაციული კულტურის სასიცოცხლო მნიშვნელობას გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში. ეს განაპირობებს ორგანიზაციის ადაპტაციას გაზრდილ კონკურენციასთან, მომხმარებელთა გემოვნების ცვლილებასა და ტექნოლოგიურ პროგრესთან, რაც ერთიანობაში განსაზღვრავს ამ საკითხის აქტუალურობას.

მოცემული სტატიის ბაზაზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კორპორაციული კულტურის ფორმირება უნიკალური გზაა, ფირმებისთვის, მოახერხონ საკუთარი პოზიციების გამყარება და პრიორიტეტების მიღწევა შიდა სამხარეულოს ორგანიზებულობისა და ერთსულოვნების ხარჯზე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გულდასმით უნდა მოხდეს ორგანიზაციული კულტურის თითოეული შემადგენლის განსაზღვრა, მათი სიმყარე ხომ წარმატებული კომპანიის ფორმირების გარანტია. ორგანიზაციული კულტურის რიგი ნაკლოვანებები კი მიუთითებს კომპანიაში მენეჯმენტის სისუსტეზე, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს. ამიტომ, ისინი უნდა გამოვლინდეს და აღმოიფხვრას შესაბამისი ღონისძიებების გატარებით.

დღეისათვის, მზარდი კონკურენციის, მომხმარებელთა ცვალებადი გემოვნებისა და ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, საერთაშორისო კომპანიები დიდი გამოწვევის წინაშე დგებიან. ახლა, ისე როგორც არასდროს, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებული ინფორმაციის ბაზაზე ფორმირება მაქსიმალურად მოქნილი ბიზნეს სტრუქტურისა, რომელიც მარტივად ადაპტირდება თანამედროვე დინამიურ გარემოსთან. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გლობალიზაციას, რომელიც მიმართულია ერთიანი მსოფლიო ბაზრის ფორმირებისაკენ ქვეყანათა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. ამ პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას სატარიფო განაკვეთების შემცირება, რაშიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას დიდი წვლილი მიუძღვის. შედეგად, 1969 წლიდან მოყოლებული, მულტინაციონალური კორპორაციების რიცხვი მსოფლიოს 14 უმდიდრეს ქვეყანაში თითქმის გასამმაგდა. ამ კომპანიებზე მოდის კერძო სექტორის აქტივებისა და მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი

ნაწილი.

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა უნიფიკაცია მიუღწევადი მიზანია. როგორც შეუძებელია არსებობდეს ორი იდენტური ადამიანი, ასევე ვერ იარსებებს ზუსტად ერთნაირი კულტურა. სწორედ ამიტომ, ჩვენ ის უნდა მივიღოთ როგორც მოცემულობა და ამის გათვალისწინებით ვიმოქმედოთ საერთაშორისო ასპარეზზე. ქვეყანათა შორის ვაჭრობის ზრდის კვალობაზე მატულობს ტრანსნაციონალური კომპანიების რაოდენობა. ეს შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით: ლოკალური ბაზრის გაჯერებულობა, მოგების ზრდის სტიმული, წარმოების გაფართოების შესაძლებლობა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინების სურვილი, ადგილობრივ ქვეყანაში სახელის მოხვეჭა და მრავალი სხვა. კომპანიებმა აუცილებელია „იფიქრონ გლობალურად და იმოქმედონ ლოკალურად“, ეს მათ წარმატებას შეუწყობს ხელს. საერთაშორისო ბაზარზე მიღებული გამოცდილება ფირმებს ადგილობრივ ბაზარზეც უმყარებს პოზიციებს

და აღჭურავს კონკურენტებთან საბრძოლველად საჭირო ყველა იარაღით.

კროს-კულტურული პრობლემები მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი ფორმებისათვის. ისეთ მსოფლიო გიგანტებს კი როგორებიცაა კოკა-კოლა, მაკდონალდსი, ჰეინეკენი და სხვები, მოუწიათ კრიტიკის ქარცეცხლში გამოვლა წინდაუხედავი ქმედებების გამო, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ უცხო ქვეყნების კულტურის გაუთვალისწინებლობასთან. ეს მნიშვნელოვნად აზარალებს კომპანიას ფინანსური კუთხით, აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს მის იმიჯზე და ნეგატიურ ემოციებს იწვევს ახალ ბაზარზე. მაგალითად, მაკდონალდსი ინდოეთის ბაზარზე საქონლის ხორცისგან დამზადებული ბურგერებით შევიდა, ვერ გაითალისწინა ის ფაქტი, რომ ინდოელებისათვის ძროხა წმინდა ცხოველია, კომპანიას მოუწია დაშვებული შეცდომის გამოსწორება არსებულის ბოსტნეულისა და თევზებისგან დამზადებული პროდუქციით ჩანაცვლებით. ხოლო, რაც შეეხება კოკა-კოლას, მან მუსლიმანური ქვეყნების მხრიდან დიდი პროტესტი დაიმსახურა, იმის გამო, რომ შეფუთვაზე გამოიყენა წარწერა ყურანიდან. გაიაზრეს რა, მუსლიმებმა ის ფაქტი, რომ გამოყენების შემდეგ, ცარიელი ბოთლი ნაგვის ურნაში უნდა აღმოჩენილიყო თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, რაც თავის მხრივ აისახა კომპანიის შემდგომ საქმიანობაზე.

საზღვარგარეთ ვაჭრობა გაზრდილ შესაძლებლობებთან ერთად, მრავალი სახის რისკთანაა დაკავშირებული. საერთაშორისო ფორმას ხშირად უჭირს განსაზღვროს სხვა ქვეყნის ბაზარზე არსებული პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ბუნებრივი და სხვა ასპექტები. დღეს უამრავი ფორმა განიცდის მარცხს სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელთა შორისაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი კომპანიის ორგანიზაციული კულტურის არასრულფასოვნებას ენიჭება. კორპორაციულ კულტურას განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყანაში გაბატონებული განსხვავებული ღირებულებები, ფასეულობები, ნორმები, შეხედულებები და წეს-ჩვეულებები. შესაბამისად, კულტურული ფაქტორები დიდ ზეგავლენას ახდენს მოცემულ ქვეყანაში ბიზნესის წარმოების ხერხებსა და მეთოდებზე.

ზემოთ ხსენებულის გათალისწინებით, კომპანიებისათვის ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტების მხედველობაში მიღება აუცილებელია საქმიანობის სწორად წარმართვის,

მიზნის ფორმულირებისა და ამოცანების შესრულებისათვის ადეკვატური გზების დასახვისათვის. კორპორაციული კულტურის მზარდი პოპულარობა აისახება იმ კვლევათა რაოდენობის მკვეთრ ზრდაშიც, რომლებიც ჩატარებულია ამ მიმართულებით. მოცემული დაკვირვებების საფუძველზე, მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა, მათ შორის ბობ ვასიფიზმა, გირტ ჰოფსტიდმა, ჯეფრი სონენფილდმა, უ.ჰოლმა და ჩ.ჰენდმა, შეიმუშავეს არაერთი მოდელი, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ აქტუალურობას. თითოეული მათგანი სხვადასხვა ასპექტით განიხილავს და ყოფს ორგანიზაციული კულტურის მახასიათებლებს. თანამედროვე მაღალმწარმოებლური კომპანიები სიღრმისეულად იაზრებენ და ანალიზებენ კორპორაციული კულტურის სასიცოცხლო მნიშვნელობას გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში. ეს განაპირობებს ორგანიზაციის ადაპტაციას გაზრდილ კონკურენციასთან, მომხმარებელთა გემოვნების ცვლილებასა და ტექნოლოგიურ პროგრესთან, რაც ერთიანობაში განსაზღვრავს ამ საკითხის აქტუალურობას.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ორგანიზაციული კულტურის ერთიანი განმარტება არ არსებობს. ზოგადად ორგანიზაციული კულტურა არის ორგანიზაციის პიროვნულობის გამოხატველი. ის დაფუძნებულია დაშვებებზე, ღირებულებებზე, ნომებსა და არტეფაქტებზე, რომლებიც ათვისებულია ორგანიზაციის წევრების მიერ. კულტურა არის ერთ-ერთი იმ ცნებათაგანი, რომელთა განსაზღვრაც ცალსახად ვერ ხდება, თუმცა ყველამ იცის და გრძნობს მას. მაგალითად, დიდი კომერციული ორგანიზაციის კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება საავადმყოფოს ორგანიზაციული კულტურისაგან. ჩვენ შესაძლოა შეგვექმანას წარმოდგენა ორგანიზაციის კორპორაციულ კულტურაზე ისეთი ფაქტორებზე დაკვირვებით როგორცაა: ინტერიერი, პერსონალის ჩაცმულობა და ა.შ. იმავე მაჩვენებლებით შესაძლოა ვიმსჯელოთ პიროვნების ხასიათზე.

ორგანიზაციაში მომუშავე სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს ორგანიზაციულ კულტურას. ეს ძირითადად დამახასიათებელია მაღალი და დაბალი რანგის მენეჯერებისათვის. მაგალითად, უმაღლესი აღმასრულებელი შესაძლოა ხედავდნენ ორგანიზაციას, როგორც სრულიად მიზანმიმართულს, კარგად ორგანიზებულსა და ფორმალურს. თუმცა, მიმდებში მომუშავე პიროვნებამ ორგანიზაცია შესაძლოა აღიქვას როგორც მოუწესრიგებელი, ცუდად

ორგანიზებული და ხანდახან ზემდეტად მკაცრიც კი.

ვფიქრობთ, საინტერესოა იქნება ორგანიზაციული კულტურის პოსტულატის გააზრებისას ცნობილი მეცნიერებების მოსაზრებების გაცნობა და მათი მოშველიება ჩვენი თვალსაზრისის გასამყარებლად: რიჩარდ პერინის თქმით „ორგანიზაციული კულტურა არის ფასეულობებისა და რიტუალების ერთობლიობა, ის ორგანიზაციის წევრების წებოა“- მოცემული მოსაზრება ამყარებს იმ თვალსაზრისს, რომ ორგანიზაციული კულტურა ეხმარება კომპანიას ჩამოყალიბდეს როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმი. მას აგრეთვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიზნის შესაბამისი ოპტიმალური გზების დასახვის პროცესში და განაპირობებს კომპანიის პერსონალის დარაზმულობის მაღალ ხარისხს, ერთსულოვან სწრაფვას დასახული ამოცანების შესრულებისაკენ და მინიმალურ გადახვევებს დაგეგმილი „მარშრუტიდან“. მოცემული გზის ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ისეთი კულტურული ფაქტორები, როგორებიცაა: ფასეულობები, რწმენა, ეთიკურად მიღებული ნორმები და სხვა. სწორედ მათი გათვალისწინებით ყალიბდება კომპანიის ქცევის მოდელი, რომელიც შესაძლოა განვმარტოთ როგორც კორპორაციული კულტურა.

„კულტურა არის ორგანიზაციის იმუნური სისტემა“- მიხეილ ვატკინსი. ისევე როგორც იმუნური სისტემა ეხმარება ადამიანს შემოჭრილ „ანტიგენებთან“ გასამკლავებლად, ორგანიზაციული კულტურის ფორმირებაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ფირმისათვის მრავალი პრობლემის თავიდან აცილების პროცესში. შემოჭრილი უცხო სხეულების შთანთქმისა და გაუნებელყოფისათვის ადამიანის ორგანიზმში წარმოიშვება ანტისხეულები და ფაგოციტები, ასევე კორპორაციული კულტურაც წარმოადგენს გარკვეულ დამცავ ბარიერს კომპანიისათვის სწრაფად ცვალებად გარემოში არსებული უამრავი გართულების თავიდან ასაცილებლად. როგორც ვიცით, გარკვეული დაავადებით დასნეულების შემდეგ, ადამიანს უჩნდება იმუნიტეტი სამომავლოდ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ორგანიზაცია ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდება მრავალ რუტინულ, ალგორითმულ, ასევე რთულ და არაპროპროგრამირებად გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობას. შესაბამისად, მათთან გამკლავების შემდეგ ფირმას გამოუმუშავდება უნარი აქტიურად შეებრძოლოს, ან სულაც თავიდან აირიდოს მოსალოდნელი იმავე სახის პრობლემები, დაგროვილი გამოცდილების კვალდაკვალ.

ადამიანს იმუნური სისტემის დაქვეითების შემთხვევაში არ აქვს საკმარისი ძალები ბაქტერიებსა და ვირუსებთან საბრძოლველად და ნებდება, აგრეთვე კომპანიაც ორგანიზაციული კულტურის არარსებობის ან არასრულფასოვნების პირობებში დასაღუპადაა განწირული.

საინტერესოა ელისაბედ სკირგარის მოსაზრება: „ორგანიზაციულ კულტურას ქმნის სოციუმი, საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ“. აღსანიშნავია რომ, ყოველი ქვეყნისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური და განსხვავებული ფასეულობები, რომელთაც განაპირობებს რელიგია, ენა, ეთნიკური წარმომავლობა და სხვა კულტურული მახასიათებლები. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ქვეყნის ღირებულებათა სისტემის ფორმირებაზე, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ადგილობრივ ან უცხოურ ბაზარზე მოღვაწე კომპანიების საქმიანობას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ტექნოლოგიური, ბუნებრივი და სხვა ასპექტები. თითოეული სახელმწიფოს ერთიან კულტურაში გამოიყოფა მრავალი სუბკულტურა, ამის მსგავსად კომპანიის თანამშრომლებშიც შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა სახის ჯგუფები, რომლებიც კლასიფიცირდებიან როგორც, კონფრომისტები, ნონკონფრომისტები და ნეიტრალურები¹. მოცემულ დაყოფაზე შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს კულტურულმა ფაქტორებმა, რომლებიც რიგ შემთხვევებში კონფლიქტური სიტუაციების მაპროვოცირებელია. შეგვიძლია ვთქვათ რომ, ისევე როგორც ქვეყნის კულტურა წარმოიქმნება მისი ცაკლეული ინდივიდის ფასეულობებისა და ღირებულებების გათვალისწინებით, ასევე სოციუმის ორგანიზაციული კულტურაც ყალიბდება მისი ცალკეული ინდივიდის ფასეულობათა სისტემის შეჯერებითა და გაერთიანებით, გარკვეული კომპრომისის მიღწევის კვალდაკვალ, სწორედ ამას გულისხმობდა ელისაბედ სკირგარი, რომელიც გვეუბნებოდა რომ ორგანიზაციულ კულტურას ქმნის სოციუმი.

კროს-კულტურული პრობლემების განხილვისას, საინტერესოა აშშ-სა და იაპონიის ბიზნეს ხედვის შედარება. მაგალითად: ამერიკელი თანამშრომლების სავიზიტო ბარათზე ჯერ წარმოდგენილია პიროვნების სახელი და გვარი. ხოლო იაპონიაში, აქცენტი კეთდება იმ კომპანიაზე, რომელსაც წარმოადგენს ესა თუ ის ადამიანი, შესაბამისად ჯერ დაიტანება კომპანიის სახელი და თანამდებობა, ხოლო შემდგომ პერსონალური მონაცემები. გარდა ამისა, სირთულეებს

ვაწყდებით მაშინაც, როცა ამერიკელი ბიზნესმენი, რომლისთვისაც უპირატესია მოკლევადიანი მიზნები, ხვდება იაპონელს-გრძელვადიანი ინტერესებით. ამ უკნასკნელთათვის გარიგების დადება ხელსაყრელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორს კარგად გაიცნობენ, დაუახლოვდებიან და ნდობით აღიჭურვებიან. ასე რომ მათ ურჩევნიათ ბიზნეს-პარტნიორებთან გრძელვადიანი, საიმედო ურთერთობების დამყარება.

კომპანიაში კულტურული მრავალფეროვნება დაპირისპირებებს, აზრთა სხვადასხვაობებსა და კონფლიქტებთან ერთად, კომპლექსური და მრავალმხრივი საკითხების სწრაფი გადაჭრისა და პრობლემის სხვადასხვა კუთხით განხილვის საწინდარია.

მნიშვნელოვანია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ იმ მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომელთა ბაზაზეც ყალიბდება ორგანიზაციის კორპორაციული სტრუქტურა, მათ

შორისაა ფასულობები, პრინციპები და მიდგომები, ტრადიციები, ჩვევები და სტიმულირების საშუალებები.

ფასეულობა, ეს არის ორგანიზაციული კულტურის საყრდენი, მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კომპანიის მისია, მიზნები და სტრატეგიები. ყველა გლობალურ ფირმას გააჩნია გარკვეული ფასეულობები, რომელთა ფორმირებაზეც გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ის დარგი, რომელშიც მოღვაწეობს ფირმა. მაგალითად, ცნობილი იაპონური ბრენდის, ტოიოტას ფასეულობები, დალაგებული მნიშვნელოვნების მიხედვით, ატარებს შემდეგ სახეს: 1. გუნდური მუშაობა; 2. მუდმივი განვითარება სწავლების მეშვეობით; 3. ხარისხი; 4. კონფიდენციალურობა. 2 როგორც ვხედავთ, საავტომობილო ინდუსტრიაში გუნდური მუშაობა ერთ-ერთ უმთავრეს ფასეულობებს წარმოადგენს. მაშინ როცა, მოდის ინდუსტრიაში წინა პლანზე არის წამოწეული ინდივიდუალუმი. ფასეულობის ფორმირებაზე, აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს იმ ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს კომპანია.

პრინციპები და მიდგომები, ისევე როგორც, ყოველ ადამიანს, თითოეულ კომპანიასაც გააჩნია ინდივიდუალური პრინციპები. ეს განაპირობებს საზოგადოების ცნობიერებაში ფირმის პოზიციონირებას და ამიტომ, მნიშვნელოვანია სირთულეების მიუხედავად კომპანიაში მის პრინციპებს არავითარ შემთხვევაში არ უღალატოს. აგარეთვე, ამ კუთხით მნიშვნელოვანია

ობიექტურად, შესაძლებლობების გათალისწინებით განისაზღვროს კომპანიის პრინციპები, რადგან მომხმარებლისათვის ზედმეტის დაპირება და შემდგომ ამ დაპირების შეუსრულებლობა მეტად გამაღიზიანებელია. ამ საკითხზე საუბრისას, უნდა განვიხილოთ ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა. პრინციპები განსაზღვრავენ კომპანიის ქმედებებს, რაც თავის მხრივ შეიძლება საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმებს ან ეთავსებოდეს ან არა. არის შემთხვევები, როდესაც ფირმა დგება დილემის წინაშე, გადაუხვიოს პრინციპებს და მიიღოს მეტი მოგება, ან დარჩეს თავისი იდეალების ერთგული. ამიტომ, მტკიცე პრინციპების ჩამოყალიბება, მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ თავიდან ავირიდოთ მსგავსი ტიპისი „მაცდური“ სიტუაციები. აუცილებელია ეს პრინციპები იყოს ყველა თანამშრომლის მიერ შეთვისებული და ისინი კარგად იაზრებდნენ მათ არსს.

მეორე მხრივ, განსხვავებულია კომპანიათა მიდგომა ამა თუ იმ საკითხის ან პრობლემის მიმართ. მაშინ როცა ერთნი უპირატესობას გადაწყვეტილებათა ერთპიროვნულ მიღებას ანიჭებენ, სხვა ფორმებში მენეჯერები ხელმძღვანელობენ იერარქიულად ქვესაფეხურზე მდგომი პირების შეხედულებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ყოველი ადამიანი ინდივიდუალურად აღიქვამს სოციუმს მის გარშემო. მაგალითად, საგულისხმოა ადამინთა განსხვავებული მიდგმა დროის მიმართ, რაც გავლენას ახდენს მათ ქმედებებზე კომპანიაში. ტრადიციები და ჩვევები ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიის ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისას. მათ შესაძლოა ფირმის ბიზნეს საქმიანობაზე იქონიონ როგორც მსატიმულირებელი, აგრეთვე დამაბრკოლებელი გავლენა. უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციები და ჩვევები გარკვეულწილად ქვეყნისა და ორგანიზაციის ისტორიისა და წარსულის გადმონაშთია. ამიტომ, მათ ღრმად აქვთ ფესვები გადგმული და სწრაფი ცვლილებები ნაკლებსააღებათა. ტრადიციებმა შეიძლება აგრეთვე განაპირობონ პერსონალის სტრუქტურის ფორმირება. მაგალითად, ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყნებში ქალების დასაქმება პრობლემას წარმოადგენს, აგრეთვე არსებობს შემთხვევები, როდესაც მათ ეკარგებათ სატელეფონო ზარებზე პასუხი, უცხო მამაკაცებთან საუბრის რისკის თვიდან აცილების გამო. აღსანიშნავია, ის ფაქტიც რომ დღესდღეისობით მრავალი ორგანიზაცია ებრძვის დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმებს. ზოგიერთ ქვეყანასა და კომპანიას



საკანონმდებლო დონეზეც კი აქვს გაწერილი ქალთა დასაქმების კვოტა. სხვადასხვა ქვეყნებში სამართლებრივ აქტებზე მყარი ტრადიციული შეხედულებებიც შეიძლება აღმოჩნდეს.

როგორც ვხედავთ, ორგანიზაციული კულტურის განხილვა სხვადასხვა კუთხითაა შესაძლებელი. მოცემული საკითხი და მისი პრობლემატურობა მზარდი გლობალიზაციის, ინტერნაციონალიზაციის, კონკურენციისა და ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, ისეთი აქტუალურია, როგორც არასდროს. ეს უნიკალური გზაა, ფორმებისთვის, მოახერხონ საკუთარი პოზიციების გამყარება და პრიორიტეტების მიღწევა შიდა სამზარეულოს ორგანიზებულობისა და ერთსულოვნების ხარჯზე. მეცნიერები, ცდილობდნენ მოცემული საკითხის სიღრმისეულ ანალიზს და თავიანთი მოდელებით გვთავაზობენ შესაძლებლობას თეორიის პრაქტიკაში დანერგვით წარმატებისაკენ გავიკაფოთ გზა. მათ მიერ მიღებული შედეგები, შეიძლება გამოვიყენოთ როგორც გზამკვლევი დინამიკურ ბიზნეს-გარემოში ფუნქციონირებისას. ამის შემდეგ, უკვე შესაძლებელია საკუთარი კომპანიის კულტურის აღწერა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის რასაც

ვხედავთ და გვესმის და არა ის რასაც ვგრძნობთ და ვფიქრობთ.

ასე რომ, მყარი მაღალ მწარმოებლური და მოქნილი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად კორპორაციული კულტურის ფორმირებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თავის მხრივ, ამ პროცესზე დიდ გავლენას ახდენს კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან შესაბამისი ფასეულობების, პრინციპებისა და ტრადიციების ფორმირება. სწორედ ამ მიზნით გამოიყენება ორგანიზაციული კულტურის მოდელები, რომლებიც შემუშავებულია მსოფლიო დონის მეცნიერების მიერ. მათი მიღებული შედეგები, შეიძლება გამოგვადგეს, როგორც გზამკვლევი დინამიკურ ბიზნეს გარემოში ფუნქციონირებისას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გულდასმით უნდა მოხდეს ორგანიზაციული კულტურის თითოეული შემადგენლის განსაზღვრა, მათი სიმყარე ხომ წარმატებული კომპანიის ფორმირების გარანტია. ორგანიზაციული კულტურის რიგი ნაკლოვანებები კიმიუთითებს კომპანიაში მენეჯმენტის სისუსტეზე, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს. ამიტომ, ისინი უნდა გამოვლინდეს და აღმოიფხვრას შესაბამისი ღონისძიებების გატარებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა ნ., „საერთაშორისო მარკეტინგი“, თბ., 2012წ.
2. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, თბ., 2011.
3. ფარესაშვილი ნ., ქეშელაშვილი გ., „ორგანიზაციული ქცევა“, თბ., 2010 წ.
4. ხომერკი. თ., „მენეჯმენტის საფუძვლები“. თბ., 2010.
5. Organizational Behavior, 13th (2013) by Mary Uhl-Bien, Richard N. Osborn, John R. Schermerhorn.
6. <http://panmore.com/toyota-organizational-culture-characteristics-analysis>

Why organizational culture seems to be essential for modern companies?

Rusudan Gurashvili

4th grade student of Faculty of Economics and Business at TSU

Lolita Rurua

4th grade student of Faculty of Economics and Business at TSU

Taking organizational culture into account is essential for setting clear business goals, completing main tasks and becoming successful on the international market. Increasing number of business researches, make us think that the popularity of organizational culture is growing rapidly. In terms of globalization and internationalization, corporate culture seems to be crucial for modern companies. This results in the adaptation to the rising competition, consumers changing preferences and technological progress. The actuality of this issue is determined by these factors.

To conclude, companies should define the main types of corporate culture and its components and then describe and assess their own ones. Problems related to the organizational culture mean that management system is not working properly. It is necessary for firms to raise their awareness about organizational culture, implement it in the daily routine and react to the complex business environment.

ელექტრონული საქმისწარმოება

ლეილა ბიორბობიანი
გლდანის პროფესიული
მომზადების ცენტრის პედაგოგი

როგორც ცნობილია, საქმისწარმოება ადმინისტრაციული მართვის დარგია. მისი ძირითადი ფუნქციაა მართვის დოკუმენტური უზრუნველყოფა.

საქმისწარმოება ორგანიზაციის მიხედვით შეიძლება იყოს:

- ცენტრალიზებული;
- დეცენტრალიზებული;
- შერეული

მის ძირეულ ამოცანებს წარმოადგენს დოკუმენტებზე მუშაობის ფორმირებისა და მეთოდების სრულყოფა, დადგენილი წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად დოკუმენტთა შექმნა-დაარქივება, დოკუმენტბრუნვის შემცირება, დოკუმენტთა ფორმირების უნიფიკაცია და ა.შ.

დაწესებულების მუშაობის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული დოკუმენტბრუნვის ხარისხზე.

ამ მიზნით შეიქმნა საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქაღალდის დოკუმენტების ელექტრონულით ჩანაცვლება და ზოგადად, საქმისწარმოების პროცესის გაუმჯობესება.

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა არის ინოვაციური და პროგრესული პროდუქტი, რომელიც ბიზნეს-პროცესების მაქსიმალურ გამარტივებას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. სისტემა სამსახურებრივი დოკუმენტების ქაღალდის გამოყენებლად მოძრაობის საშუალებას იძლევა. სისტემის მეშვეობით მარტივად ხდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორ-

ინგის პროცესის განხორციელება

შესაბამისად, ყველა მომხმარებელს აქვს საშუალება ხარჯების (საბიუჯეტო) მნიშვნელოვანი დაზოგვის პირობებში გახდეს დოკუმენტაციის ელექტრონული მართვის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი, პროგრესული და მძლავრი პროდუქტის მომხმარებელი.

საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემას ანალოგიურ ელექტრონულ პროდუქტებთან მიმართებაში გააჩნია ისეთი უპირატესობები, როგორც არის:

- დროის და საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი დაზოგვა;
- დავალებების ეფექტური მართვა;
- MS Office- თან სინქრონიზებულობა;
- სამეურნეო ხარჯების შემცირება;
- ავტომატიზებული სკანირება;
- უსაფრთხოების მაღალი ხარისხი;
- მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერა;
- დანერგვის მოქნილი სისტემა

ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების შექმნას, ორგანიზებას, კატალოგიზებას, შენახვას, მოძიებას, გამოყენებას, დაარქივებას, წაშლას, გადაგზავნას, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე ორგანიზაციებს შორის.

ელექტრონული მართვის სისტემა აერთიანებს:

- დოკუმენტბრუნვის მოდულს;
- ადამიანური რესურსების მართვის



მოდულს;

- სამუშაო საათების აღრიცხვის მოდულს;
- საშვების მოდულს
- ინვენტარიზაციის ბარათის მოდულს

დღეისათვის საოფისე დოკუმენტაციის ეფექტური ელექტრონული მართვა და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფი წვდომა არის კრიტიკული საკითხების დროული გამკლავების ერთ-ერთი აღიარებული და მიღებული გზა.

1997 წლიდან საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება უწყებრივი კორპორაციული მართვის საინფორმაციო სისტემის(INMIC) მეშვეობით, სისტემა დაინერგა გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით (UNDP Georgia, CIMs Consulting).

ელექტრონული მმართველობის დანერგვა ორგანიზაციული პროცესების ახლებურად გააზრება მოითხოვდა მოქალაქეთათვის ახალი, გაუმჯობესებული მომსახურების შეთავაზებას შიდა სამსახურებრივი საქმიანობის გამართვისა და მოდერნიზების გარეშე ეს კი შეუძლებელი იყო.

ამ მიზნით, კანცელარიის პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ერთიანი ბაზა, დაიხვეწა საჭირო პროცედურები და ეფექტური გახდა, როგორც თავად კანცელარიის, ასევე მთლიანად დაწესებულებების საქმიანობა.

პროგრამის მეშვეობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქმისწარმოება: ოპერატიულად ხდება სარეგისტრაციო სამსახურში შემოსული წერილების აღრიცხვა, ხელმძღვანელობისათვის დროულად გადაცემა, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გაგზავნა, ინფორმაციის შენახვა, მოძიება, გამარტივდა სტატიხტიკური მონაცემების აღრიცხვა.

2007 წელს ამ საქმეში ნოვატორი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იყო, ხოლო 2010 წლიდან დაიწყო შექმნილი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის დანერგვა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით მრავალ მუნიციპალიტეტში დაინერგა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა საქმის წარმოებისას მინიმუმამდე დაიყვანა საოპერაციო და ადამიანური ხარვეზები, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესი სრულად გამჭვირვალე გახდა.

ლაღ გამჭვირვალე გახდა.

საქმისწარმოების ელექტრონიზაციამ გაამარტივა სამთავრობო უწყებებს შორის ურთიერთობა და ხელი შეუწყო ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარებას.

საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ამოქმედების შემდეგ, უწყებებში ყველა სახის კორესპონდენცია, მათ შორის მოქალაქეთა განცხადებები, ელექტრონულად იგზავნება, რაც ადრესატამდე დოკუმენტების ოპერატიულად მიწოდებას მათ დამუშავებას, რეაგირებას და კონტროლს მნიშვნელოვნად ამარტივებს.

გარდა ამისა, ნებისმიერ მოქალაქეს მიეცა შესაძლებლობა საქმისწარმოების პროგრამის მეშვეობით სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად ელექტრონულად გაგზავნოს და მიიღოს ინფორმაცია, რომელზედაც დადგენილია მომსახურების საფასური.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის მოხსნილია ტერიტორიული შეზღუდვა და შესაძლებელია ნებისმიერ ინფორმაციის მიღება მთელი ქვეყნის მასშტაბით, კონკრეტულ ქალაქსა თუ რაიონში ჩაუსვლელად და იგი რეგულირდება მოქმედი კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ელექტრონული დოკუმენტი – ეს არის ელექტრონული, ოპტიკური და სხვა მსგავსი დოკუმენტების დამუშავება შექმნილი, გაგზავნილი ან შენახული წერილობითი ინფორმაციაა.

ელექტრონული დოკუმენტის ადრესატი არის პირი, რომელიც განსაზღვრულია ელექტრონული დოკუმენტების მიმღებად.

ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნა, მიღება - თუ მხარეთა შეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტები ითვლება გზავნილად იმ მომენტიდან, როდესაც ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტი გადის ხელმოწერის კონტროლის არედას და მისი უკან გამოწვევა შეუძლებელია, ხოლო მიღებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დოკუმენტი შედის ადრესატის საინფორმაციო სისტემაში და ხელმისაწვდომია მისთვის.

ელექტრონული დოკუმენტი, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ელექტრონული ხელმოწერის საჭიროება, გაგზავნისა და მიღების სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

ნებისმიერი საინფორმაციო სისტემიდან გამოთხოვილ ელექტრონულ დოკუმენტს აქვს იურიდიული ძალა. ეს სისტემა უზრუნველყოფს

ელექტრონული დოკუმენტის დადასტურებას ავტომატურ რეჟიმში. თუ საინფორმაციო სისტემის დასტური დაკავშირებულია ციფრულ ხელმოწერასთან ის უნდა განხორციელდეს ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ელექტრონული დოკუმენტების გაყალბება ან სხვა სახის სამართლებრივი დარღვევები ელექტრონულ დოკუმენტებთან დაკავშირებით გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ისე, როგორც მატერიალური წერილობითი დოკუმენტის შემთხვევაში.

შესაძლებელი გახდა ელექტრონული ხელმოწერა – ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილი მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმომწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსადგენად.

ელექტრონული დოკუმენტის ელექტრონული ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. თუ ციფრული ხელმოწერის მომენტში დოკუმენტზე ხელმოწერა განხორციელებულია მოქმედ სერტიფიკატში (მოწმობაში) მითითებული მონაცემების შესაბამისად და შესაძლებელია ციფრული ხელმოწერის ნამდვილობა და დადასტურება.

კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სერთიფიკატის საფუძველზე შექმნილი ციფრული ხელმოწერით დამოწმებული ან დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა მოითხოვს დოკუმენტის მატერიალურ ფორმას.

არ შეიძლება ელექტრონული ვერსიის გამოყენება:

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლზე (ვალის არსებობის აღიარება და ის უნდა იყოს წერილობითი); 892-ე მუხლი -თავდებობა; 194-ე მუხლის სამისდღემშიო ვალდებულება;

1357-ე მუხლი-ანდერძი. ყველა ზემოთ აღნიშნული მუხლი უნდა იყოს წერილობითი ფორმის.

ელექტრონული დოკუმენტის მატერიალურ ფორმაში გადაყვანის დროს მისი დამოწმება ან/და დადასტურება ხდება ხელმოწერის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

ამრიგად, საქმისწარმოების ელექტრონული წარმოება არის ეფექტური და ვიმედოვნებ, რომ ის მალე დაინერგება საქართველოს ყველა დაწესებულებებსა და საწარმოებში.



საოფისე კულტურა და ეტიკეტი სკოლაში
(ერთი ექსპერიმენტის შესახებ)

ანა მურაჩაშვილი,
მრავალპროფილიანი
საერო სკოლის („დეა“)
დირექტორის მოადგილე

განათლების თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, ზოგადი განათლების მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. თუმცა, მხოლოდ განათლება არაა საკმარისი ქვეყნის სრულფასოვანი წევრთა აღსაზრდელად, ამასთანავე, აუცილებელია მათი კულტურული განვითარება, იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ადგილზე მოქცევის, ადამიანებთან და, ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

პროფესიულ კოლეჯებში, სხვადასხვა პროფილის სტუდენტებში დიდი ხანია იკითხება ლექციები საქმიანი ურთიერთობის კულტურის, ეტიკეტის, პროფესიული ეთიკის საკითხებზე. ტარდება საქმიანი თამაშები, ტრენინგები შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

პედაგოგების აზრით, ისეთი ფაქტიზი საკითხების შესწავლა, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება მენტალობას, აღზრდას, 17-23 წლის ასაკის სტუდენტებისათვის დაგვიანებულია.

სკოლის („შპს „დეა“) დირექტორი ვერა ყურულაშვილი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა ქცევის კულტურას, ეთიკურ აღზრდას. ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ მან, როგორც მე-13 საჯარო სკოლის დირექტორმა, ამ მიზნით მოიწვია ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორი რ. მაისურაძე, რომელიც ცნობილი მოსკოველი მეცნიერის ა. შემშურინას მეთოდით ტრენინგებს უტარებდა მოსწავლეებს.

2013/2014 სასწავლო წელს, ამჯერად უკვე სკოლა „დეაში“, ექსპერიმენტის სახით (საზოგადოებრივ საწყისებზე), განახლდა აღნიშნული საკითხების სწავლება. ამ ექსპერიმენტის წინაპირობა იყო ჯერ კიდევ 1978 წელს ჟიული შარტაგას ინიციატივით ქ. ქუთაისში ჩატარებული ნიჭიერ მოსწავლეთა „მცირე აკადემიის“ პირველი №1(40), 2016 წელი, year

ლი საზაფხულო სკოლა-ბანაკი, რომლის ხელმძღვანელი (სასწავლო ნაწილის გამგე) გახლდათ მაშინ ახალგაზრდა მეცნიერი, ომარ შუდრა. სკოლა-ბანაკის მართვაში, როგორც ჯგუფის უფროსი, ჩართული იყო ვერა ყურულაშვილიც (მაშინ თსუ-ის მე-3 კურსის სტუდენტი). საზაფხულო ბანაკების მოწეობა ტრადიციად იქცა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ათიოდე წლის განმავლობაში ტარდებოდა. ტერმინი „მცირე აკადემია“ კი დღემდე „მოდურია“ დედაქალაქის სასწავლო დაწესებულებებში.

ომარ შუდრა (ამჟამად სკოლის მეცნიერ-კონსულტანტი), წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, ატარებდა ტრენინგებს პროფესიულ კოლეჯებში, არის სახელმძღვანელოს, აგრეთვე, რამდენიმე წიგნის ავტორი აღზრდის საკითხებზე. ჩვენი ექსპერიმენტისთვის საჭირო იყო, პირველ რიგში, კლასის შერჩევა (ასაკის დადგენა). მაღალ კლასებში, სადაც მოსწავლეთა მთელი ყურადღება და დრო უმაღლესი სასწავლებლისკენ იყო მიმართული, დამატებითი საგნების სწავლებას აზრი არ ჰქონდა. მოისინჯა ასაკის „ქვედა ზღვარიც“. მეოთხე-მეხუთე კლასის მოსწავლეების ძირითადი ბირთვი, ჩვენს რეალობაში (თუნდაც აშშ სკოლებისგან განსხვავებით, სადაც შესვენებაზე ბავშვები გაცილებით ნაკლებს ხმაურობენ), ამისთვის მოუმწიფებელი აღმოჩნდა. ამრიგად, ოპტიმალურად მივიჩნიეთ VI-VII კლასების ასაკობრივი ჯგუფები. ამ კლასებიდან, მოსწავლეთა „გაფილტვრის“ შემდეგ, ჩამოყალიბდა გაერთიანებული „სპეცჯგუფი“, რომელსაც კვირაში ერთხელ ორსაათიანი ლექცია-სემინარები უტარდებოდა. გარდა ამისა, ორ კვირაში ერთხელ სკოლაში მოდიოდნენ თსუ-ის კვალიფიციური ლექტორები (მეცნიერებათა დოქტორები), რომლებიც კითხულობდნენ ლექციებს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა საკითხ-

ახალი ეპოქისთვის THE NEW ECONOMIST

ებზე (რ. გახოკიძე, შ. შოშიაშვილი, გ. ნიკობაძე, ა. ჭოლოშვილი და სხვ.). მოსწავლეების გარდა, დისკუსიებში ჩართული იყვნენ პედაგოგებიც. ფაქტობრივად, ჩვენ მხოლოდ აღვადგინეთ 70-იან წლებში ფართოდ გავრცელებული ღოზუნგი - „მეცნიერები – სკოლას“.

თეორიულ ლექციას კარგად ავსებდა სპეციალური პროგრამით დაგეგმილი „გასვლითი პრაქტიკები“. პრაქტიკის ობიექტებზე მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის ჯგუფს დაენიშნა პედაგოგ-კურატორი, გამოიყო მიკროავტობუსი.

საინტერესოა პრაქტიკის ობიექტების არასრული ჩამონათვალი: სასტუმრო „რადისონ-ივერიას“ ბიზნეს-მოლაპარაკებების ოთახები, თსუ-ის სამკითხველოები, გამოფენები და კანცელარია, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საცავი, კატალოგები (მოსწავლეთა ჩაწერით), ხელნაწერთა ინსტიტუტი, თავისუფალი უნივერსიტეტის რობოტ-ტექნიკის კაბინეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივი, გამოფენები, პრეზიდენტის სამდივნო და კაბინეტი, საქართველოს ეროვნული არქივის საცავები, სასტუმრო „მეტეხი“, მამადავითის პანთეონი და სხვ.

მომავალი ოფის-მენეჯერები და მცირე ბიზნესის მმართველები, იღებდნენ კულტურულ, აკადემიურ გარემოში ქცევის უნარ-ჩვევებს, იფართოვებდნენ თვალსაწიერს, ეცნობოდნენ ქალაქის გეოგრაფიას, ჯგუფური მოძრაობის წესრიგს. ამასთანავე, ჯგუფხელები („მორიგეები“), რომლებიც ყოველ ობიექტზე იცვლებოდნენ, ითვისებდნენ ორგანიზაციული მუშაობის ჩვევებს.

ტრადიციული სასკოლო ექსკურსიებისგან განსხვავებით (სადაც აქცენტი, ძირითადად, გართობასა და „დროსტარებაზეა“ გადატანილი), ჩვენ მიერ დანერგილი პრაქტიკა მკაცრ „საქმიან თამაშში“ (ტრენინგში), იყო მოქცეული, ტრანსპორტში ჩასხდომიდან და უკან დაბრუნებით დამთავრებული. სკოლაში, მორიგ შეხვედრაზე ტარდებოდა პრაქტიკის ანალიზი, მოსწავლეთა შეცდომების ფიქსაცია, და რაც მთავარია, მოსწავლეებს თავიანთ გამოსვლებში ევალუბრდით ობიექტის პერსონალის შეცდომების გაანალიზება მომსახურების კულტურის ასპექტში. ამ განხილვებს ჩვენ დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ვანიჭებდით: „საქმიანი თამაშის“ წესების დამრღვევნი ისჯებოდნენ პრაქტიკიდან დროებით მოხსნით.

ექსპერიმენტული ჯგუფის მუშაობა, ბუნე-

ბრივია, მთელი სკოლის კოლექტივის ყურადღების ცენტრში იყო (ბეიჯები, საორგანიზაციო წარწერები, მორიგეები და სხვ.), ამიტომ, როგორც პრაქტიკის დასრულების შემდეგ გამოითქვა აზრი, მეტი მოწესრიგებულობა იგრძნობოდა : მასწავლებლოში, ბუფეტში, სკოლის დერეფანში და სხვ.

ჯგუფის სემინარებზე დიდი ყურადღება ექცეოდა ვარჯიშს მიმოხილვითი ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული სტატიების წერის კულტურაში, ტექსტის კორექტურას და სტილისტიკას. რამდენიმე მოსწავლემ გამოაქვეყნა სტატია (ზოგიერთმა – ოთხიც კი) ჟურნალის ამავე რუბრიკაში. უჩვეულოა, რომ მოსწავლეები წერდნენ და რედაქციას სტატიებს უგზავნიდნენ ელექტრონული ფოსტით, პრაქტიკულად, სრულიად დამოუკიდებლად.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში ასწავლიან საბუნებისმეტყველო საგნებს, ჩვენს რეალობაში მოსწავლეები სრულიად მოუმზადებელი არიან პრაქტიკული ცხოვრებისათვის. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, 25-30 წლის ახალგაზრდას, უკვე ოჯახის უფროსს, „ნათურაც ვერ გამოუცვლია“ ბინაში, მაშინ, როცა 60-იან წლებში „პოლიტექნიკური განათლების კაბინეტები“ სკოლებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ამიტომ, სკოლის ტრადიციულად ბნელ, მიუწესრიგებელ საწყობს, მოსწავლეთა დახმარებით „ვეროპული“ სახე მივეცით (ყოველი თაროს მარკირებით). ის, ფაქტობრივად, გადაკეთდა „ტექნიკურ ლაბორატორიად“, სადაც მოსწავლეები ელექტრონიკის, სანტექნიკისა და სხვა მოწყობილობებთან მუშაობის უნარ-ჩვევებს იღებდნენ.

სამწუხაროდ, სკოლის მოულოდნელად ახალ მისამართზე გადასვლამ ეს ექსპერიმენტი შეაჩერა.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ, სკოლის დირექციამ გადაწყვიტა, განაახლოს ექსპერიმენტი არსებული გამოცდილებისა და სიძნელების გათვალისწინებით, კრეატიული, ლოგიკური აზროვნების გაკვეთილების დამატებით, რადგან თვლის, რომ მხოლოდ ასეთი მეთოდებითა და ხერხებითაა შესაძლებელი იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რომლებიც მოსწავლეთა კულტურულ აღზრდას ახლავს. ამასთანავე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ მსგავსი ექსპერიმენტები ჩატარდეს ქალაქის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რათა აღვზარდოთ ქვეყნისთვის მისაღები მამულიშვილები.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ქართული მიწის სიღრმიდან ჩვენი უძველესი წინაპრების მიერ შექმნილი კულტურული ძეგლები მზის სინათლეზე.

სიმონ ზაქარაია
ჟურნალისტი

უკანასკნელ ხანებში ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდება საინტერესო ცნობები არქეოლოგიური გათხრების შესახებ, რომელიც მიმდინარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთში.

სწორედ ამ საინტერესო არქეოლოგიური გათხრების დასათვალისწინებლად 2015 წლის 23 აგვისტოს ვეწვიეთ მეგობრები - ცნობილი მკვლევარი A კლასის ხაზოვანი და „ფესტოსის დისკოს“ წარწერების გამშიფრავი გია კვაშილავა, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი ლოიდ ქარჩავა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი სიმონ ზაქარაია, „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი ვანო პაპავა.

იდგაშშრალი მზიანი ამინდი. სანამ ჩვენი ჯგუფი უშუალოდ გათხრების მიმდინარეობის ადგილებს დავათვალისწინებდით, მანამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო სპეციალურად დამთვალისწინებულათვის ტერიტორიაზე შესასვლელი გზის გასწვრივ რკინის ორი მეტრის სიმაღლის ბოძებზე ლამაზად გაკრულმა საინფორმაციო აბრებმა, რომელზედაც გაკეთებულია წარწერები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე აბრებზე აღბეჭდილია სხვადასხვა ეპოქის ნივთებისა და იარაღ-ხელსაწყოების ფერადი სურათები, რომლებიც აქ იქნა აღმოჩენილი. აი, რას ვკითხულობთ პირველ აბრებზე: „გრაკლიანი გორა არის მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი,

სადაც აღმოჩენილია 11 სხვადასხვა პერიოდის კულტურული ნაშთები ქვის ხანიდან, ვიდრე ანტიკურ ხანამდე. განსაკუთრებით კარგად არის შემონახული ძვ.წ. II – I ათასწლეულების ნაშთები. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არქეოლოგიური ძეგლის უმცირესი ნაწილია გათხრილი, უკვე აღმოჩენილია დიდი რაოდენობით კერამიკული, რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ნაწარმი... და შემდეგ - ადგილობრივ ნახელავთან ერთად მოპოვებულია ძველი სამყაროს ცივილიზაციის ცენტრებში (მესოპოტამია, ირანი, საბერძნეთი, ეგვიპტე) დამზადებული ნივთები.“ ბოლო აბრებზე ვკითხულობთ: „არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფესორ ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით“.

სრულიად ნათელია, რომ აბრებზე ისეთი ორიენტირებული საინფორმაციო წარწერებია გაკეთებული არქეოლოგიური კვლევების მიმდინარეობის დასათვალისწინებლად მოსულ, როგორც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, ასევე ტურისტული ჯგუფებისათვის, რომელიც მომავალში საკმაოდ ბევრი ეყოლება ამ ისტორიულად საინტერესო ობიექტს.

სხალი ეპონონისა THE NEW ECONOMIST



მარცხნიდან მარჯვნივ:

ვახტანგ ლიჩელი

„გრაკლიანი გორას“ არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გია კვაშილავა

A კლასის ხაზოვანი და „ფესტოსის დისკოს“ წარწერების გამშიფრავი;

ლოიდ ქარჩავა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი.

სწორედ ასეთი საყურადღებო ცნობებით გაჯერებულები მივედით სამუშაო მსვლელობის ადგილზე, სადაც დაგვხვდა არქეოლოგ-რესტავრატორი მერაბ კასრაძე, მხატვარ-კერამიკოსი თამარ ფირცხალაიშვილი, ახალგაზრდა არქეოლოგი სულიკო კოხრეიძე, რამდენიმე წუთში მობრძანდა არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი. ბატონების ვახტანგ ლიჩელისა და გია კვაშილავას შორის გაიმართა მეტად საინტერესო საუბრები, როგორც ზოგადად თანამედროვე არქეოლოგიურ კვლევების მიღწევებზე, ასევე კონკრეტულად „გრაკლიანი გორას“ ტერიტორიაზე დღემდე ჩართარებული გამოკვლევების მიმდინარეობაზე.

ცოტა რამ საკვლევ ტერიტორიის შესახებ

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საარქეოლოგო ტერიტორია მდებარეობს კასპის რაიონ სოფ. იგოეთში, მდინარე ლეხურას მარჯვენა სანაპიროზე. ობიექტის ფართობი ფერდობია და მდინარისკენ 30, 35⁰-თაა დახრილი. თბილისიდან დაშორებულია 25-30 კმ- ით. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჩვენი შორეული წინაპრების მიერ ეს ადგილი

მეტად გონივრულადაა შერჩეული დასახლებული პუნქტებისა და ქალაქის გასაშენებლად. „ეს ტერიტორია დილიდან სადამომდე, ზამთარ-ზაფხულ მზის სხივებითაა განათებული.“ - თქვა ბატონმა ვახტანგმა. ადგილი არა აქვს წყლის დგომას, ფერდობი სამხრეთის მხარეა ამიტომ ის დაცულია ძლიერი ქარებისაგან, გვერდით ჩაუდის მთის კამკამა, ამ ნახევრად უდაბნოს მაცოცხლებელი მდინარე ლეხურა, რაც განაპირობებს მოსახლეობის შემოქმედებით ცხოვრებას ყოველ ეპოქაში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საარქეოლოგო ტერიტორიას „გრაკლიან გორას“ უწოდებენ, რაც მის ისტორიულ სახელწოდებას არ წარმოადგენს, როგორც ბატონმა ვ. ლიჩელმა გვითხრა, მთელ ამ ფერდობზე ბუნებრივად გავრცელებულია ნახევრად უდაბნოს ბუჩქოვანი მცენარე გრაკლი (S p i r e a), რომელიც მთელი ზაფხულის უნაღვეო პერიოდშიც მეტნაკლები ინტენსივობით არ სწყვეტს ვეგეტაციას. უნდა აღინიშნოს ამ მცენარეების დადებითი მნიშვნელობა, მისი ფუნჯა ფესვები, რომელიც დიდ სიღრმეზე ვითარდება ნიადაგში, კრავს მის ზედაპირს და იცავს მას წვიმისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან. სწორედ ამ ენდემური მცენარის სიხშირის გამო შევარქვით ტერიტორიას „გრაკლიანი გორა“ - თქვა ბატონმა ვახტანგმა .



არქეოლოგ-რესტავრატორი მერაბ კასრაძე ჟურნალისტ სიმონ ზაქარაიას უხსნის და ესაუბრება გათხრების დროს აღმოჩენილ ისტორიულ ძეგლებზე.

ისტორიული ადგილის აღმოჩენა 10-15 წლის წინ გაკეთდა „გრაკლიანი გორას“ ქვედა მხარეს გამავალი ცენტრალური საავტომობილო ტრასის გაღრმავება-გაფართოება, რომლის დროსაც მოულოდნელად გაშიშვლდა რამდენიმე ისტორიული ძეგლების ცალკეული ფრაგმენტები, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა არქეოლოგიური გათხრების წარმართვის აუცილებლობა ამ ტერიტორიაზე. საინტერესოა

ისიც, რომ აღნიშნულ ფართობზე არქეოლოგიური გათხრების წარმოებისას, ქვიანი გრუნტის შრეები მიწის სიღრმეში შემჩნეული არ ყოფილა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ საარქეოლოგო ტერიტორიის მთელს სიღრმეზე, ტრასის გაყვანის დროს, ფერდობზე მიწის ჩამოჭრისას წარმოშობილი ათი და ზოგან თხუთმეტი მეტრის სიმაღლის კედლებზე ქვიანი გრუნტის ფენა, მიწის მთხრელებს არსად არ შეხვედრიათ. რა თქმა უნდა, ასეთი რბილი

ნიადაგობრივი პირობები არ ზღუდავს გათხრების ნორმალურ მიმდინარეობას სხვადასხვა სიღრმეზე.

ჩვენი შთაბეჭდილებები

არქეოლოგმა მერაბ კასრაძემ პირველად გვაჩვენა ნეოლითური და ენეოლითური ეპოქის ქვის, ძვლის და ბრინჯაოს იარაღ-ხელსაწყოები. ასეთი უძველესი ხანის იარაღ-ხელსაწყოების მიწის ქვეშ აღმოჩენა მიუთითებს იმაზე, რომ ამ ტერიტორიაზე ადამიანის კვალი მილიონი წლის წინათ ფიქსირდება -- თქვა მერაბ კასრაძემ.

შემდეგ ბატონმა მერაბმა დაგვათვალისწინა მიცვალებულთა სამარხები, რომლებიც მიეკუთვნება ეპოქალურად მეტად დაშორებულ პერიოდებს. მათ შორის პირველი მათგანი დათარიღებულია ძვ. წ. IV ათასწლეულით, მისი ჩონჩხი კარგადაა შენარჩუნებული, ცალკეული ძვლების ნარჩენები

მის უტყუარობას ამტკიცებს. მომდევნო სამარხი ეკუთვნის ძვ. წ. XII-XI საუკუნეებს, სადაც აშკარად ჩანს თავის ქალა და ძვლის სხვა ნაწილებიც. მომდევნო სამარხები დათარიღებულია ძვ. წ. VIII-VII სს. აქაც შენარჩუნებულია თავის ქალა, და ძვლის სხვა ნაწილებიც. ზემოთ ჩამოთვლილ სამარხებთან შედარებით უკეთესადაა შენარჩუნებული ძვ. წ. V-IV სს. მიცვალებულთა ნარჩენები. აქ თავის ქალასთან ერთად კარგად ჩანს ლავიწის ძვლებიც. ბოლოს, ახალგაზრდა არქეოლოგმა სულიკო კობრიძემ გვიჩვენა ძვ. წ. IV საუკუნის სამარხი, რომელმაც ყოველი ჩვენგანი გაანცვიფრა. თუ ძვ. წ. IV საუკუნეს მიუმატებთ ჩვ. წ. აღრიცხვიდან 2000 წელს, მაშინ მიცვალებულის ჩონჩხი მიწაში 2400 წელია დაფლული. როგორც ს. კობრიძემ გვითხრა აღნიშნული მიცვალებულის ჩონჩხი სავარაუდოდ ახალგაზრდა ქალისაა.



ძვ.წ. IV ათასწლეული
4th Mill BC



ძვ.წ. XII-XI საუკუნეები
12th -11th cc BC



ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები
8th -7th cc BC



ძვ.წ. V-IV საუკუნეები
5th -4th cc BC



ძვ. წ. IV საუკუნის საბარხი
4th c BC Grave


მისი თავის ქალის ძვლის ზედა და ქვედა ყბის ძვლები, თავისი კბილებით დაუშლელადაა შენარჩუნებული. უფრო მეტიც ზედა ყბის კბილებს თეთრი ფერიც შენარჩუნებული აქვს. როგორც გვითხრეს მიცვალებული ჩასვენებული იყო თიხის ჭურჭელში ანუ ქვევრში. აქ მკითხველს გვინდა ჩვენი მოსაზრებამივარაუდოთ იმის შესახებ, თურატომარის შენარჩუნებული თასწლეულების განმავლობაში მიცვალებულის ძვლების ანარჩენები. პირველ რიგში, როგორც მიცვალებულის ანარჩენების, ასევე სხვადასხვა ისტორიული ძეგლებისა და ნივთების შენარჩუნებას განსაზღვრავს ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და მისი ჰაერმშრალი მდგომარეობა. ამას განაპირობებს ამ ზონაში მოსული ატმოსფერული ნალექების უმნიშვნელო რაოდენობა. (200 მმ-ზე ნაკლები). მით უფრო, როცა

ტერიტორია 30-35^o არის დახრილი მდინარისაკენ, ამდენად წყლის დგომას ადგილი არა აქვს. ამასთან ერთად ჩანს, რომ ნიადაგის ფიზიკური შემადგენლობა არის წვრილკომპოვანი, რაც მას ძლიერ შეკავშირებულს ხდის. ასეთი მკვრივი ნიადაგი ხდება ჰაერისაგან გაიშვიათებული და იქმნება უჟანგბადო სივრცე, სადაც მხოლოდ და მხოლოდ აღწევენ და ცხოველმოქმედებენ ანაერობული-საპროფიტი ვირუსები და სოკოები, მათ სუბსტრატს წარმოადგენს გახრწნილი მცენარეული, ცხოველური და მიცვალებულ ადამიანის ორგანიზმები. ხოლო აგრესიული ბაქტერიები და ვირუსები ანუ უწვრილესი მიკროორგანიზმები, რომლების აავადებენ და შლიან ყოველ ცოცხალ ორგანიზმს, როგორც რბილს, ასევე ძვლებს ცხოველმოქმედებისათვის

საუცილებელია უპირველეს ყოვლისა ჟანგბადი, სითბო, სინოტივე, და სხვ. რა თქმა უნდა ასეთი ბუნებრივი და ხელოვნური პირობები არ შეიძლება იყოს მუდმივად შერწყმული და შეკავშირებული მიწის სიღრმეში, რაც განაპირობებს მის სიღრმეში დაფლული მკვდარი ცხოველების, და მიცვალებული ადამიანების ძვლის სეგმენტების შენარჩუნებას საუკუნეების განმავლობაში.

აღმოჩენილი ფასეულობათა შორის საინტერესოა ძვ. წ. V-IV საუკუნეების „საკრალური ღუმელების“ აღმოჩენა, რომლებიც კარგადაა შემონახული მიწის სიღრმეში. ეს ღუმელები, გვითხრეს არქეოლოგებმა გამოიყენებოდა გაბატონებული ღვთაებებისათვის სხვადასხვა სახის საკურთხის, შესაწირის, კერძების დასამზადებლად, (ზოგიერთი მათგანი რსტავრირებულია).

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST




საკრალური ღუმელი, ძვ. წ. V-IV საუკუნეები
Sacral oven, 5th-4th cc BC

ერთ-ერთი ღუმელის მარჯვენა ზედა კუთხეში ამოტვიფრული იყო ნაყოფიერების სიმბოლო - ფალოსი. იგი უხსოვარ წარსულშივე წარმოადგენდა ნაყოფიერების სიმბოლოს - წერს აკაკი გელოვანი (ჭკადუა). ფალოსის კულტი ჩვენშიც ისევე ძლიერი იყო, როგორც სხვა ქვეყნებში. ფალოსის კულტი ბატონობდა ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, სპარსეთსა და სხვ. მაგალითად, ფალოსის ბრინჯაოს ქანდაკი აღმოჩენილია ბაღდათის რ-ნ სოფ. ზეკარში,

ასეთივე სარიტუალო ქვის გამოსახულებებია აღმოჩენილი სვანეთში. ერთი ასეთივე ქანდაკი აღმოაჩინა სერგი მაკალათიამ სამეგრელოში - სოფ. მუჟალში, ყველა ისინი ინახება საქ. მუზეუმებში. საკრალური ღუმელის გარე კედელზე აღბეჭდილი ფალოსი მიუთითებს, იმას, რომ ძვ. წ. V- IV საუკუნეებში საქართველოშიც ფალოსის კულტი იყო გაბატონებული.



ძვ.წ. V-IV საუკუნეების ადგილობრივი წარმოების კერამიკა
Local made pottery of 5th-4th cc BC



„გრაკლიან გორაზე“ აღმოჩენილია აგრეთვე მე-13, მე-11 სს. სამეურნეო და საომარი მნიშვნელობის ბრინჯაოს იარაღები, მათ შორისაა ბრინჯაოს სატევარი. ჩვენ გრაკლიანის სატევარი შევადარეთ მე-20 საუკუნის მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევარს, რომელიც აღბეჭდილია „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში (თბ. 1948). ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს, თუმცა რაა ამაში გასაკვირი - ეს ისტორიული ძეგლები ერთმანეთისაგან 2 ათეული კილომეტრითაა დაშორებული.

წარმატებებს ვუსურვებთ „გრაკლიანი გორას“ არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციას.



ახალი ეპოქისთვის THE NEW ECONOMIST



მაია კიკაბიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

2015 წელს აკაკის გარდაცვალებიდან 100 წელი გავიდა. სტატიის მიზანია, ჯეროვანი პატივი მივაგოთ აკაკის, არა მარტო როგორც დიდ პოეტს, არამედ როგორც დიდ საზოგადო მოღვაწეს და ბრწყინვალე პოლიტიკოსს, რომელმაც ყველაფერი შეწირა საქართველოსა და ქართველ ხალხს. რომელმაც ილიასთან და სხვა სამოციანელებთან ერთად შეცვალა და ჩამოაყალიბა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება, და განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული განვითარების მთავარი ხაზი.

მერაბ მამარდაშვილი ეგზისტენციალურ პრობლემებზე მსჯელობისას წერს – ხშირად და გულთან ახლოს მიტანით უნდა შევიგრძნოთ ჯვარცმის მისტერია იმისთვის, რომ წუთითაც არ დავივიწყოთ კაცობრიული ცოდვა, რათა ადამიანური სახის დაკარგვის საფრთხის წინაშე არ აღმოვჩნდეთ. ასეთივე საფრთხის შემცველია ჩვენი მომავლისათვის თავგანწირული დიდი ქართველების ღვაწლის სათანადოდ არ შეგრძნობა. თითოეულმა ჩვენთაგანმა, ძალზე ხშირად, მთელი არსებით უნდა შევიგრძნოთ საქართველოსთვის მძიმე ჯვარზე გაკრული მამულიშვილების ცხოვრება და მოღვაწეობა, რათა ქართველობის დაკარგვის საფრთხის წინაშე არ აღმოვჩნდეთ. გრიგოლ რობაქიძე ერთ წერილში წერს, საქართველოს მომავალი აკაკის შეცნობაზეა დამოკიდებული. სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი დაიწერა და ითქვა აკაკიზე. მიუხედავად ასეთი აღიარებისა და შესწავლისა, აკაკის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ საფუძვლიან კვლევას მოითხოვს რათა, უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას ქართველი ხალხის ამ დიდ შვილსა და იმდროინდელი საქართველოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურაზე.

ქრისტიანულ იდეებს შორის მსხვერპლშეწირვის იდეა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. “ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, მისცა ძე თვისი მხოლოდშობილი” (იოან. 3-6). რელიგიასთან ზიარებით ადამიანი ადგება სიყვარულის გზას,

იოანე ღვთისმეტყველის სიტყვები – “ღმერთი სიყვარულია”, “გიყვარდეთ ერთიერთას” ან სიტყვები მათეს სახარებიდან: “გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკუთხევდი მწყევართა თქვენთა და კეთილი უყავთ მოძულეთა თქვენთა და ულოცვედით მათ, რომელნი გმძლავრობდნენ თქვენ და გღვენიდნენ თქვენ (მათე 5.43.44) ან “შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი”-(მათე 22, 36-39), ის მცნებანია, რომელნიც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედისა და მოღვაწის ცხოვრების აუცილებელ პირობადაა ქცეული.

ქრისტესმიერი სიყვარულია სწორედ ის ძირითადი საფუძველი, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელია აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულყოფილი გააზრება, რადგან სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტი სიყვარულიდან გამომდინარე, სწორედ ეროვნული იდეალებისათვის თავდადებისა და მსხვერპლადშეწირვის კეთილშობილური იდეა ასაზრდოებს მთელ მის ცხოვრებას და შემოქმედებას.

ღმერთი მსხვერპლს კი არა, სიყვარულს მოითხოვს, ამბობს ჰეგელი. დიდი მოაზროვნის ეს სიტყვები, შეიძლება შემდგენიარადაც გავიზაროთ: არ არსებობს სიყვარული მსხვერპლის გარეშე. აქედან გამომდინარე, მსხვერპლის გაღებას, როგორც სიყვარულზე დაშენებულ უზენაეს გამირობას უპირველესი ადგილი უჭირავს აკაკის ცნობიერებაში და მისთვის აპრიორად მიღებული ჭეშმარიტებაა წუთისოფელში მოვლინების გასამართლებლად. აი, რას წერს იგი: „მწერლ-

ისტოვის აუცილებელია თავის თავს ისე უყურებდეს, როგორც ხალხის მოძღვარს. პირადობა უნდა შესწიროს საზოგადოს და მზად უნდა იყოს, რომ გაჭირვება და უსამართლობა აიტანოს“.

“ბედნიერება სიყვარულისგან მომდინარეობს, რაც მეტ სიყვარულს გასცემს ადამიანი მით უფრო მეტად ივსება ამ გრძნობით, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ ის კი არ უნდა გვიყვარდეს, ვისაც ჩვენ ვუყვარვართ, არამედ ყველა”. აკაკი სიყვარულს უსაზღვრო რაოდენობით გასცემდა, მან კარგად უწყოდა, რომ ეს იყო გზა, რომელსაც ადამიანი ზეცამდე მიჰყავდა და ქრისტეს მიმბაძველად და უფლის დარად ხდიდა:

“და ახლა მეც ვგრძნობ, საიდუმლოდ ვცნობ, რომ არის კაცში ღვთისა ხატება რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა? [...] შენ სიყვარულო ცისა და ქვეყნის კავშირო და თან შუამავალო.”

რა იყო ბედნიერება აკაკისათვის? მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს სამსახური. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, დაუმთავრებელ რომანში “იმერლები” წერს: “ყმაწვილებო, თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ რას ემსგავსება დღეს ჩვენი სამშობლო [...] ჩვენ უნდა წინდაწინ გადავიწყვიტოთ და მოვიმზადოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ! [...] ვიღვაწოთ მამულის გულისათვის, ვიყოთ მსხვერპლი ჩვენის სამშობლოს კეთილდღეობისა.” დიას, აკაკისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება სამშობლოსათვის თავგანწირვაა, ამიტომ იყო მსხვერპლის გაღებას უდიდეს ნეტარებად რომ მიიჩნევდა:

“ის გზა მიგვიყვანს ჩვენ იმ ტაძრამდე, სადაც არს ჩვენი “წმინდათა - წმინდა”, და მის კარზედ რომ ტვინი მივასხათ, სხვა ნეტარება ჩვენ რაღა გვინდა.”

“არავინ ეძებოს თავისი სასარგებლო არამედ – სხვისი”. აკაკის მთელი ცხოვრება ამ სიტყვების გამართლებაა, ჭეშმარიტად დიდი და კეთილშობილი, პატარა გაზეთის რეპორტიორივით ცხოვრობდა“. არასოდეს მიიღწვოდა პირადი კეთილდღეობისკენ, არ ეტანებოდა არც ერთ დიდებას ამასოფლისას, თუმცა ყოველთვის იყო ფართო მაშტაბის საზოგადო მოღვაწე, ყველაფერი გაწირა საქართველოსა და ქართველი ხალხის კეთილი მომავლისთვის, დიდბუნებოვანი, სიკეთით სავსე –

”მუდამ უანგარო იყო, ვერცხლის არმოყვარული; რაც ეკუთვნოდა ხშირად იმასაც ვერ იღებდა, [...] და თუ ჰქონდა რამე, არავისთვის არაფერს იშურებდა, ამიტომ იყო მუდამ ჯიბე ცარიელი”.

“ერთნი გიყვარდეს და მეორე გძულდეს, არა არის სრულყოფილება, სრულყოფილება არის ყველა გიყვარდეს”. ამ სიტყვების გაგების საზღვარი უკიდევანოა აკაკის შემოქმედებაში, მთელი ცხოვრება ამ მორალით ცხოვრობდა და სრულყოფილებას ნაზიარები, სიყვარულით ავსებდა და დღესაც ავსებს ყველას და ყველაფერს:

“ვინც რომ მიყვარს ის ხომ მიყვარს, ისიც მიყვარს ვინც კი რომ მძულს.”
ან
“მოყვრებს ვუყვარვარ, მტრებს ვძულვარ ეს კანონია ცხოვრების, მაგრამ მე გაურჩეველად კარგის მდომი ვარ თვით მტრების...”

ადამიანური სიყვარულის უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის სიყვარული, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სავეს ხარ შენი ერისა და ხალხის სიყვარულით. აკაკი წერეთელს უზომოდ უყვარდა თავისი ხალხი და სამშობლო. იგი ჭეშმარიტად პატრიოტი ქრისტიანი გახლდათ, მუდმივად ბრძოლისა და თავგანწირვისათვის მზადყოფი, ებრძოდა საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილ ყველა ბოროტებას, ებრძოდა ყველა შოუინისტს. მან სიყვარულის ღვთაებრივი ნიჭი პიროვნული “მე”-დან მამულისაკენ მიმართა და იგი აქცია მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთადერთ მამოძრავებელ ძალად. აკაკის პატრიოტიზმი მთელი სისრულით პოულობს გამოხატულებას მსჯელობაში სხვადასხვა ერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე: “მრწამს ქრისტეს მოძღვრება და არავინ მიმანჩია სამართლებად, თანასწორად ვუყურებ ელინსა და იუდაინს, როგორც ადამიანებს [...]. ყოველი ერი რა ტომისაც უნდა იყოს, მიყვარს და თანამგრძნობი ვარ, თუ ის თავის ქერქში ეტევა და საკუთარი ეროვნული გზით მიდის! [...] მაგრამ, როცა რომელიმე ერი მარტო თავისას აღარ სჯერდება და მოინდომებს სხვა ერების დაჩაგვრით ამადღებას, სხვების უბედურებით საკუთარ ბედნიერებას და სხვების ჩაყლაპვით გასუქებას, მე იმ ტომის თანაგრძნობა აღარ შემიძლია [...]”.

აკაკი წერეთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაანალიზებისას ვხედავთ რომ მას არასოდეს უოცნებია მხოლოდ მწერლობაზე ან პოეტობაზე, მისი ოცნება საქართველოს დამოუკიდებლობა იყო, იგი იბრძოდა საქართველოს თავისუფლები-

სათვის და თუ პოლიტიკა დღევანდელი გადასახედოდან ეს არის საზოგადოების და სახელმწიფოს მართვის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობა და მისგან გამომდინარე მიზანმიმართული საქმიანობა რომელიც დაკავშირებულია ხალხებს, სოციალურ ჯგუფებს, ერებს, სახელმწიფოებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ რატომ უნდა იდგეს აკაკის პოლიტიკოსობა. იგი ჭკუშმარიტად დიდი საზოგადო მოღვაწე და უნიჭიერესი პოლიტიკოსია ქართულ სინამდვილეში. მან თავის იდეურ მეგობრებთან ერთად დაიწყო ბრძოლა საქართველოს გადარჩენისათვის, დაიწყო თავდაუზოგავი მოღვაწეობა იმ “პროგრამის” განსახორციელებლად, რომლის საბოლოო მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. ამ მიზნისათვის ბრძოლა იმ პერიოდში მხოლოდ მწვერლობით იყო შესაძლებელი. რამაც გამოიწვია ის, რომ ქართული ლიტერატურა იქცა თავისი დროის ყველაზე მაღალი იდეალებისათვის საბრძოლო იარაღად, რაც აკაკიმ შეუდარებლად გამოიყენა. მის ხელში, ქართულმა მხატვრულმა სიტყვამ შეიძინა ის თავისებური აკაკისეული მახვილობა და სიღრმე, სიმსუბუქე და სიდიადე, რომელიც დღემდე მიუღწევველ ნიმუშად რჩება ჩვენი მწვერლობისათვის. ეროვნული თავისუფლების მიღწევისათვის აუცილებელი იყო ქართული ცნობიერების გამოღვივება, მისი გაძლიერება და მთელი ერის შეკავშირება ერთი მიზნისათვის – ერის კონსოლიდაციისათვის. აკაკი ილიასთან და სხვა სამოციანელებთან ერთად იბრძვის ყველა მიმართულებით ეროვნული ცნობიერების ასამაღლებლად. “განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართულ საზოგადოებას, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ყველაფერს, რაც ერს აღუნებდა და აგვარებდა. მისი გაკიცხვა მოახდინა, რათა ძალთა მობილიზაციისათვის მიედწია, ეს კი საჭირო იყო პირველ რიგში ისეთი საკითხის გარშემო, როგორც იყო ნაციონალურ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის საკითხი და ასეთივე ამოცანა დაისახეს მესამოცე წლების ჩვენმა მოწინავე მწვერლებმა თავიანთ სატირულ თხზულებებში”. თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა ორიენტირებული იყო მთელ ქართველ ერზე, საზოგადოების ყველა ფენაზე. საქართველოს გადარჩენა, აკაკი წერეთლის ღრმა რწმენით, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როდესაც მიიღწეოდა სულიერი ერთიანობა საქართველოს კუთხეებს შორის, მოხდებოდა წოდებათა თანამშრომლობა, დაპირისპირებული კლასების

შერიგება, ანუ გამოიძენებოდა საერთო ნიადაგი მთელი ერის მოქმედებისათვის.

ეროვნული კონსოლიდაციისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ერთიან ქართულ ლიტერატურას და მისი სიწმინდის დაცვას. აკაკი ილიასთან ერთად, ახალი ქართული ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელია და მისი სიწმინდის თავდადებული ქომაგი.

ქართული ერის დევნა-შევიწროება რუსეთის პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. აკაკი თერგდალეულებთან ერთად შეუპოვრად იბრძოდა ქართული ერის დევნის წინააღმდეგ. იგი მრავალ პუბლიცისტურ წერილში ყურადღებას აქცევდა უპირველეს ყოვლისა სწორედ იმას, რომ ბავშვი მხოლოდ მშობლიური ერის შემეცნებით შეიძლება იქცეს სრულყოფილ პიროვნებად, თავისი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის სასარგებლო წევრად. მას დაუშვებლად მიაჩნდა ერის ხელყოფა, მითუმეტეს მაშინ, როცა ერს მონობის უღელი ედგა და სულიერ ზემოქმედებას განიცდიდა. ამ ვითარებაში ყოველი გადახვევა იმ ძირითადი საზიდან, რაც ეროვნულ პოლიტიკას ქმნიდა, ძალზე სახიფათო იყო. სწორედ ამიტომ, უკომპრომისობით ცნობილი აკაკი ერის საკითხებში განსაკუთრებულ შეუვალობას იჩენდა და ცხარე დებატებს არ ერიდებოდა არავისთან, ზოგჯერ პიროვნულადაც გულს ტკენდა ადამიანებს. ასე იყო, მაგალითად, როდესაც ენა დაუწუნა ვაჟა-ფშაველას:

“ენას გიწუნებ ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო...”

“აკაკისა და ვაჟას პოეტური პაექრობის უამს დაძაბული კოლონიური ურთიერთობა ბატონობდა. აკაკი ამას ითვალისწინებდა და სხვებსაც მოუწოდებდა ყურადღება არ მოედუნებინათ, რადგან უზენაესად ერისა და ქვეყნის ინტერესები მიაჩნდა.” ქართველი ხალხის მობილიზებული ყოფნა კი აუცილებელი იყო ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და უპირველესი მიზნის ეროვნული თავისუფლების მისაღწევად.

თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა ითვალისწინებდა საქართველოს ისტორიის შესწავლის აუცილებლობას და ბრძოლას ქართველი ერის ისტორიის გამყალებელთა წინააღმდეგ. აკაკის, საქართველოს ისტორიის, საკუთარი ფოლკლორის შესწავლა ერის არსებობის აუცილებელ პირობად მიაჩნდა. სამართლიანად ამბობდა იგი, რომ ერი, რომელიც უგულვებელყოფს ამ გარემოებას, გადაგვარდება და მოისპობა. კიდევ

ერთხელ დავიმოწმებთ მის სიტყვებს: “უბედურია ის ხალხი, რომელსაც შეგნებული და გამოკვლეული წარსული არა ჰქონია და უცხოვრია ველურად, მაგრამ კიდევ უფრო უბედური და სატირალია ის, რომელსაც ჰქონია წარსული და ივიწყებს. სწანს, რომ დამდგარა გადარჯულების გზაზე, სიკვდილი უახლოვდება ... და ვისაც თავი სასიკვდილოდ არ გადაუდევს და კიდევ სურს განაგრძოს სიცოცხლე, იმან არ უნდა გასწყვიტოს კავშირი წარსულთან, ყოველგვარი ნაშთი ძველთაგანი, რომელიც კი გვიმტკიცებს ჩვენი წინაპრების გონიერებას და მათ შემოქმედების ძალას, დღესაც კიდევ საჭიროა, შესაწინარებელი და არა უარსაყოფელი“. სწორედ, ამიტომ, აკაკი წერეთელი, როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური მხრით, ისტორიულ თემატიკას, ფრიად სერიოზულ, იდეურ ამოცანებს აკისრებდა: ქართველი ხალხის ისტორიის გამირული ეპიზოდების წარმოჩენა და სახელოვან წინაპართა გახსენება მას იმისათვის სჭირდებოდა, რომ რუსეთისაგან დამონებული ერისათვის ღირსების გრძნობა გაეღვიძებინა და განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ მოეწოდებინა. აკაკი წერეთელს, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძეს, საქართველოს ისტორიის გაყალბება, ნებისმიერი ფორმით, ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულად მიაჩნდა. თელიდა, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა ქართველი ერის ისტორიის ხელყოფის წინააღმდეგ. დასაბუთებულ პასუხს სცემდა საქართველოს მტრებს – ისტორიის ფალსიფიკატორებს. მის პუბლიცისტურ წერილებს, ფელეტონებს ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის იმპერიულ პოლიტიკასა თუ სომეხ ნაციონალისტთა რეაქციულ, შოვინისტურ ზრახვებთან (რაც დღესაც არანაკლები ძალისხმევით მიმდინარეობს) ჭიდილში. განსაკუთრებით, აღსანიშნავია 1898 წელს დაწერილი მისი პუბლიცისტური წერილი “ისტორიულის განხილვა სახელწოდების “არმენის, ჰაისტანისა და სომხეთის”, ფელეტონი “სადიდმარხვო ციებ-ცხელება” და სხვა.

დღეს საკამათო არც შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში, მწერლობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ნიშნავდა საზოგადო მოღვაწეობასაც და პოლიტიკოსობასაც. აკაკი ილიასთან ერთად იყო დიდი საზოგადო მოღვაწე და ჭკვიანი პოლიტიკოსიც. თუმცა მის პოლიტიკოსობას, სრულიად უსაფუძვლოდ, დღესაც კი საკამათოდ მიიჩნევენ, რასაც ვერ დავეთანხმებით. აკაკი იყო XIX საუკუნის II ნახევრის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, იმდენად დიდი იყო საზოგა-

დობაზე პოეტის შეხედულებების გავლენა (არა მხოლოდ ლიტერატურული), რომ მის თითოეულ ნაბიჯს თავისთავად ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი. აკაკი წერეთელს, როგორც მოაზროვნესა და პოლიტიკოსს გამოკვეთილი ჰქონდა თავისი პიროვნული ხასხე, თავისი მე, რომელსაც მტკიცედ მიჰყვებოდა. საჭიროების შემთხვევაში იდეურ მეგობრებთან პაექრობასაც არ ერიდებოდა და თავის შეხედულებას სხვის საამებლად არასოდეს ცვლიდა. ამიტომ დიდ ავტორიტეტად აღიარებულ მოღვაწეს ყველა ინტერესით უსმენდა, მისი სიტყვის ძალა ყველგან იგრძნობოდა. მთელი ცხოვრება იბრძოდა, არა მხოლოდ ლიტერატურულ სარბიელზე, არამედ პრაქტიკული ნაბიჯებითაც. როდესაც აჭარაში დაიწყო გამოსვლები ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, მოსახლეობაში საჭირო იყო ენერგიული მოქმედება ეროვნული ორიენტაციის გაძლიერებისათვის. რაშიც, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, დიდი როლი ითამაშა აკაკის ავტორიტეტმა. მას აჯანყებულ მოსახლეობასთან ჰქონდა უშუალო კონტაქტი, ხშირად გადადიოდა საიდუმლო გზებით აჭარის სახელმწიფო საზღვარზე. ეს საკმაოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, თუმცა, როცა ეროვნული საქმე აკაკის შემწეობას და ხელმძღვანელობას მოითხოვდა, დიდი მამულიშვილი უკან არაფერზე იხევდა. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა აკაკის მიმოწერა ნიკო ნიკოლაძესთან: აკაკი სიხარულით ეგებება აჭარის ოსმალეთიდან ჩამოშორებას და საქართველოსთან შემოერთებას, თუმცა მას აშინებს რუსეთის მიერ სულიერად დაქუცმაცებულ ერში რუსეთის მიერვე მართული გუგულა მამულიშვილების ხელშეწყობით არ მომხდარიყო რელიგიური ფანატიზმისა და შოვინიზმის წარმოშობა, ამიტომ ეროვნული ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, იგი გაბედულად უარყოფს ერის არსის რელიგიურ ახსნას, აკაკი წერს: „სამშობლო, მიწა-წყალი, ენა, ისტორია და ერთნაირი თავგადასავალი და არა სარწმუნოება ქმნის ერს... ეს დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა და ვისაც კი არ სწამს ან გაუგებრობით მოსდის ან კრიმინალური განზრახვით.“

აკაკი ებრძოდა 1900-იან წლებში შექმნილ სხვადასხვა პარტიებს. ეს იყო ბრძოლა იმ მზაკვრულ იდეოლოგიასთან, რომელიც უარყოფდა ეროვნულ თვითშეგნებას და დაფუძნებული იყო მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე, ამიტომაც არ თანაუგრძნობდა 1905-1907 წლების რევოლუციას. კარგად იცოდა, რომ რუსული მარქსიზმი საქართველოს კარგს არაფერს მოუტანდა. ეს მრავალი პუბლიცისტური წერილიდან ირკვევა: “საანბანო

ჭეშმარიტება”, “ნადული”, “უცნაური პუბლიცისტი-ბი”, “პატარა ვანიჩკა”, “პასუხი” და სხვა. აკაკის დაპირისპირება სხვადასხვა პარტიებთან, მათი არაერთგვაროვანი იდეური მრწამსისა და ავანტიურულ-კოსმოპოლიტიური ხასიათის გამო, გვიჩვენებს, რომ იგი ბოლომდე მეტროდოლ პოლიტიკოსად დარჩა, რომელიც არავის აპატიებდა ეროვნული იდეების ფეხქვეშ გათელვას.

მთელი მისი ცხოვრებაც ამ იდეებისათვის ბრძოლა, სიყვარული და თავდადებაა, რომელსაც მსხვერპლად შეწირვის კეთილშობილური იდეა უდევს საფუძვლად. თვითშეწირვის უნარი, იმ უნარებს შორის, რაც განგებას მიუნიჭებია კაცთათვის, უპირატესი ადამიანური უნარია. აკაკის შემოქმედებაში კი, სამშობლოს სიყვარული და საერთოდ სიყვარულის გრძნობა, ორგანულად ერწყმის სამშობლოსადმი ერთგულებას და მისთვის თავდადებას.

„თუ ჩემს სამშობლოს გამოადვიძებს ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..
მოდი ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამკარ.“

ასეთი განუყოფელი ერთიანობის მიღწევა პირადი განცდებისა უმაღლესს ეროვნულ იდეალებთან, იშვიათი (თუ არა ერთადერთი) მოვლენაა მხატვრულ აზროვნებაში.

ილია ზურაბიშვილს, აკაკის მეგობარი ქალისთვის ერთხელ გაუბედავს და უკითხავს: “მითხარით გეთაყვა, შეეძლო თუ არა, თქვენი დაკვირვებით, აკაკის სერიოზული და ხანგრძლივი სიყვარული? ქალს გადიმბია და უთქვამს: აკაკის ბევრი გატაცება ჰქონია, მაგრამ სიყვარულით, ნამდვილი სიყვარულით კი მხოლოდ სამშობლო უყვარდა, მისი სათაყვანებელი საქართველო.”

სიყვარულის ერთი დიდი გამოვლინება ისაა, რომ ის შემოქმედების საწყისთან ერთად მოქმედების საწყისიცაა. “სიყვარული იმდენად ამაღლებელი გრძნობაა, რომ ზოგჯერ, ერთი შეხედვით, შეყვარებული კაცი საკუთარ თავსაც კი უარყოფს”, წერს გია მურდულია. მსგავსი რამ თავისთავად არ ხდება, ის მხოლოდ სიყვარულის ღვთაებრივი უნარით დაჯილდოებულ ადამიანებს ძალუძთ, ხოლო ქვეყნის საკელთილდგოდ საკუთარი ბედნიერების უარყოფა, უდიდეს სულიერ სიმაღლეს მიღწეულ ერთეულთა შესაძლებლობების გამოვლენაა, პავლე მოციქულის სიტყვები: “არა ეძიებნ თავისა, არამედ სხვისა.” სწორედ, ასეთ სულიერებას ნაზიარებ ადამიანთა ცხოვრების წესია, რასაც ჩვეულებრივი მოკვდა-

ვი ვერასოდეს შეძლებს. ასე ცხოვრობდა აკაკი, ყოველთვის პირადულზე წინ აყენებდა საზოგადო საქმეს, ივიწყებდა საკუთარ თავს ქვეყნისა და ხალხისათვის. ლამაზად ამბობს ვახტანგ კოტეტიშვილი: “აკაკიმ შექმნა რელიგია ეროვნებისა, რომ ამ რელიგიის საშუალებით ამაღლებინა ქართველი ერი, იგი მისტიურად მუხლს იდრეკდა საქართველოს წინაშე და მით გვაგრძნობინებდა მის ღვთიურ მძლეობას.” სადაც რწმენა არ აქვთ, იქ არც კეთილ საქმეებს ადასრულებენ, იმიტომ რომ კეთილად ყოველ საქმეს, უპირველესად სწორედ კეთილი განზრახვა შეიქმს, ხოლო იგი ოდენ რწმენიდან აღმოცენდება, - ამბობს ნეტარი ავგუსტინე. აკაკის შემოქმედება საქართველოს კეთილი მომავლის რწმენით არის სავსე, იგი ებრძვის ერში ფეხმოკიდებულ ნიჰილიზმს, მუდმივად შთააგონებს ქართველ ხალხს, რომ არ დაემორჩილონ უსასობის განცდას, რადგან ისინი არიან მემკვიდრენი იმ ძლიერი სულისა, რომელმაც უამრავ განსაცდელს გაუძლო, და ურიცხვ დამპყრობლებთან ბრძოლაში შეინარჩუნა ეროვნულობა. რომ მათი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ ქვეყანა აუცილებლად მიაღწევდა თავისუფლებას და „ერთიან მსოფლიო ფერხულში“, თავის ღირსეულ ადგილს დაიტკრდა, „საკუთარ ელფერს, საკუთარ რამეობას შეიტანდა საკაცობრიო ზღვაში“. ამ შემთხვევაში ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილის სურვილით გამსჭვალული მისი რწმენა უკვდავია: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა.“

აკაკის როლი, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძისა უმნიშვნელოვანესია XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში, ის მოწამებრივი გზა, რაც აკაკი წერეთელმა განვლო თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში იყო გზა გოლგოთისა, ამ გზაზე უგონებდნენ საზიზღარ ცილისწამებებს და ჭორებს, მიაყენეს ბევრი შეურაცხყოფა და ტყვიანი:

“ჰოი, სამშობლოვ სხვებისთვის დედავ, ჩემთვის კი ავო დედინაცვალო, ვიცი დაიბან პილატებრ ხელს და იტყვი რომ ხარ, დღეს შენ უბრალო... ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში... სული და გული, ბუნების ნიჭი. სიტაბუკე და წამი ყოველი შენ შემოგწირე და რა მივიდე... უსამართლობა, მტრობა და დევნა, ცილისწამება გულისსაკლავი!”

სურვი არასოდეს შეუქცევია. მის გონებაში მუდამ დომინირებდა თავისუფლებისა და მამულიშვილობის იდეა, ამ იდეის ხორცშესხმისთვის მისი დიდი ინტელექტი, მახვილი გონება და ბასრი ენა საჭიროების შემთხვევაში არავის ინდობდა. აკრიტიკებდა ერს მხოლოდ იმიტომ, რომ სურდა ეხილა ქმედითი, მქქეფარე, თავისუფლებისთვის მებრძოლი საქართველო. “ვინ ნახა თავისუფლება ტანჯვით და მოთმინებითა”, წერს იგი. მის ნაწარმოებებს ჩეხდნენ და ჭრიდნენ ცენზორები, დაუხურეს „აკაკის კრებული“, არ ძღვედნენ პოლიტიკური ხასიათის ბეჭდური გამოცემის უფლებას, საცენზურო კომიტეტი ნებას არ რთავდა გაზეთის (მაგალითად ყოველკვირეული გაზეთი „გზა“) გამოცემისათვის: „...მისმა ბრწინვალებამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ წერეთელმა გაზეთ „შრომაში“ თანამშრომლობის დროს თავისი ლიტერატურული ნაშრომებით გამოაშკარავა მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულება, - შესაძლებლად არ დაინახა წერეთლისათვის გაზეთის გამოცემაზე ნებართვის მინიჭება“. მოსაკლავადაც გაიმეტეს 1899 წელს, დაიჭირეს კიდევ 1907 წელს და მეტეხის ციხეში ჩასვეს გაზეთ „ხუმარას“ სატირული ტონისათვის. მიუხედავად ამისა, იგი მთელი ცხოვრება იბრძოდა. ხოლო, როდესაც აკაკი ნობელის პრემიაზე წარადგინეს, გაზეთ „ეოპულელეს“-ში, ფრანგი ჟურნალისტი ქალი .თოუწელღონ წერდა: „პოეტის თაყვანისმცემლებს იმედი ჰქონდათ, რომ მას მიაჩნებდნენ ნობელის პრემიას, „მე, ნობელის პრემია?! - წამოიძახა პოეტმა - მაშინ, როცა ყველა ჩემი ნაწარმოები იარაღის ქდარუნად გაისმის!...“ უწინარეს ყოვლისა მე სათნოების მომხრე ვარ და თუ ხოტბას ვასხამ იარაღს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიბრძვი ჩვენი თავისუფლებისთვის“. აკაკიმ, ამ ბრძოლას შეეწირა უდიდესი პოეტური ტალანტიც

და პირადი ცხოვრებაც. მთელი თავისი ქონებაც დაუტოვა არა ერთადერთ შვილს, არამედ ქართველ ხალხს.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ტვინია, აკაკი საქართველოს გულიო ამბობდა კიტა აბაშიძე, მართლაც ეს ორი სწორფერი ფიგურა ერთი მეორეს ავსებდა და რომელიმე მათგანის გარეშე დღესაც კი წარმოუდგენელია საქართველოს არსებობა. ძალზე საინტერესოა ერთი მოგონება: ილიაობას, საგურამოში ილიას დაბადების დღეს თამადაობდა და ვით მიქელაძე (მეველე). როდესაც თამადამ ადღეგრძელა იუბილარი, ილია წამომდგარა და თამადისთვის მიუმართავს: აკაკი, ჩემთან ერთად აკაკი ყოველთვის ადღეგრძელეთო...

დღეს, აკაკი ისე სჭირდება ჩვენს ერს როგორც არასდროს. მისი შემოქმედება, მისი ცხოვრება ბრძოლაა თავისუფლებისთვის სამშობლოს საკურთხეველზე მსხვერპლად შეწირული კაცისა.

2015 წელს აკაკის გარდაცვალებიდან გავიდა ასი წელი, დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ იგი არა მხოლოდ დიდი პოეტი, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწე, მისი დროის დიდი პოლიტიკური ფიგურა და მომავლის ბრწყინვალე ანალიტიკოსიც იყო. აკაკის შემოქმედებას კი დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. თუნდაც ეს პატარა, თითქოს უმნიშვნელო ლექსი: “პირველ ყოვლისა მე ქართველი ვარ, მერე თუ გინდა სხვაგვარი ისტი, სხვისი თვალითაც არ ვიყურები, არ გადამკვრია ჩემსაზე ბისტი” ამის დასტურია. ქართველი ერი ვაღდეგულია ჯეროვანი პატივი მიაგოს მის დიდ შვილს. მომავალმა თაობებმა წინაპართა ღვაწლის დაფასებით უნდა ისწავლონ აქმყოსა და მერმისის მართვა, რომ შეძლონ იმის გაცნობიერება თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა ემსახურო მას.

Akaki - Immortality bounded with Amiran´ chains

Maia Kikabidze
PhD in philology

100 years have passed since the death of Akaki. The aim of the Article is, to give due honor the memory of Akaki, not only as a great poet, but also as a great public figure and brilliant politician, which sacrificed everything for Georgia and Georgian people. With Ilia and other 60s, Akaki changed and developed Georgian public consciousness of the second half of the nineteenth century, and defined the main line of Georgian political and cultural development.



ევგენი ხარაძეს მალე 110 წელი შეუსრულდებოდა

ვფიქრობთ, რომ ჩვენ ახალი რუბრიკა ახალგაზრდა თაობისთვის პასუხისმგებლობის გრძნობის, ქვეყნისადმი ერთგულებისა და ზნეობრივი ქცევის მაგალითების გადაცემით ხელს შეუწყობს მათს სულიერ ჩამყალიბებას. რუბრიკის გმირები სწორედ ქვეყნის სახელოვანი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და საქმის საუკეთესო სპეციალისტები იქნებიან. რუბრიკას გაუძღვება ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ომარ შუდრა. პირველი სტატიები მიემდგვნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორებს, აკადემიკოსებს: ე. ხარაძეს, ი. ვეკას, და სხვ.

ამჯერად სტატიას წარმოგიდგენს ევგენი ხარაძის მოწაფე, რამდენიმე წიგნის ავტორი, ბატონი შალვა საბაშვილი.

შალვა საბაშვილი

ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ახლოდება ასათი წლისთავი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მასშტაბური პიროვნების, მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში თანამედროვე ასტრონომიული მეცნიერებისა და უმაღლესი ასტრონომიული განათლების ფუძემდებლის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადებიდან.

ე. ხარაძეს შესაშური ბედი დაჰყვა; მას მოუწია მეტად მნიშვნელოვან მოვლენებში მონაწილეობა, ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების უპირველეს პოზიციებზე დგომა და ქართველი ერისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბევრი საქმის წამოწყება თუ გასრულება. მთელი თავისი ამოუწურავი ენერგია, ფიზიკური თუ სულიერი ძალები მან მის საყვარელ საქმეს, საბოლოო ანგარიშით კი ხალხის სამსახურს შეაღია. მთლიანად და ბოლომდე დაიხარჯა და ამაშია მისი ბედნიერებაც. ხალხმაც დირსეული პატივი მიაგო მას, თავისი სიყვარულით შემოსა და თავის ყველაზე ძვირფას შვილებს შორის მიუჩინა ადგილი. ამაზე დიდი კი არაფერი არსებობს.

ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება. როგორც ჩანს, ყველაფერი, რაც მეოცე საუკუნის საქართველოში ევგენი ხარაძის სახელს უკავშირდება, სწორედ ამ პიროვნების გასაკეთებელი იყო. ამიტომაც, რომ ამ საქმეთა ხასიათი ე. ხარაძის შინაგანი სამყაროს მახასიათებლებთან

მუდამ შესაბამისობაში იყო.

ევგენი ხარაძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მასში ძლიერი იყო როგორც მეცნიერის, ისე, მართლაც გასაოცარ მასშტაბებში – ორგანიზატორის, დიდ საქმეთა მესვეურის ტალანტი. ამიტომ მას მოუწია ბევრ ისეთ პოსტზე მუშაობა, ერთეულებს რომ ხვდენიანთ წილად ბოლო საუკუნის ქართულ სინამდვილეში, რადგან ისინი პიროვნებისგან სრულიად არაორდინარულ მართვის უნარს, ენერგიას, სულის სიმაღლეს მოითხოვენ. და თითოეულ ამ პოსტს მან არათუ უბრალოდ გაართვა თავი, არამედ გასაოცარი ელვებანტურობით ადასრულა დაკისრებული მისია და სათანადო წრეების და მთლიანად ხალხის სამუდამო სიყვარული და პოპულარობა დაიმსახურა. ასეთი იყო მისი მუშაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად (1959 – 1966 წლები); მისი ელვარე ტალანტის წყალობით უმაღლესი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-მასწავლებელთა წრეებში და სანიმუშო რექტორად დარჩა ხალხის ხსოვნაში. ასეთი იყო მისი მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, როცა იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერის, აკად. ილია ვეკუას მხარდამხარ წარმართავდა მთელი ქართული მეცნიერების უადრესად ფართო სპექტრის განვითარებას, და შემდეგ – უკვე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე, კიდევ უფრო მაღალი

პასუხისმგებლობის ქვეშ, როცა ის იდგა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე დანაყოფის, ქართული აკადემიის მართვის პულტთან. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის – მრავალდარგოვანი სამეცნიერო ჟურნალის – მთავარი რედაქტორი და ღირსეულად უძღვებოდა მის გამოცემას. ბუნებრივია, აკადემიის მართვა, ისევე როგორც უნივერსიტეტის რექტორობა, გულისხმობდა ქართული განათლებისა და მეცნიერული კვლევის ამ უაღრესად მაღალავტორიტეტული კერების სრულფასოვან ურთიერთობას საბჭოთა კავშირისა და მთლიანად მსოფლიოს ანალოგიურ ცენტრებთან, რათა მათ ღირსეული ადგილი სჭეროდათ მსოფლიო განათლებისა და კვლევის ერთიან სისტემაში, ამას კი სჭირდებოდა ამ კერათა წარმართველის უმაღლესი ორგანიზატორული ნიჭი, უფართოესი ერუდიცია, სულის დაუღლელობა, ემოციური მზადყოფნა ახალ ფორმათა საძიებლად თუ ასათვისებლად. და ეს თვისებები ე. ხარაძეს უკლებლივ აღმოაჩნდა, რამაც მისი უდიდესი ავტორიტეტი შექმნა.

ამას გარდა ე. ხარაძე წარმართავდა ბევრ სხვა სამუშაოსაც სრულიად საქართველოს მასშტაბით – მაგალითად, იყო წიგნის მოყვარულთა საზოგადოებისა და საზოგადოება “ცოდნის” ერთ-ერთი მესვეური ხანგრძლივი დროის მანძილზე. ასევე დიდი დრო მიჰქონდა ე. ხარაძის მოღვაწეობას სახელმწიფო მართვის ორგანოებში, სადაც ის ყველა თავის უნარს ავლენდა. მაგრამ მაინც სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ე. ხარაძის უდიდესი სასიცოცხლო ენერჯია ძირითადად მაინც დაიხარჯა ქართული ასტრონომიის აღორძინების დიდ საქმეში და ამ პიროვნების სულის მამოძრავებელ “სუბსტანციას” ძირითადად მაინც სამყაროს უსაზღვროებაზე ფიქრი და სამყაროს აგებულების კვლევაში წვლილის შეტანის სურვილი შეადგენდა. ამ მხრივ კი ამ პიროვნების დეაწლი დიდად აღემატება ერთი მკვლევარის, რაგინდ განსაკუთრებულის – წვლილს, რადგან იგი გამოიხატა ასტრონომიული კვლევის მთელი სისტემის შექმნაში საქართველოს მასშტაბით. მოკლედ ამას ქართული ასტრონომიის აღორძინება ჰქვია, კონკრეტულად კი იგი განხორციელდა მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მასშტაბური კერის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის შექმნით, რაშიც ე. ხარაძის წვლილი გამორჩეული და მნიშვნელოვანია, ისევე როგორც, რაც არანაკლებია, ამ ობსერვატორიის მთელი მუშაობის წარმართვით ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, რაც მსოფლიო პრაქტიკაშიც იშვიათობაა.

რა თქმა უნდა, ასტრონომიის განვითარება საქართველოში არ მომხდარა ცარიელ ადგილზე. ისტორიული თუ მეცნიერულ-სალიტერატურო წყაროები მიუთითებენ, რომ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში დიდი იყო დაინტერესება ციური მოვლენებისადმი. ქართულმა ენამ შემოგვინახა მრავალი ასტრონომიული ტერმინი; საქართველოში არსებობდა უმაღლესი აკადემიები (კოლხეთის, იფალოს, გრემის), აგრეთვე ობსერვატორია (თბილისში), საიდანაც მეცნიერებს იწვევდნენ მსოფლიოს სხვა ასტრონომიულ ცენტრებშიც. დიდად იყო დაინტერესებული ასტრონომიით საქართველოს ყველაზე გამოჩენილი მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც ახალგაზრდების ჯგუფიც გაუზზავნია ბიზანტიაში მეცნიერული განათლების მისაღებად. შემორჩენილია მრავალი ასტროლოგიური ხელნაწერი, საკუთრივ ასტრონომიული (კალენდარული) ტრაქტატებიც, მათ შორის XII-XIII საუკუნის აბუსერიძე ტბელის მათემატიკურად ძალზე გამართული და უნივერსალური ასტრონომიული ცოდნის შემცველი ტრაქტატი. ითარგმნებოდა მსოფლიოს ძირითადი ასტრონომიული კრებულები თუ სახელმძღვანელოები (ნიმუში – მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ ულუბეგის თხზულებათა თარგმნა და მისივე პრაქტიკული მოღვაწეობა ასტროლაბით დაკვირვების საფუძველზე ამიერკავკასიის პუნქტების გეოგრაფიული განედის განსაზღვრის მიზნით), იქმნებოდა ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებები, რომლებშიც ასტრონომიის ცოდნის მაღალი დონე ფიქსირდება (სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონა”, იოანე ბატონიშვილის “კალმასობა”), მოგვიანებით ასტრონომიული სახელმძღვანელოებიც; ციურ მოვლენათა სწორ გააზრებას ეხმარებოდა შუასაუკუნოვანი მწერლობის ბრწინვალე ძეგლებშიც – რუსთაველის, ჩახრუხაძისა და შავთელის პოემებში, რაც გულისხმობს მკითხველი მასის შესატყვის ასტრონომიულ ცნობიერებასაც. და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ მუდამ ფიზიკური გადარჩენისათვის აუცილებელ ბრძოლებში მყოფ ქვეყანას არ შეეძლო ასტრონომიული კვლევისთვის მშვიდი გარემოს შექმნა და მსოფლიო მეცნიერებაში საგრძნობი წვლილის შეტანა. საფუძველი კი ამგვარი საქმის მომავალში განხორციელებისა მან ნამდვილად შექმნა.

XIX ს-ში რუსი ასტრონომის ს. გლაზენაპის ხანმოკლე იძულებითმა დაკვირვებებმა აბასთუმანში აჩვენა ამ რეგიონის ასტროკლიმატის მაღალი ხარისხი. კერძოდ, მცირე ზომის ტელესკოპით ორმაგ ვარსკვლავთა შესახებ საოცრად



დიდი სიზუსტის დამხერითი მასალის მიღება მოხერხდა. ამ ფაქტმა მსოფლიოს ასტრონომიულ წრეებში შესაბამისი გამოსხმაურება კპოვა. და როდესაც XX ს-ის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირის მეცნიერების უმაღლეს ემულონებში გადაწვდა შექმნილიყო მაღალი კლასის ასტრონომიული ობსერვატორია ქვეყნის სამხრეთში, ხოლო ღენინგრადემა პროფესორმა ბ. ნუმეროვმა განახორციელა კიდევ სამხრეთ კავკასიაში ასტროკლიმატური ექსპედიცია ობსერვატორიისათვის საუკეთესო ადგილის შესარჩევად, ამ ექსპედიციაში ჩაერთო თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და თბილისის გეოდეზიური ობსერვატორიის თანამშრომელი, 24 წლის ვეგენი ხარაძე. გამოკვლევამ აჩვენა, რომ აბასთუმანს ახასიათებდა უქარო, წყნარი ამინდები, წელიწადში მოწმენდილი დამეების დიდი რაოდენობა და ატმოსფეროს გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი, ანუ საუცხოო ასტროკლიმატი, და აქ ობსერვატორიის დაარსების მიზანშეწონილობაც, ხოლო ამ კვლევებში ე. ხარაძის მიერ გამოვლენილმა ინტერესმა და ორგანიზატორულმა თვისებებმა განაპირობა მისი შემდგომი მჭიდრო მონაწილეობა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში, დაახლოება პროფესორ ბ. ნუმეროვთან, ჩარიცხვა ღენინგრადის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტის ასპირანტურაში და, პარალელურად, დანიშვნა ჯერ კიდევ მხოლოდ ქაღალდზე არსებული აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად. ეს მოხდა 1932 წელს.

ამის მერე ე. ხარაძის მთელი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ამ ობსერვატორიის მშენებლობის გრანდიოზულ საქმეს. უამრავი ენერგია სჭირდებოდა დასამზერი ინსტრუმენტების მოპოვებას, დადგმას, გამოკვლევას და სამეცნიერო კვლევებში ჩართვას, სამეცნიერო კადრების მოზიდვას, არქიტექტურული ხასიათის პრობლემების მოგვარებას, სამეცნიერო ჯგუფისთვის ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას, ობსერვატორიის კვლევის მიმართულების სწორად განსაზღვრას, სამეცნიერო შრომების პუბლიკაციათა უზრუნველყოფას, სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნასა და მსოფლიოს კვლევით ცენტრებთან მეცნიერული ლიტერატურის გაცვლის უზრუნველყოფას, კადრების დონის ამაღლებას საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ობსერვატორიებში სტაჟირებით, ამ დაწესებულებებთან სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციით თუ გამოჩენილ მეცნიერთა მოწვევით ერთობლივი სამუშაოების საწარმოებლად და გამოცდილები-სა თუ ინფორმაციის გასაზიარებლად. ყოველივე

ამაზე ე. ხარაძის და მის თანამებრძოლთა კოლოსალური ენერგია იხარჯებოდა.

საკუთარი სამეცნიერო კადრებით ობსერვატორიის უზრუნველყოფის მიზნით ე. ხარაძემ ცნობილი მეცნიერის, ანდრია ბენაშვილის მიერ ორგანიზებულ ასტრონომიის საწყისთა სწავლებასა და ასტრონომიულ-გეოდეზიურ კაბინეტზე დაყრდნობით შექმნა ასტრონომიის კათედრა და დააფუძნა ასტრონომიის სპეციალობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისციპლინათა ვრცელი სპექტრით. შემდგომში კათედრის წევრებმა მოამზადეს და გამოსცეს სახელმძღვანელოთა სერია ქართულ ენაზე. ათეული წლების მანძილზე ასტრონომიის კათედრა და აბასთუმნის ობსერვატორია ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ. სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გადიოდნენ და მეცნიერული კვლევის ელემენტებს ითვისებდნენ აბასთუმნის ობსერვატორიაში, ობსერვატორიის თანამშრომლები კი მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პედაგოგიურ პროცესში ლექციების კითხვითა თუ სადიპლომო და საკურსო შრომების ხელმძღვანელობით, ხოლო კათედრის მიერ მომზადებული სპეციალისტები აკმაყოფილებდნენ უმაღლესი სასწავლებლების, კვლევითი ცენტრებისა თუ სკოლების მოთხოვნილებას სამეცნიერო და პედაგოგიურ კადრებზე.

ვეგენი ხარაძემ დიდი ღვაწლი გასწია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვისაც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთადერთი ორიგინალური ასტრონომიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნით. ეს შესანიშნავი ენით დაწერილი წიგნი გაცილებით უფრო ღრმა ინტერესს აღძრავდა მოსწავლეებში, ვიდრე თარგმნილ სახელმძღვანელოს შექმნა. იგი გამოიცემოდა და იხმარებოდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ე. ხარაძის სამეცნიერო ინტერესი გალაქტიკის სტრუქტურის შესწავლას დაუკავშირდა. მეორე სამეცნიერო პრობლემა, რომელმაც დიდი ადგილი დაიკავა აბასთუმნის ობსერვატორიის კვლევით მუშაობაში, ვარსკვლავთა სპექტრების განსაზღვრა იყო. ორივე ეს პრობლემა ერთმანეთთანაც დიდ კავშირში იყო – სწორედ ვარსკვლავთა სპექტრების საშუალებით ხდებოდა ვარსკვლავთ-შორისი მატერიის განაწილების შესწავლა. ე. ხარაძის, რ. ბართაიასა და სხვების წყალობით აბასთუმანში შეიქმნა სპექტრული კლასიფიკაციის ორიგინალური მეთოდიკა და შედგენილ იქნა ვარსკვლავთა ვრცელი სპექტრული კატალოგები. კერძოდ ე. ხარაძის 14 000 ვარსკვლავის ფერის მჩვენებელთა კატალოგმა და მის საფუძველზე

გალაქტიკის სტრუქტურის მახასიათებელთა შესწავლამ, ისე როგორც შ. გორდელაძის, მ. ვაშაკიძისა და სხვა მკვლევართა შრომებმა აბასთუმნის ობსერვატორია მსოფლიოს მოწინავე კვლევით ცენტრებს შორის ჩააყენა. ამ დარგში იგი მოთავე ორგანიზაცია იყო საბჭოთა კავშირში, ე. ხარაძე კი ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გალაქტიკის შემსწავლელ საკავშირო კომისიას. ამას გარდა ქართველი ასტრონომები მუდამ აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის დარგობრივ კომისიებში, ე. ხარაძე კი 7 წლის განმავლობაში იყო ასტრონომთა ამ მსოფლიო ორგანიზაციის ვიცე პრეზიდენტი. მას ჰქონდა მიწვევა პრეზიდენტის პოსტზეც, რაზეც თავი შეიკავა ხანდაზმულობის გამო. ამავე მიზეზით თქვა უარი მსოფლიო მნიშვნელობის პულკოვოს ობსერვატორიის დირექტორობაზეც.

ე. ხარაძე განუწყვეტლივ ზრუნავდა ობსერვატორიის განვითარებაზე. XX ს-ის ბოლოს იგი შეივსო ფიზიკის სპეციალისტებით (ჯ. ლომინაძე და სხვ.), რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ვარსკვლავთა ევოლუციის ბოლო სტადიების, კერძოდ, ნეიტრონული ვარსკვლავებისა და შავი ხვრელების კვლევაში.

ე. ხარაძე სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მონაწილეობდა როგორც კვლევით, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში. მის კალამს ეკუთვნის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ასტრონომიის საფუძვლებში, ზოგად ასტროფიზიკაში, ასტრონომიის ისტორიაში, ვარსკვლავთა სპექტრულ კლასიფიკაციაში და სხვ. მან დააარსა და 30 წელზე მეტხანს რედაქტორობდა ქართულ ყო-

ველწლიურ ასტრონომიულ კალენდარს, რომელიც ამჟამადც გამოდის; უზარმაზარი შრომა გასწია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის 12-ტომეულში ასტრონომიის ღირსეულად გაშუქებისათვის, ქმნიდა სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, აქტიურად ეხმარებოდა საშუალო სკოლების, პიონერთა სასახლის, ასტრონომიული კონფერენციებისა და ოლიმპიადების მუშაობას, იყო რიგი სამეცნიერო გამოცემების რედაქტორების წევრი, დიდი წვლილი შეჰქონდა სამეცნიერო ფორუმების მოწყობაში; ეხმარებოდა კოლეგებს, იძენდა ლიტერატურას ობსერვატორიისათვის, ზრუნავდა თანამშრომელთა ცხოვრების მრავალი საჭირობო პრობლემის გადასაწყვეტად, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის პერიოდებში, რითაც მორალურ საყრდენს წარმოადგენდა სხვებისთვის. მას ჰქონდა მდიდარი სულიერი სამყარო, შემწყნარებელი იყო ადამიანური სისუსტეების მიმართ, ყოველი საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამოდიოდა.


ასტრონომიის სწავლების ფორმათა გადარიბება უნივერსიტეტში თუ ასტრონომიული კვლევის მასშტაბების შემცირება ქვეყანაში ეკონომიკური სახის ღრმა კრიზისისა და ზოგ შემთხვევაში მართვის არასწორი მიდგომების გამო, რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოხდა, აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ასტრონომიამ, უძველესმა და ამავე დროს უადრესად თანამედროვე მეცნიერებამ სამყაროს შესახებ, არ უნდა დათმოს პოზიციები არც ერთ დონეზე. ეს იქნება ევგენი ხარაძის – დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნის საუკეთესო დაფასება.

შალვა საბაშვილი
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა
ლოქტორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

რეცენზია

ბიორგი ნანუაშვილის წიგნზე „აუდიტი“



უკანასკნელ პერიოდში საქართველომ მეტად რთული და საზოგადოებისათვის მეტისმეტად მტკივნეული და, შეიძლება ითქვას, შოკირებული პერიოდი გამოიარა, რაც დღესაც გრძელდება. ყოველივე აღნიშნული პერიოდი გამოიარა, რაც დღესაც გრძელდება. ყოველივე აღნიშნული შეეხო ქვეყნის არამართო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ მხარესაც. თავიდანვე ქვეყანაში არ იყო მკვეთრად გამოკვეთილი და, ფიქრობთ, ჯერ კიდევ არაა მისი განვითარების კონკრეტული ვექტორი და პერსპექტივა. საბაზრო ეკონომიკის მიმართულების კურსის აღება თავისთავად არ ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული გზის მითითებას. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ქვეყნის თავისებურებებისა და ამ ქვეყნის საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების შესაბამისი მოდელის თუ სისტემის ჩამოყალიბება და მისკენ ორიენტაციის აღება. საქართველოსთვის საარსებო მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის, განვითარების სწორი მიმართულების, მისი რეალიზაციის პირობების შესახებ საფუძვლიან მეცნიერულ ცოდნას, რაც ასე სჭირდებათ, მოქალაქეებს, პრაქტიკოს მუშაკებს, უპირველეს ყოვლისა კი მათ ვისაც უნდა ჩავა-

ბაროთ საქართველოს მომავალი მართვა და გაძღოლა, ესენი არიან უნივერსიტეტების სტუდენტები.

როგორც ცნობილია საქართველო დაადგა მისთვის ახალ საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს, რომელმაც გამოავლინა ახალი ეკონომიკური ინსტიტუტების, სამეურნეო და სამართლებრივი ურთიერთობების დამკვიდრების აუცილებლობა. მათ მომავალში უნდა მოახდინონ სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ურთიერთობების რეგულირება. მათ შორის მნიშვნელოვან და საპატიო ადგილს იკავებს აუდიტის ინსტიტუტი. სწორედ ამიტომაც მივიჩნევთ პროფესორ გიორგი ნანუაშვილის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს - „აუდიტი“ საჭირო, დროულ და მნიშვნელოვან წიგნად. ის ხომ მართლაც ჰაერით ჭირდებათ არამართო სტუდენტებს, არამედ პრაქტიკოს მუშაკებსაც, მათ შორის, ხელმძღვანელ მუშაკებსაც.

სახელმძღვანელო საკმაო მოცულობისაა და 272 გვერდს მოიცავს. იგი ხუთი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დათმობილი აქვს აუდიტის საფუძვლებს, სადაც განხილულია თავებისა და ქვეთავების მიხედვით ყველა ის აქტუალური და საჭირო საკითხები, რაც დაკავშირებულია აუდიტის საფუძვლებთან. კერძოდ, აუდიტის არსი, განვითარების ეტაპები, სახეები და კლასიფიკაცია, თანამდებ მომსახურების სახეები, ეთიკის ნორმები, ლიცენზირების საკითხები და სხვა მრავალი.

მეორე ნაწილი დათმობილი აქვს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს და აუდიტორული საქმიანობის ორგანიზაციას. აღნიშნულ ნაწილში ავტორს თავების მიხედვით გაშუქებული აქვს აუდიტორული საქმიანობის სტანდარტები, შემოწმების მომზადებისა და ჩატარების პროცედურები, აუდიტის დაგეგმვის საფეხურები, აუდიტორული შემოწმების მეთოდები. განსაკუთრებულად აქვს ქვეთავის სახით გამოყოფილი თაღლითობისა და შეცდომების მომენტები.

მესამე ნაწილში პროფ. გიორგი ნანუაშვილი ეხება საერთო დოკუმენტებისა და დამფუძნებლებთან ანგარიშსწორების აუდიტს, რაც მნიშვნელოვან მომენტად და სახელმძღვანელოს ღირსებადაც მიგვაჩნია. ამ ნაწილში კი განსა-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

კუთრებულად გამოვეყოფდით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგიას. მეთხე ნაწილი ეხება საერთო აუდიტის საკითხებს. აქ ავტორი ეხება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი აქტივების, ცვეთის დარიცხვის, გაყიდვის თუ სხვათა შესაბამისად, რაც აქამდე გამოცემულ არც ერთ სახელმძღვანელოში არ შეგვინიშნავს.

მესუთე ნაწილში ავტორმა გვერდი ვერ აუარა ისეთ საკითხებს, როგორცაა აუდიტის ჩატარე-

ბის მეთოდოლოგია და მიდგომები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში, რაც ვფიქრობთ სახელმძღვანელოს უფრო მიმზიდველსა და უფრო მეტად გამოსაყენებელს ხდის საზოგადოების ფართე წრეებისთვის.

ბოლოს გვინდა სახელმძღვანელოს ავტორს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი ნანუაშვილს ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები შემოქმედებით მეცნიერულ საქმიანობაში და მადლობა გადავუხადოთ ასეთი კარგი და საფუძვლიანი სახელმძღვანელოს გამოცემისთვის.

პროფესორები:

ევბენი ბარათაშვილი
ალექსანდრე სიჭინავა
ნინო ფაილოძე
ლოიდ ქარჩავა
ბიორბი სახოკია

საბანკო ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველებების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.
- სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.
5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს “ლოი“-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: economist_n@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge

ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.
The price of article's publication is- one page of journal 8 GEL (Lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5 GEL (Lari).
5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB000000000713602, “Halyk Bank Georgia”, central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: economist_n@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge

Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.



უპს “**Smarty**” გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ოფსეტური ბეჭდვა



ბანერი ბადე სტიკერი სტიკერი

HEIDELBERG A2

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრიპლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწაბადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი:
- ჯიზის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

აღვიწიეთ მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აგლაკის ქ.83

☎ 551 30 33 20

✉ smartyLTD@gmail.com

🌐 smarty.ltd



Smarty

www.smarty.ge